ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2019 წელი, 8 მარტი, №2-3-4 (6489)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 1 ლარი

# 8 მარტს გილოცავთ ძვირფასო ქალბატონებო!



## ტრენინგი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებისათვის



ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს ორგანული კანონისა და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერს მოსახლეობის დიდი რაოდენობა (50 პროცენტზე მეტი) ირჩევს, შესაბამისად მისი პასუხისმგებლობა ამომრჩევლების წინაშე და მის მიმართ მოქალაქეთა მოთხოვნები გაცილებით მაღალია მუნიციპალიტეტის სხვა არჩეულ პირებთან შედარებით.

მერს მრავალფუნქციური დატვირთვა აქვს – ხელმძღვანელობს მერიას და მუნიციპალურ სამსახურებს, იღებს გადაწყვეტილებებს მიმდინარე, საკადრო და მის უფლებამოსილებაში არსებულ სხვა საკითხებზე; გარდა ამისა, ის ამზადებს და წარუდგენს საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს, რომელთაგან ერთის – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა მისი ესკლუზიური კომპეტენციაა.

როგორ უნდა გაართვას მერმა ყველა ამ ფუნქციას წარმატებულად თავი ისე, რომ დაკავებულობის მიუხედავად, შეძლოს შეინარჩუნოს სათანადო დონეზე კომუნიკაცია თავის ამომრჩევლებთან და მისი გადაწყვეტილებები მოსახლეობის საჭიროებებს ადეკვატურად პასუხობდეს?

მაღალი საქმიანი დატვირთვის მიუხედავად მან უნდა გამონახოს დრო მოქალაქეებთან უშუალო ურთიერთობისთვის, რომელიც მხოლოდ მიღების დღეებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს.

საამისოდ შესწავლილი იქნა უცხოეთის დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილება და შეირჩა მოქალაქეთა მონაწილეობის ფრთოდ გავრცელებული და ეფექტური ფორმა – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომლის შექმნისა და მუშაობის გამოცდილება საქართველოს ზოგიერთ მუნიციპალიტეტში უკვე არსებობდა.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე



## 8 მარტი დღეს

8 მარტი ოფიციალურ დღესასწაულად და უქმე დღედ რჩება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც.

დასავლეთში ქალთა საერთაშორისო დღე 1920-იანი წლების ბოლომდე მასშტაბურად აღინიშნებოდა. თუმცა შემდეგ, კომუნისტებთან ასოციაციის გამო, მისმა პოპულარობამ იკლო. 1960-იან წლებში, ფემინიზმის აღმავლობის ჟამს, ეს თარიღი ისევ გახდა პოპულარული. 1975 წელი ქალთა საერთაშორისო წლად გამოცხადდა და, ამასთან დაკავშირებით, გაერომ ქალთა საერთაშორისო დღის დაფინანსების ნებართვა გასცა.

2005 წელს ბრიტანეთის პროფკავშირების გაერთიანების კონგრესზე ერთხმად დაუჭირეს მხარი რეზოლუციას ბრიტანეთში ქალთა საერთაშორისო დღის სახალხო დღესასწაულად გამოცხადების შესახებ. ამჟამად არსებული ქალთა უფლებების დაცვის მოძრაობები ყოველი წლის 8 მარტს მრავალ ღონისძიებას ატარებს. ქალთა გლობალური ასოციაციის, „ავრორას“ საიტზე შესაძლებელია ადგილობრივ ღონისძიებათა დარეგისტრირება. ეს ხელს უწყობს ქალთა უფლებების დაცვის სფეროში ადგილობრივი მოვლენების მსოფლიო მასშტაბით გაშუქებას. მრავალი ქვეყნის მთავრობა და ბევრი ორგანიზაცია მხარს უჭერს ქალთა საერთაშორისო დღეს.

## თავისუფალი ჭიდაობა
## ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა

კვლავ გაგვახარა მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონმა ზურაბ იაკობიშვილმა. მან საფრანგეთის ქალაქ ნიცაში „გრანდ პრის“ პროგრამით ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში თანმიმდევრულად დაამარცხა პირველ შეხვედრაში ამერიკელი, მეორე და მესამე შეხვედრაში ყაზახეთის წარმომადგენლები, ხოლო ფინალურ შეხვედრაში პირდაპირ გაანადგურა 10:0 ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, ბელორუსიის გუნდის ლიდერი და ღირსეულად მოიპოვა ჩემპიონობა (მწვრთნელები: გივი მეტრეველი, ვანო ჭანტურიძე).

მიმდინარე წლის 6-14 აპრილს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ბატონმა ზურაბმა საფრანგეთში მოპოვებული წარმატებით განიმტკიცა პოზიცია და სრული შესაძლებლობა აქვს ევროპის ჩემპიონი გახდეს.

წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს სახელოვან ფალავანს.



## რობერტ დინგაშვილი ტურნირის ჩემპიონია

გაგვახარა საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა 23 წლამდელთა შორის რობერტ დინგაშვილმაც. მან ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში ტოლი არავის დაუდო და დამაჯერებლად მოიპოვა ტურნირის ჩემპიონობა (მწვრთნელები ვ. ჭანტურიძე. გ. მეტრეველი, მ. როზომაშვილი).

***

15-17 თებერვალს თბილისში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, სადაც 61 და 70 კგ. წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს მიშო ბერძენიშვილმა და მაგამედ მალამაგამედოვმა, რომლებიც ჩარიცხეს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში (მწვრთნელები ვ. ჭანტურიძე, მ. როზომაშვილი, გ. მეტრეველი).



## ტრენინგი ყვარლის „ედემში“

საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რომელიც ყვარლის სასტუმრო „ედემში“ ჩატარდა, კახეთის რეგიონის ფერმერები და კახეთის მუნიციპალიტეტების საინფორმაციო – საკონსულტაციო სამსახურების ხელმძღვანელები იყვნენ მოწვეული.

დღევანდელი ჩვენი შეკრება-ტრენინგი ემსახურება იმას, რომ მოსახლეობა ერკვეოდეს პროექტ „დანერგე მომავლის“ კომპონენტებში და მაქსიმალური სარგებელი მიიღოს მისი განხორციელებით – აღნიშნა თავის გამოსვლაში სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორმა პაატა შეყელაძემ. დანერგე მომავლის პროექტით საქართველოში 5 ათას ჰექტარზე მეტია გაშენებული მრავალწლიანი ნარგავები და ამ მიმართულებით ლიდერია კახეთი. ჩვენ დღეს ეტაპობრივად უნდა განვიხილოთ ერთიანი „აგროპროექტის“ ფარგლებში ერთ-ერთი გამორჩეული პროექტის „დანერგე მომავლის“ შემადგენელი კომპონენტები და პირობები, შევიტანოთ ცვლილებები, რათა მარტივად მისაღები გახდეს ფერმერისათვის. ველით თქვენგან წინადადებებს და შენიშვნებს.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ ნინო ზამბახიძემ, აღნიშნა, რომ ერთიანი „აგროპროექტიდან“ ზოგი წარმატებით განხორციელდა, ზოგიერთი კი არა, ამიტომ მოდელირება უნდა მოვახდინოთ თქვენთან ერთად. თქვენი აქტივობაა საჭირო, რათა საქმიანი წინადადებები და შენიშვნები გამოთქვათ პროექტ „დანერგე მომავლის“ წარმატებით განხორციელების მიზნით.

ამავე ასოციაციის სერტიფიცირების სპეციალისტმა თეკლა გურგენიძემ, პროექტების მენეჯერმა თამთა მამულაიძემ, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილემ ომარ ბუკიამ ვრცლად ილაპარაკეს „დანერგე მომავლის“ სიახლეებზე.

„დანერგე მომავლის“ პროექტში მონაწილე ბენეფიციარებმა და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების უფროსებმა უამრავი წინადადება და შენიშვნა გამოთქვეს პროექტის მიმართ, რომელსაც მომავლისთვის გაითვალისწინებენ.

მისასალმებელია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უაღრესად საჭირო გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ტრაქტორებისა და მოტობლოკების შეძენის შეღავათიანი პროგრამით, რომელიც 50 პროცენტით თანადაფინანსებას ითვალისწინებს.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**





# ტრენინგი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებისათვის

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

2015 წლის ზაფხულში ორგანული კანონის XI თვის საფუძვლიანი ცვლილებით შემოღებული იქნა საკანონმდებლო რეგულაციები, რომლითაც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, როგორც სათათბირო ორგანოს გამოყენება ყველა მუნიციპალიტეტის მერის და თბილისის რაიონების გამგებლების მუშაობაში სავალდებულო გახდა.

28 თებერვალს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ტრენინგი ახლად არჩეული სამოქალაქო საბჭოს წევრებისათვის.

ტრენინგი გახსნა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა, მიესალმა საბჭოს წევრებს და გამოთქვა იმედი, რომ სათათბირო ორგანოს თვითეული წევრი მოსახლეობასთან კონსულტაციების მეშვეობით წარმოგვიდგენს ისეთ მოსაზრებებსა და წინადადებებს, რომ ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამართლებრივი აქტების პროექტები მოსახლეობის მოთხოვნილებებს პასუხობდეს.

არასამთავრობო ორგანიზაციის თელავის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარემ ლანა გაუარაშვილმა მოახდინა პროექტის პრეზენტაცია, ილაპარაკა მიზნებსა და ამოცანებზე.

მრჩეველთა საბჭოს წევრებმა მოისმინეს ტრენერ მამუკა აბულაძის ინტერაქტიური ლექცია – მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს იდეა, ისტორია, სამართლებრივი რეგულირება, ფუნქციები.

შემდეგ ტრენინგის ორგანიზატორებმა მრჩეველთა საბჭოს წევრებს გააცნეს თელავის, გურჯაანის, მახარაძის და სხვა მრჩეველთა საბჭოების მუშაობის გამოცდილება, ჩართეს პრაქტიკულ თამაშებში, შეაჯამეს ტრენინგის შედეგები.

ტრენინგს ესწრებოდა თელავის განათლების, განვითარების და დასქმების ცენტრის პროექტის კოორდინატორი დიანა რინვიაშვილი.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# აგრარულ საკითხთა კომიტეტმა მიწის ორგანული კანონის პროექტი განიხილა

კახეთის რეგიონში აგრარულ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, შეხვედრაზე სხვა საკითხებთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ ორგანული კანონის პროექტი განიხილეს.

„მიწა არის მნიშვნელოვანი აქტივი, ეს არის ეროვნული ღირებულების, ეროვნული უსაფრთხოების საგანი და მას სჭირდება სწორი მართვა", – განაცხადა პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ კახეთის რეგიონში გამართულ კომიტეტის გასვლით სამუშაო შეხვედრაზე.

კომიტეტის წევრებმა მიმდინარე წლის საგაზაფხულო სესიაზე დაგეგმილი საკანონმდებლო ინიციატივები განიხილეს.

საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" და მისგან გამომდინარე კანონპროექტები კომიტეტის წევრებს ოთარ დანელიამ გააცნო. კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული კანონი საქართველოს კონსტიტუციასთან სრულ თანხვედრაშია.

როგორც ოთარ დანელიამ აღნიშნა, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ" ორგანული კანონპროექტის მომზადება განპირობებულია ერთიანი სამართლებრივი სისტემის შექმნის აუცილებლობით, რომლითაც განსაზღვრული იქნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რაციონალური გამოყენების პრინციპები და მიწაზე საკუთრების უფლება.

„ორგანული კანონის პროექტი ქმნის საფუძველს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების სახელმწიფო პოლიტიკა შემუშავდეს ქვეყნის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, დადგინდეს მიწის მიზნობრივი დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიის განსაზღვრისა და მათი ცვლილების ერთიანი პრინციპები", – განაცხადა ოთარ დანელიამ.

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, კანონპროექტის მიღების მიზანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსის, რაციონალური გამოყენების პრინციპებისა და მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დადგენა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების გამჭირვალე და ერთიანი სისტემის შექმნა.

შეხვედრაზე კომიტეტის ახალი საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს კანონის პროექტი „ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების შესახებ" განიხილეს.

როგორც ოთარ დანელიამ აღნიშნა, კანონპროექტის მიღების მიზანი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ქარსაფარი ზოლების აღდგენის, გაშენების, მოვლისა და დაცვის ხელშეწყობა, ქარით გამოწვეული ნიადაგის ეროზიული პროცესების თავიდან აცილებაა.



„კანონის პროექტი ქმნის საფუძველს, განისაზღვროს ქვეყანაში ქარსაფარ ზოლებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა. დადგინდეს ქარსაფარი ზოლების აღდგენასთან, გაშენებასთან, მოვლასთან და დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები", – განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ.

მისი თქმით, 2019 წელს კომიტეტის ფარგლებში ფერმერული საქმიანობის თაობაზე კანონპროექტის მომზადება იგეგმება.

„აღნიშნული კანონი მოაწესრიგებს ფერმერების სამართლებრივ სტატუსს, დაადგენს რეგულაციებს ფერმერებისა და სახელმწიფო უწყებების ურთიერთკავშირის გაუმჯობესების მიზნით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კვლევა უცხო ქვეყნების არსებული პრაქტიკის და გამოცდილების, რის შემდეგაც სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მომზადდება კანონპროექტი", – განაცხადა ოთარ დანელიამ.

შეხვედრაზე შემუშავებაში მყოფ კანონპროექტებზე იმსჯელეს, როგორიცაა საქართველოს კანონის პროექტი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ" და საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე".

კომიტეტის წევრებმა აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2019 წლის სამოქმედო და საგაზაფხულო სესიის საზედამხედველო საქმიანობის გეგმა განიხილეს.

სამუშაო შეხვედრა კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) მხარდაჭერით ჩატარდა.

agrokavkaz.ge

# სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ

## უცხო ქვეყნის მოქალაქეს მიწის შეძენა ეკრძალება



აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტის ინიცირება მოხდა.

მთავარი კანონპროექტი თანმდევ კანონპროექტებთან ერთად კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტის ავტორმა, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ წარუდგინა.

ოთარ დანელიას განცხადებით, წარმოდგენილი კანონპროექტი დაეყრდნო საკონსტიტუციო ჩანაწერს – „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის, ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში", რომელიც დღეს მოქმედ კონსტიტუციაშია ასახული.

შესაბამისად, მომზადდა ორი კანონპროექტი, ერთი არის ორგანული კანონი, რომელიც აღნიშნულ საკითხს პრინციპების დონეზე არეგულირებს, განსაზღვრავს მის შესაბამის კრიტერიუმებს, მეორე – „მიწის მიზნობრივი დანიშნულების, განსაზღვრის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ" კანონპროექტი. მათგან გამომდინარე ცვლილებები შედის რამდენიმე მოქმედ კანონში.

„კანონის მიღების მიზანი არის მიწის, როგორც განსაკუთრებული რესურსის რაციონალური გამოყენების პრინციპების დადგენა, მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, მიწის სტატუსის და მიწაზე საკუთრების უფლების გამჭვირვალე და ერთიანი პრაქტიკული სისტემის შექმნა. ძირითად არსს წარმოადგენს წინამდებარე კანონის საფუძველზე მიწაზე სახელმწიფო საკუთრების პოლიტიკის შემუშავება და, რა თქმა უნდა, ქვეყნის ისტორიული, ტრადიციული გამოცდილების გათვალისწინება", – განაცხადა ოთარ დანელიამ კანონპროექტის წარდგენისას.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, ორგანული კანონპროექტი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: საკუთრების უფლების დადგენა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საჯარო და კერძო ინტერესების დაცვით; მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა; ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვა; ადგილობრივი მეურნეობის განვითარება.

„სასოფლოს სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკურ პირს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა ეკრძალება. ხოლო საქართველოში რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირმა, რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი, უნდა წარადგინოს საინვესტიციო გეგმა და მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში გაასხვისოს.

# ტექნიკაზე ფერმერების თანადაფინანსება (გრანტის სახით) 150 000 ლარამდე იქნება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამას იწყებს.

„ვფიქრობთ, რომ ტექნიკაზე წვდომის უზრუნველსაყოფად საჭიროა მთელი რიგი მიმართულებები, მათ შორის, საგრანტო და თანადაფინანსება. ჩვენ მივიღეთ გადაწვეტილება, რომ ახალი პროგრამის ფარგლებში 50% გრანტით თანადაფინანსება ექნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. მაქსიმალური ლიმიტი ამ შემთხვევაში განსაზღვრულია 150 000 ლარით. ეს თანხა იქნება გრანტი, რომელსაც ბენეფიციარი ფერმერი მიიღებს. მნიშვნელოვანია, რომ ფერმერები, რომელთაც სურთ ამ პროგრამაში მონაწილეობა რეგისტრირებულნი იყვნენ". – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე (განსაკუთრებით მოსავლის ამღები ტექნიკა, როგორც თვითმავალი, ასევე მისაბმელი) ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის ამოცანას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდად საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა თანადაფინანსების გზით.



პროგრამის ფარგლებში, რომლის ბიუჯეტიც 4,0 მილიონი ლარია, სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა ერთ ბენეფიციარზე შეადგენს შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების არაუმეტეს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 150,000 ლარისა.

პროგრამის ბენეფიციარი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მეწარმე ან კანონის შესაბამისად რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირი (მათ შორის სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი) რომელშიც სახელმწიფო არ ფლობს წილს/პაის/აქციას.

ბენეფიციარის მიერ შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა არ უნდა იყოს ექსპლუატაციაში მყოფი და წარმოებული უნდა იყოს შესყიდვამდე არა უმეტეს 2 კალენდარული წლით ადრე.

პროგრამა განხორციელდება „ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში, რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მისი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის შესყიდვის ხელშემწყობ სახელმწიფო პროგრამაზე პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემაც ისაუბრა, რომელმაც სოფლის განვითარების დარგში პოზიტიურ დინამიკაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის ნაწილში მხარდამჭერი პროგრამები აუცილებელია.



# ახალგაზრდული ხედვა კახეთი

ორგანიზაცია „ახალგაზრდული ხედვა კახეთი 2017 წლის 4 მაისს დაფუძნდა საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, რომლის მისიაა:

ხელი შეუწყოს რეგიონში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების განვითარებას, რათა ისინი ზრუნავდნენ თემის გაძლიერებისთვის.

მიზნები:

1. ახალგაზრდული კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტის გათვალისწინებით ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა;

2. თემში ბავშვთა დაცვის საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება და რეფერირების სისტემის ხელშეწყობა;

3. მოზარდების, ახალგაზრდებისა და მათი მშობლების პოზიტიური ურთიერთობის ხელშეწყობა;

4. რეგიონში და მის გარეთ ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა;

5. ახალგაზრდული საქმიანობის პოპულარიზაციის ხელშეწყობა ფორმალური განათლების სისტემაში (სკოლა/უნივერსიტეტი);

6. ბავშვების, ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან კოორდინირებული მუშაობა;

7. ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების, მუნიციპალურ და სამთავრობო დონეზე არსებულ სამსახურებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.

. ეწევა საგანმანათლებლო–შემეცნებით საქმიანობას, აწყობს ტრენინგებს, კონფერენციებს, სემინარებსა და დისკუსიებს, ეხმარება მოზარდებს და ახალგაზრდებს ფინანსური დამოკიდებლობის მიღწევაში და ხელს უწყობს მათი სოციალური უნარების გაძლიერებას.

. საჭიროებისამებრ ატარებს კვლევებს ბავშვთა და ახალგაზრდული მიმართულებით;

. ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას;

. აწყობს ლაშქრობებს, ექსკურსიებს, საქველმოქმედო და ეკოლოგიურ აქციებს, სამეცნიერო შეხვედრებს, თემატურ საღამოებს, გამოფენებსა და სხვა შემეცნებით, შემოქმედებით, კულტურულ – ინტელექტუალურ, სპორტულ და გასართობ ღონისძიებებს.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაციამ სამი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, რომლებიც მორგებული იყო ადგილობრივი ახალგაზრდების საჭიროებებზე.

**1. პროექტის დასახელება:** საზაფხულო ბანაკი „ახალგაზრდები ცვლილებებისთვის“

**პროექტის მიზანი:** ტრენინგების საშუალებით ახლგაზრდებმა განივითარონ ცნობიერების დონე სამოქალაქო აქტივიზმსა და მოხალისეობის კულტურის შესახებ საზაფხულო ბანაკში.პროექტის ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტის 6 სოფლიდან (აკურა, ვანთა, კონდოლი, ნაფარეული, სანიორე, ფშაველი) აპლიკაციებისა და გასაუბრების საფუძველზე შეირჩნენ სკოლის მოსწავლეები 4 დღიანი საზაფხულო ბანაკისთვის, სადაც ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებში თემაზე „ სამოქალაქო აქტივიზმი და მოხალისეობის კულტურა“.

**საქმიანობის განხორციელების ვადები:** 6-10 ივლისი, 2017.

დამფინანსებელი: World Vision ეორგია კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამა.

**2. პროექტის დასახელება:** ადრეული ქორწინების საზიანო პრაქტიკა

**პროექტის მიზანი:** პროექტის მიზანია კახეთის რეგიონის სამიზნე თემებში ცნობიერების დონის ამაღლების გზით მოხდეს ადრეული ქორწინების ფაქტების შემცირება და პრევენციული ღონისძიებების გატარება შესაბამის ასაკობრივ კატეგორიაში.

**საქმიანობის განხორციელების ვადები:** 2017 წლის ნოემბერი-დეკემბერი.

**დამფინანსებელი:** „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“

ორგანიზაცია ახალგაზრდული ხედვა კახეთმა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების, ქსელისა და გაეროს გენდერული თანასწორობისათვის ერთობრივი პროგრამის დაფინანსებით განახორციელა ადრეული ქორწინების პრევენციის პროექტი, რომლის მიზანია კახეთის რეგიონის სამიზნე თემებში ცნობიერების დონის ამაღლების გზით ადრეული ქორწინების ფაქტების შემცირება და პრევენციული ღონისძიებების გატარება ახალგაზრდებთან, მათ მშობლებთან და სკოლის პედაგოგებთან.

**შედეგი:** პროექტის ბენეფიციარებმა საინფორმაციო შეხვედრების საშუალებით მიიღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის შესახებაც არ იცოდნენ. მაგალითად ბავშვთა უფლებათა კონვენციის მიხედვით მუხლი პირველის თანახმად, რომ 18 წლამდე პირი არის ისევ ბავშვი, ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის შესახებ.

**3. პროექტი:** სათავგადასავლო ბანაკი ყაზბეგში.

10-13 ივლისს დაბა ყაზბეგში ჩატარდა სათავგადასავლო ბანაკი ყაზბეგში, სადაც მონაწილეობა მიიღო 11 თემიდან (ფშველი, სანიორე, ნაფარეული, წინანდალი, კისისხევი, აკურა, ვანთა, ბუშეტი, ვაჩნაძიანი, ვაზისუბანი, შაშიანი) აპლიკაციების საფუძველზე შერჩეულმა 25, 14-16 წლამდე ახალგაზრდამ. ბანაკის მონაწილეები ჩართულები იყვნენ საგანმანათლებლო სესიებში , შემეცნებით სათავგადასავლო ტურებსა და აქტივობებში.



მონაწილეებს სესიები ჩაუტარდათ შემდეგ თემებზე: პირველადი სამედიცინო დახმარება, სალაშქრო ეკიპირება, ბუნებაში თვით გადარჩენის ინსტრუქტაჟი და გარემოს დაცვა.

**საქმიანობის განხორციელების ვადები:** 10-13 აგვისტო, 2018.

**დამფინანსებელი:** World Vision ეორგია კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამა.

**4.** ორგანიზაცია ამჟამად ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით თელავის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრთან თანამშრომლობით ახორციელებს პროექტს: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გაძლიერება სოციალური სერვისების გაუმჯობესების მიზნით“, პროექტის განმახორციელებელი პარტნიორები არიან World Vision საქართველო და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია.

**პროექტის მიზნებია:**

1. მუნიციპალური მრჩეველთა საბჭოს შექმნითა და აქტიური ფუნქციონირებით გაზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2. CVA ადვოკატირებით (სამოქალაქო ჩართულობა და პასუხისმგებლობა) სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი (14-18 წლის ასაკის) და ზრუნვიდან გამოსული (18 +) ახალგაზრდების საჭიროებები მიიტანოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე.

პროექტის ხანგრძლივობაა 7 თვე, 2018 წლის ოქტომბერი – 2019 წლის აპრილი. 2018 წლის ნოემბერში მოხდება მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის განახლება, დეკემბრის თვიდან – 2019 წლის მარტში პროექტის განმავლობაში იგეგმება ტრენინგები მუნიციპალური მრჩეველთა საბჭოს წევრების გაძლიერების მიზნით.

ამ ეტაპზე პროექტის განხორციელება მიმდინარეობს.

# ბი-ბი-სი: „შეუძლია თუ არა ქართულ ღვინოს გადაიბიროს მსოფლიო ღვინის მომხმარებლები?“



„შეუძლია თუ არა ქართულ ღვინოს გადაიბიროს მსოფლიო ღვინის მომხმარებლები?“ (Can Georgian wine win over global drinkers?) – სტატია ამ სათაურით, მსოფლიოში ცნობილმა გამოცემა ბი-ბი-სიმ გამოაქვეყნა.

სტატიაში საუბარია, რომ საქართველო მეღვინეობის სამშობლოა, სადაც ღვინის წარმოება 8 ათასი წლის უკან დაიწყეს და სადაც უნიკალური ღვინოები იწარმოება. ავტორი ეწვია ქართული ღვინის მწარმოებელ რამდენიმე კომპანიას, სადაც 2-ტონიანი ქვევრებიდან ღვინოც დააგემოვნა.

„საუკუნეების მანძილზე მეღვინეობა ქართული ეკონომიკის უმთავრესი შემადგენელი იყო, ხოლო ღვინის ექსპორტის დიდი ნაწილი რუსეთში მიემართებოდა“, – აღნიშნულია სტატიაში. ავტორი მიუთითებს, რომ 2006 წლის რუსული ემბარგოს შემდეგ, საქართველომ ახალი პარტნიორების ძებნა დაიწყო და ამჟამად ქართული ღვინის ექსპორტი მსოფლიოს 55 ქვეყანაში ხორციელდება. „2013 წელს რუსეთში ექსპორტის განახლების შემდეგ, რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში 62%-მდე შემცირდა“ – ნათქვამია ბი-ბი-სის სტატიაში.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი ჩოლობარგიას განცხადებით, სააგენტოს ძირითადი აქცენტები მიმართულია ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ბაზრებისკენ.

„ჩვენ არ ვართ დიდი სახელმწიფო, ჩვენი წარმოების მაქსიმალური მოცულობა წლიურად 300 მილიონ ბოთლს შეადგენს, რაც ავსტრალიის ერთი დიდი ღვინის საწარმოს პროდუქციის ტოლია. ჩვენ კონკურენციას ვერ გავუწევთ საფრანგეთს, ესპანეთს, ჩილეს და სამხრეთ აფრიკას (სიდიდით), თუმცა ის, რისი შეთავაზებაც ჩვენ შეგვიძლია, არის უნიკალურობა, ჩვენი ყურძნის ჯიშები და ქვევრის ღვინო – ჩვენი ისტორიაა. ახლა ჩვენი სტრატეგიული ძალისხმევა მიმართულია დასავლეთისა და აზიისკენ და ზოგადად, საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციისკენ“ – აღნიშნავს ირაკლი ჩოლობარგია.

სტატიაში ასევე მოყვანილია ამერიკელი ღვინის მაგისტრის ლიზა გრანიკის შეფასებები, რომელიც აცხადებს, რომ დასავლეთში სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს სურს დააგემოვნოს და გაიცნოს უძველესი და გამორჩეული ქართული ღვინოები.

agrokavkaz.ge

# სანერგე მეურნეობები სარგავი მასალის სერტიფიცირების პროცესში ჩაერთვებიან

საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სანერგე მეურნეობები სარგავი მასალის სერტიფიცირების პროცესში ჩაერთვებიან.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებმა, კვალიფიციურობის დადგენის მიზნით, კახეთის რეგიონში სანერგე მეურნეობები დაათვალიერეს.

საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სანერგე მეურნეობა შეძლებს სარგავი მასალის სერტიფიცირების პროცესში ჩაერთოს.

სარგავი მასალის ნებაყოფლობითი სერტიფიცირების პროცესი მიმდინარე წელს დაიწყება და მას სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი უფასოდ განახორციელებს.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახურში გაკეთებული განაცხადის საფუძველზე, აღნიშნული სამსახურის სპეციალისტები საველე ინსპექტირებას ჩაატარებენ.

ლაბორატორიული ანალიზებისა (ვირუსები, ნიადაგი) და საველე ინსპექტირების შედეგებზე დაყრდნობით, სარგავი მასალის ჯიშობრივი ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი გაიცემა.



სანერგე მეურნეობების კვალიფიციურობის დადგენა 2017 წლიდან ხორციელდება. ამ ეტაპზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, კვალიფიციურობა 80-მდე სანერგეს აქვს მინიჭებული.

სარგავი მასალების სერტიფიცირების პროცესს კანონი „სავალდებულო სერტიფიცირებას დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ არეგულირებს.

აღნიშნული კანონი ძალაში 2017 წლის 1 ივნისს შევიდა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის წარმოებასთან, აღწარმოებასთან, გადამუშავებასთან, სერტიფიცირებასთან, რეალიზაციასთან, მიკვლევადობასთან და ადგილობრივ და იმპორტირებულ თესლსა და სარგავ მასალასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს.

agrokavkaz.ge

# რისი გაკეთება არ შეიძლება გაღვიძებისთანავე?

ყველას გაგვიგია გამონათქვამი „დღეს მარცხენა ფეხზე ავდექი“. ერთი შეხედვით სულელური ფრაზის უკან დიდი ჭეშმარიტება იმალება. ფაქტობრივად, დილის დაწყება განაპირობებს მთელ დარჩენილ დღეს.

თუ გვიან გაიღვიძებთ, წამოხტებით, ცივ შხაპს მიიღებთ და დაიწყებთ საქმის კეთებას, დიდი ალბათობით, დღე არ იქნება ნაყოფიერი. ხოლო, თუ თავის დროზე გაიღვიძებთ, დამშვიდებული გაემზადებით და შემდეგ შეუდგებით საქმის კეთებას, თქვენი დღე გაცილებით წარმატებული იქნება.

ადამიანები ბევრ შეცდომას უშვებენ და არასწორად იქცევიან გაღვიძებისას, რაც განაპირობებს მათ უხასიათობასა და წარუმატებელ დღეს. ასეთი შედეგის თავიდან ასაცილებლად გთავაზოთ რამდენიმე რჩევას, თუ როგორ არ უნდა მოიქცეთ გაღვიძებისას.

### არ გაახანგრძლივოთ დრო მაღვიძარაზე

ძილის ყველა სპეციალისტი თანხმდება, რომ მაღვიძარას ფუნქცია „გაგრძელება“ არაა ეფექტიანი. ყოველი გადავადების შემდეგ, კვლავ ეფლობით ძილის ციკლში, რომელიც რამდენიმე წუთში ისევ მთავრდება. იქიდან გამომდინარე, რომ ვერ ხდება ძილის მთლიანი ციკლის დამთავრება, გაღვიძებისას თავს დაღლილად გრძნობთ და დღის დაწყებაც გეზარებათ.

მაღვიძარას პირველივე დარეკვისთანავე, გაწელეთ კიდურები, ასე უფრო კარგად მოემზადებით წამოდგომისთვის, გაწელვის შემდეგ წამოდექით საწოლიდან და დაიწყეთ დღე.

### არ შეამოწმოთ ელ. შეტყობინებები

გაღვიძებისთანავე მობილურისა ელ. ფოსტის შესწორებამ შეიძლება დაგიკარგოთ სტიმული დაიწყოთ დღე ხალისიანდ. ნაცვლად შეტყობინებების კითხვისა, ფოკუსირდით მშვენიერ დილაზე. შეტყობინებების ნახვას სამსახურშიც შეძლებთ.

### არ მიიღოთ ყავა მყისიერად

კვლევებმა აჩვენა, რომ დილის 8 საათიდან 9-მდე პერიოდში ჩვენი ორგანიზმი



დიდი რაოდენობით კორტიზოლს გამოყოფს. კორტიზოლი სხეულის ენერგიის მარეგულირებელია. 9:30-მდე ყავის დალევამ შეიძლება გამოიწვიოს კორტიზოლის გამოყოფის შემცირება.

### არ დატოვოთ ოთახი მირეული

ხშირად ვტოვებთ ოთახს მირეულს, როდესაც ძალიან გვეჩქარება. მეცნიერები ამბობენ, რომ დილით ოთახის დალაგება ნაყოფიერი დღის დაწყების წინაპირობაა.

# თქვენ შემაყვარეთ ყვარელი

*წლის ყველა დრო – გაზაფხული თუ ზაფხული, შემოდგომა თუ ზამთარი – თავისებურად მშვენიერია, მაგრამ ყველაფერს დედოფალივით მორთავს ხოლმე გაზაფხული; ბუნება იღვიძებს და თითქოს გამაცოცხლებელ ენერგიას მატებს ადამიანს; თითქოს ახალ ცხოვრებას ვიწყებთ ახალი იმედებითა და შემართებით. მარტის თვე ერთობ ლამაზი და განუმეორებელი იმითაც არის, რომ მას ქალთა თვედ იტყვიან: 3 მარტი – დედის დღე და 8 მარტი – ქალთა ულამაზესი დღესასწაული! ამ დღესასწაულებთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ, ჩვენთან სასაუბროდ მოგვეწვია ახალსოფლის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, გაზეთ „ყვარლის“ ყოფილი თანამშრომელი, ქალბატონი ქეთევან კვარაცხელია.*

**– ქალბატონო ქეთევან, პირველ რიგში, გილოცავთ მარტის თვის ლამაზ დღესასწაულებს, გაზაფხულის დადგომას. გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს თქვენს საზოგადოებრივ საქმიანობაში. სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ, როგორც საგაზეთო წერილების ავტორი, დიდი ხანია, არ გამოჩენილხართ მკითხველების წინაშე. არ მოგენატრათ?**

– უპირველესად, მადლობა მოლოცვისთვის და იმისთვის, რომ ამ ინტერვიუთი შემაძლებინეთ საგაზეთო სივრცეში კვლავ შესვლა და დამაბრუნეთ იმ სამყაროში, რომლის ნოსტალგია მუდმივად მაქვს.ზუსტად ოცდაათი წლის წინ მორიდებით შევაბიჯე სრულიად უცხო სამყაროში მოხვედრილმა მაშინდელი რედაქციის შენობაში და მას შემდეგ ჩემს გონებას არ მოშორებია სტამბის კარებზე გაკრული წარწერა: „რედაქცია მეორე სართულზეა!’, უკეთილშობილესი და გენიალური ადამიანის, ავთანდილ გაფრინდაშვილის, მშვიდი სახე და თბილი დახვედრა, რედაქციის თითოეული თანამშრომლის სიყვარულით სავსე სათუთი დამოკიდებულება ჩემდამი, გაზეთ „ყვარლის“ მაშინდელი გემოვნებიანი მკითხველი და თქვენთან გატარებული რამდენიმე წელი. მადლობა თქვენ იმისთვის ( შეიძლება ეს ხმამაღლა არასდროს მითქვამს!), რომ პირველებმა დამანახეთ კახელი ადამიანის კეთილი გული, კახური სითბო, გულწრფელობა და სიხალასე; თქვენ, პირველებმა, შემაყვარეთ ყვარელი, კახეთი, როგორც ხუმრობით ვიტყვი ხოლმე, საქართველოს უკიდურესი დასავლეთიდან უკიდურეს აღმოსავლეთში „გადმოხვეწილს“. მომყვება და მომყვება ეს მშვენიერი განცდა და თქვენთან ყოფნის ბედნიერება დღემდე!

რაც შეეხება, მონატრებას, იცით, როდის მომეძალა განსაკუთრებით ჟურნალისტური საქმიანობის ნოსტალგია? ამ ორიოდე წლის წინ შემთხვევამ ბატონ გოჩა შავგულიძესთან მომახვედრა. როცა ჩემი სახელი და გვარი დავუსახელე, გაიღიმა: „ააა, თქვენ ის არა ხართ, გაზეთ „ყვარელში“ რომ მუშაობდითო?“. ეს სიტყვები ჩემთვის დიდი ბედნიერებაც იყო და სინანულის მომგვრელიც. მერე მეღიმებოდა: ერთ კაცს მაინც თუ დაამახსოვრდა დიდი ხნის წინ შენი საგაზეთო საქმიანობა, ეტყობა, რაღაც გაგიკეთებია-მეთქი. მადლობა ამისთვის ბატონ გოჩას!

**– ჩვენგანაც მადლობა, რომ ასე თბილად საუბრობთ ჩვენზე, ყვარელსა და კახელებზე. ჩვენ ვიცით, რომ საგაზეთო საქმიანობა შეცვალა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ.**

– დიახ, 1993 წლიდან ვმუშაობ ჩემი სოფლის პირველ საჯარო სკოლაში. ეს უკვე ჩემი მეორე სახლია. ვფიქრობ, არც თუ ისე ცუდად წარვმართავ ჩემს საქმიანობას, ეს უკვე სხვისი შესაფასებელია. ვიტყვი მხოლოდ ერთს: პედაგოგიური წინსვლისთვის ვიბრძოდი ყოველთვის და, წლების მიუხედავად, არც ახლა ვჩერდები. არ მაკლია პედაგოგიური საქმიანობისთვის უმთავრესი რამ: პასუხისმგებლობა, კომპეტენცია და სკოლისა და მოსწავლის სიყვარული. ჩემი საქმიანობის შემფასებლები კი კოლეგები, ჩემი მოსწავლეები და მათი მშობლები არიან. აქვე ვიტყვი, რომ კარგი, დახვეწილი პედაგოგიური კოლექტივი გვაქვს, ამდენად აქ მუშაობასაც თავისებური ხიბლი აქვს.

**– ქალბატონო ქეთევან, გთხოვთ, გვესაუბროთ ოჯახში ქალის როლზე, რამეთუ ზოგჯერ მათს შრომას პატივს არ სცემენ, როგორც იტყვიან ხოლმე – ქალის შრომა დაუფასებელია.**

– მიგიხვდით, საით მიემართება ეს ცნობილი გამონათქვამი თქვენს კითხვაში, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია მასში ჩადებული პირველაზრი. დარწმუნებული ვარ, ამ სიტყვების ავტორმა იგულისხმა სწორედ ის, რომ ოჯახში ქალის, დედის მიერ გაწეული შრომის შეფასება შეუძლებელია და ასეც არის. რას ვიტყვი ახალს, როცა არსებობს გამონათქვამი: დედა ოჯახის ბურჯია. ბრძენ ქართველ კაცს ქალის, დედის შრომა რომ დაფასებული არ ჰქონოდა და გააზრებული, არც შექმნიდა თითოეული ჩვენგანისთვის ნაცნობ და მრავალგზის გამოყენებულ სიტყვებს: დედაბოძი, დედაქალაქი, დედაენა, დედააზრი და ასე შემდეგ. არა მგონია, მხოლოდ იმიტომ შეიქმნა ეს სიტყვები, რომ ქალი სიცოცხლის საწყისია. აი, ქალის შრომის დაუფასებლობა კი ნამდვილად სიბრიყვის ნიშანია, ამგვართაგან კი რა უნდა გვიკვირდეს, ნამდვილად არ ვისურვებდი ასეთებთან ურთიერთობას. გონიერი მამაკაცი კარგად ხედავს ქალის საქმიანობის სიმძიმეს, როგორც გონიერი ქალი – მამაკაცის როლს ოჯახის წინსვლაში.

**– კარგ და კეთილშობილ შვილებს უზრდით სამშობლოს. არ გაგიჭირდათ შვილების გაზრდა, როცა პარალელურად იყო სამსახური, ოჯახი, სოფელში სამეურნეო საქმიანობა და სხვა რამ, რაც თქვენგან ენერგიას მოითხოვდა. მარტო ხომ არ იყავით შეჭიდებული ამ ძნელ საქმეს?**

– არა, რას ამბობთ? მარტო რის გაკეთებას შევძლებდი იმ ბნელ, უშუქო და ნახევრადშიმშილიან 90-იანებში. პირიქით, ჩემ გვერდით იდგა ჩემი ოჯახი – პატიოსანი და ალალმართალი, არ შემიძლია არ აღვნიშნო, ჩემი პატივისმცემელი და შრომის დამფასებელი დედამთილ-მამამთილი და მეუღლე. გვიჭირდა – ერთად გვიჭირდა, გვილხინდა და ისევ ერთად! ყველაფერს ვუძლებდით, თუმცა როგორც მე, ისე ბევრი სვამს დღეს ამ კითხვას: როგორ გავუძელით?

იცით, ყოველთვის ტკბილად ვიხსენებ ერთ შემთხვევას: როგორც იქნა, გავიარეთ ეს ე.წ. ოთხმოცდაათიანი წლები, თუმცა დღესაც მწარეა იმის შეგრძნება ჩემთვის, რომ ბევრი რამ, ბავშვისთვის საჭირო და აუცილებელი, დააკლდა ჩემს და ასევე სხვის შვილებსაც იმ პერიოდში. შემდგომში ხშირად ვწუწუნებდი, რა ცუდი დრო გამოვიარეთ, ბავშვები ზოოპარკშიც კი ვერ დამყავდა-მეთქი. ერთხელ სკოლის მოსწავლეები წავიყვანე ექსკურსიაზე. გზად ზოოპარკშიც გამოვიარეთ გასართობად. იქ დაგვხვდა ჩემი ვაჟი, უკვე უნივერსიტეტის სტუდენტი. როცა მშობლებმა შვილები აქეთ-იქით გასართობად წაიყვანეს, ღიმილით მომიბრუნდა ჩემი შვილი და ეშმაკურად მეუბნება: „დე, ჩამკიდე ხელი და შემომატარე მთელი ზოოპარკი, ამით ხომ დიდი ხნის ოცნებას აისრულებ და საწუხარსაც მოიშორებ“. მე ბედნიერი ვიყავი იმის შეგრძნებით, რომ შეიძლება მატერიალურად რაღაც დააკლდათ ჩემს შვილებს ბავშვობაში, მაგრამ სულიერი სითბო მათ მიიღეს ოჯახში , ამჯერად ეს სიტყვები სწორედ იმის დასტური იყო, რომ მათ გაიაზრეს მშობლების ყოველმხრივი მცდელობა კეთილშობილ ადამიანებად მათს ჩამოსაყალიბებლად. ეს მხოლოდ ჩემი, როგორც დედის, დამსახურება როდი იყო, არამედ მთელი ჩემი ოჯახისა.



**– როგორც მეუღლე, ოჯახურ იდილიაზე რას გვეტყოდით?**

– გააჩნია, ვის როგორ ესმის ოჯახური იდილია? სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, სხვისი შეხედულების გაზიარება! – ვფიქრობ, ამაზე უნდა აიგოს ოჯახის იდილიური ყოფა. თუ ოჯახი ჭეშმარიტ სიყვარულზეა დაფუძნებული, იქ ყველა ბარიერი გადალახვადია. იქნებ ვცდები, მაგრამ მე ვერც წარმომიდგენია ოჯახური ცხოვრება ცოლ-ქმარს შორის რაღაც წინააღმდეგობის, აზრთა სხვადასხვაობის, თუნდაც მცირე წაკინკლავების გარეშე. ჩვენ ხომ ადამიანები ვართ, ჩვენი დადებითითაც და ნაკლითაც! შეიძლება გულისტკენაც იგრძნოს რამით რომელიმე მხარემ, მაგრამ ეს იმდენად ხანმოკლეა, როცა მისი აღმატებულება სიყვარული მეუფეობს ოჯახში, რომ ასეთი წუთები მალევე ქრება მეხსიერებიდან და რჩება დიდებული რამ – შენ გვერდით ადამიანი, რომელიც შენთან ერთად ეწევა ცხოვრების მძიმე უღელს. ეს მგონია ბედნიერება და იდილიაც!

**– ამბობენ, შვილები არ აგებენო პასუხს მშობლების მიერ განვლილი არასწორი ცხოვრების გამო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

– ეს კითხვა ღრმა ფიქრსა და ანალიზს მოითხოვს. შესაძლებელია, პასუხიც საორჭოფო გამომივიდეს, თუმცა პრეტენზიაც არა მაქვს ჩემი შეხედულების ჭეშმარიტებაზე. მე კი ვეთანხმები ამ მოარულ აზრს, მართლაცდა, რატომ უნდა აგოს შვილმა მშობლის ურიგო საქციელზე პასუხი? მაგრამ ხდება კი ასე ცხოვრებაში? აქვე არ მასვენებს კითხვა: ხომ არ არის მოგონილი ეს აზრი ცხოვრების არასწორ გზაზე მავალი მშობლების სინდისის დასამშვიდებლად? ხომ არ ჰგონია ვინმეს, რომ შთამომავლობის წინაშე ამით იმართლებს თავს? ვიცით, უფრო ადრიდან მოსდევს ქართველის გონებას ბრძნული ანდაზა: „პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო“. მე მგონია, ამ შეგონებას უფრო უნდა მისდიოს ადამიანმა, ცხოვრება ამას მეუბნება. რამდენადაც ჩადენილ ცოდვასა თუ ურიგო ქცევას ვერავინ გაქცევია ჯერ. და ვაი, იმ მშობელს, შვილს რომ გადააბარებს თავის ცოდვას!

**– რა არის მყარი ოჯახის შესანარჩუნებლად საჭირო, ხდება ისე, რომ ზოგჯერ მცირე შეცდომის გამო ოჯახი ინგრევა.**

– მუდმივად ვიმეორებ, ოჯახის სიმყარისთვის აუცილებელია მისი შექმნა სიყვარულით, ორმხრივი ნამდვილი სიყვარულით, რომელიც ახალგაზრდებს გატაცებასა და „თვალით სიყვარულში“ ერევათ! უამისოდ მცირე შეცდომაც უპატიებლად ეჩვენებათ და ინგრევა ოჯახი.

სწორედ სიყვარული უდევს საფუძვლად მიმტევებლობას! მცირეს კი არა, დიდ შეცდომასაც აპატიებ საყვარელ ადამიანს. მიუტევებელი შეცდომისაგან კი ღმერთმა დაგვიფაროს!

**– თქვენი შვილების შესახებ თუ გვეტყოდით რამეს?**

– შვილები – ჩვენი ცხოვრების აზრი! ქალ-ვაჟი მყავს – ნინო და გიორგი. (მკითხველმა მაპატიოს, თუ წამძლია სულმა და მშობლურად ცოტა წავიტრაბახო, იქნებ მონატრების ბრალიც იყოს!) ერთად დაამთავრეს სკოლა 2009 წელს, სკოლაში წარმატებული და აქტიური ბავშვები იყვნენ, მონაწილეობდნენ სასკოლო თუ რაიონულ ღონისძიებებში. იმ დროის ყვარელსაც კი სიამოვნებდა გიორგის მუსიკალური თუ თეატრალური გამოსვლები საზრიანთა და მხიარულთა კლუბში. სასკოლო ღონისძიებების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო, ეს იყო, ალბათ, მიზეზი, რომ სკოლამ დასაჩუქრებული გაუყენა იგი დამოუკიდებელი ცხოვრების გზას, რის გამოც დღესაც მადლიერი ვარ სკოლის მაშინდელი ხელმძღვანელობისა, ბავშვმა იგრძნო, რომ სასიკეთო შრომა ყოველთვის დაფასდება. ნინომ ტექნიკური განხრა აირჩია, გიორგიმ თეატრალური დაამთავრა. მაგრამ ცხოვრებამ გიორგი ამერიკაში მოახვედრა, მწვანე ბარათის მიღების შემდეგ აგერ ხუთი წელია ნიუ-იორკში ცხოვრობს და ცდილობს, წარმატებებს მიაღწიოს თავის საყვარელ საქმიანობაში, ქმნის მუსიკას და, იმედია, ამ საქმეშიც გამოავლენს თავის მიზანსწრაფულობას და მიაღწევს წარმატებებს. ნინო ცხოვრობს თბილისში, მუშაობს, შექმნა სიყვარულით სავსე ბედნიერი ოჯახი. ახლა ჩემს ოჯახურ იდილიას შვილიშვილები აკლია და ვარ მათს მოლოდინში!

**– მეუღლის მიერ მორთმეულ რაიმე საჩუქარს თუ ელოდებით ხოლმე გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებზე?**

– საჩუქარი – მატერიალური? ყველა ქალი ელის და იღებს საჩუქარს, მათ შორის, მეც, მით უმეტეს, მეუღლისგან მორთმეულს. მთავარია, ვინ რა საჩუქრის მოლოდინშია ან ვინ რას თვლის მისთვის სასურველ საჩუქრად?

ჩემთვის ყველაზე სამახსოვრო საჩუქარი, იცით, რა იყო? – დიდთოვლიან ზამთარში რაღაც საოცრებით ვარდის ბუჩქს შერჩენილი წითელი კოკრის მორთმევა გაყინული ხელებით! რომანტიკოსობაა არა? რა ვქნა, წლებიც ვერ აქრობს ამ საოცარ ბუნებას! ისე კი ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ჩვენი ერთად ცხოვრებაა და ჩვენი შვილები.

**– რას უსურვებდით ჩვენს ქალბატონებს, მამაკაცებს, ახალგაზრდებს?**

– უპირველეს ყოვლისა, თითოეულმა ჩვენგანმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენი ბედნიერება ჩვენს ხელშია!

ადამიანებმა ერთმანეთის ფასი უნდა ისწავლონ, ბოლო პერიოდში მგონია ამის სინაკლებეს განვიცდით. თითქოსდა ამპარტავნება გვძალავს, ამიტომაც ხშირად ვმოძღვრავ ჩემს მოსწავლეებს: არავინ იფიქროს, რომ სხვაზე მეტია რაიმეთი, მაგრამ არც ის იფიქროს, რომ სხვაზე ნაკლებია.

რას ვუსურვებდი? – ბედნიერების ღიმილი ეფინოთ სახეზე, სიყვარულით სავსე გულით იცხოვრონ, ჯანმრთელები იყვნენ როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. ქალბატონებო, იგრძენით, რომ თქვენ გვერდით ცხოვრობს მამაკაცი, რომელიც პატივს გცემთ; მამაკაცებო, პატივი ეცით ქალს, რამეთუ ის თქვენი ღირსებაა; ახალგაზრდებო, სიყვარულით შექმენით ოჯახი, იყოლიეთ და ქვეყანას აღუზარდეთ ბევრი ღირსეული შვილი! საბოლოოდ კი ყველამ ყური მივაპყროთ გენიოს ვაჟას: „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!“, რამეთუ „სიყვარული ატრიალებს დედამიწას!“

გმადლობთ.

**ესაუბრა**
**დალი ტატულიშვილი**



# „მოვუფრთხილდეთ, მოვეფეროთ, ქალი მაინც ქალია“...

„მთელი ცხოვრება თანმდევდა ფიქრი ერთ ქალზე, ვალი რით მეზღა, ვინც სიცოცხლე სიმწრით მაჩუქა და ბოლოს მივხვდი: აზრი არა აქვს ფიქრს დედის ვალზე, სიყვარულს ვინ ზღავს, დედამ შვილზე რომ გააჩუქა?!“

„სიყვარულის წილ – სიყვარული, ვით ძველი ვალი, შენ მოგიძღვენი, დედაჩემო, ვარდის რითმებით, ერთ ძნად შეკრული თაიგული; „რომ არა ქალი... და გულით თქმული „ჩემი სულის მარგალიტები“. დიახ, ჩვენი რაიონის გავაზის მკვიდრის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრის, ადვოკატის, პოეტ ზაქრო ბუთიაშვილის ეს სტრიქონები მის შესავალ წიგნს ამშვენებს. მის მიერ შექმნილი წიგნი, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ გამოვიდა, ალბათ ყველა ოჯახის სამაგიდო წიგნად იქცა. კითხულობ მას და თითქოს ერთ ძნად შეკრული დედასა და საერთოდ ქალზეა აგებული. როგორც თვითონ გვიმხელს წიგნში, თერთმეტ შვილიან ოჯახში გაზრდილს მძიმე ბავშვობა ჰქონია. მიუხედავად ამისა, ბავშვობიდან ნიჭიერს მაინც უმაღლესი სწავლა-განათლება მიუღია. როგორც ილია იტყოდა, „პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა“... ეს ღვთივ რჩეული სწორედ ბატონი ზაქრო ბუთიაშვილია.

„და ღმერთად ვცან მე – ქალი ვინმე, ვინც საქართველოს სანთლად დაიწვა და დედის ძუძუს რძის მადლს ვფიცავ მე, ენა და რწმენა ქალმა დაიცვა“; ასე მოიხსენიებს ქეთევან წამებულს თავის ერთ-ერთ ლექსში „რომ არა ქალი“, ან კიდევ „მე ქალს ვუმღერი, როგორც ფუტკარი – ყვავილთა ნექტარს, ნეტავ კი შევძლო, ქალღმერთზე სიტყვა ლექს-ჰიმნად მეთქვას, ქალია ჩემთვის ათინათის ნათელი სხივი, კაცს რომ აბრწყინებს, ვით ალმასის წახნაგა მძივი“.

მის ლექსებში მრავლად ჩანს ერის, ენის სარწმუნოების, სამშობლოს, კაი ყმის და კაი ქართველის სიყვარული, რომელიც ჩვენი რაიონის მკვიდრებსაც ეხებათ.

„კარგ ყმას რად უნდა ვინმესი ქება
ან კიდევ ფეხქვეშ ფარდაგის გება.
სანთელი იწვის, კვამლი კი ქრება,
მაგრამ საკმევლის სურნელი რჩება“

ყველა ქალს რომ ქალად აღიქვამს, ეს კარგად ჩანს მის ერთ-ერთ სტროფში.

ვიცი, ვიღაც თვალს ჭუტავს
(სიმართლე უნდა ითქვას)
და იქედნური ღიმილით,
მისვამს უცნაურ კითხვას:
– მაშ, ამ ქვეყნად ვინც არის,
ქალია, ყველა ქალი?
– დიახ! ბუნებამ შობა,
ბუნებისაა თვალი!
ასე პასუხობს პოეტი.

ოთხმოც წელს მიღწეული ბატონი ზაქრო სიბერეს არ უშინდება. მთავარია გული გქონდეს, თორემ სიბერე ვერაფერს დაგაკლებსო.

„ჩაკვდა სისხლსავსე სიცოცხლე ჩემი,
თურმე სიბერე ყოფილა ძნელი,
როგორ დამოკლდა ნაბიჯი გრძელი,
და ჩაქრა ვნება თვალებში მწველი,
მაგრამ გულია, გულია მთელი,
ანთებული და უწინდებრ ცხელი“.

კარგა ხანია ბატონი ზაქრო ავადმყოფობის გამო აღარ შეხმიანებია გაზეთის რედაქციას საინტერესო სტატიებითა და ლექსებით, მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენი ლექსები ყოველთვის სულის სარკე იქნება და არდავიწყებული. გილოცავთ გაზაფხულს, ბატონო ზაქრო, გისურვებთ გამოჯანმრთელებას, ფეხზე დგომას და დიდხანს სიცოცხლეს. მადლობა იმ სითბოსთვის, რასაც თვენი წიგნის საშუალებით აგრძნობინებთ ქალებს, დედებს. სულ გულმთელ და გულალალ კაცად დადიხართ და გევლოთ ცხოვრების გზაზე.

გფარავდეთ უფალი!

**პატივისცემით დალი ტატულიშვილი**

# მჯერა ღვთის განგების, სამართლიანობის, სიკეთის და სიყვარულის



*„ამ წუთისოფელში ადამიანს ბევრი და მრავალსახის საქმე აქვს გასაკეთებელი, როგორც კერძოდ თავის-თავისთვის, ისევე ზოგადად ყველაფრისთვის“, – ვკითხულობთ ილიას ძვირფას მარგალიტებში.*

*სწორედ რომ ბევრს საკეთებელ საქმეს აკეთებს ყვარლის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქალბატონი ეთერ ხარებაშვილი, როგორც თავისი ოჯახის, ისე ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის წინსვლის საქმეში. იგი ყველანაირად შემკული ქალბატონია, თავისი უბრალოებით, ინტელექტით თუ განათლებით. მისთვის სკოლა მეორე ოჯახია და ბავშვებთან ურთიერთობისას ყოველთვის კომფორტულად გრძნობს თავს. ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული მისი სტატიები ყოველთვის გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და საინტერესო შინაარსით. ქალბატონმა ეთერმა თავისი ნააზრევ-ნაფიქრალი მოკლე ინტერვიუთი გაგვიზიარა.*

**– ქალბატონო ეთერ, როგორც ყოველთვის ლამაზად გამოიყურებით – როგორია თქვენი გარიჟრაჟი, დილის სურნელი... გმადლობთ, კომპლიმენტისთვის.**

– თავმდაბალი ადამიანის პოზიციიდან კომპლიმენტს ვიღებ, თუმცა გაგიმხელთ, ჩემი დღე იწყება დილის ხუთ საათზე, ხანდახან ოთხზეც, გააჩნია რამდენ ბავშვს უნდა გადავცე იმ დღეს შესწორებული დავალება და დაწერილი კომენტარი. ჩემი გარიჟრაჟი მტრედისფერია, დილის სურნელი კი სამუშაო ოთახში გადაშლილი ყვავილების მოტკბო, ნაზი სუნია. იცით, ჩემს მეზობლად, ილიას ეზოში, ბევრი შაშვი ბუდობს, რომლებიც გარიჟრაჟზე იწყებენ გალობას, მაშინ სამუშაო აღარ მახსოვს, რადგან მათ მოსმენას არაფერი სჯობს.

**– ბავშვობა...**

– ბავშვობა უნეტარესი ხანაა უპოვარისთვისაც და ამაოების მწვერვალზე მყოფი კაცისთვისაც. ჩემი ბავშობა უსასრულოდ ლაღი, ბედნიერი დღეების გახსენებაა. ორი ძმის უმცროსი დაიკო ვიყავი. ბავშვობაში დარჩა ძალიან ბევრი სინათლე, მშობლების ზრუნვა, სიყვარული, განებივრებული ბავშვის თავგადასავლები. ჩვენ, ყველა, ხშირად ვდუდუნებთ ლადო ასათიანის სიტყვებს: „ეხ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სიყმაწვილე!“

**– საქმე, რომელიც არ გიყვარს.**

– საქმე, რომელიც არ მიყვარს? ძალიან ხშირად მიწევს გარდაცვლილი, ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანების, ნეკროლოგის დაწერა. თქვენ რა იცით, რას ვგავარ იმ დღეებში, კრიტიკულ წუთამდე არ ვიღებ კალამს ხელში, რადგან საშინელ ტკივილს განვიცდი. ბოლო წუთებში სწრაფად ვწერ იმას, რაც ჩემი შინაგანი განცდიდან მოდის. ვასრულებ წერას და წაუკითხავად ვგზავნი თქვენთან. ამ ბოლო დროს დავწერე ჟუჟუნა მასწავლებლის (გავაშელი) ნეკროლოგი, გაზეთში დაბეჭდვის შემდეგაც კი, ორი-სამი კვირა ვტიროდი. უზომოდ მიყვარდა ეს დიდებული ქალი.

**– წარსული...**

– წარსული არაფრად განსხვავებული არ მქონდა. ერთი მხრივ, იყო ფერადი დღეები, მეორე მხრივ, ჩემი საყვარელი ოჯახის წევრების სიკვდილით გამოწვეული ცრემლი და მოუშუშებელი ტკივილი. უზომოდ მიყვარს ჩემი პროფესია, ოჯახი, შვილი, სამი შვილიშვილი, ბედნიერებაა მათდამი ერთგულება და მსახურება. თუმცა წარსულში ჩემზე წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენი სისტემის დიდმა პიროვნებებმა, რომლებთანაც მომიწია მემუშავა იმდროინდელ განათლების განყოფილებაში. სიამაყით ვახსენებ მათ მუდამ. ესენი იყვნენ: უფროსი დავით ლაფაჩიშვილი, რაფიელ შავგულიძე, დავით (დათიკელა) სეფაშვილი, მარიამ ტატულიშვილი, ანიკო ტურაშვილი, დღესაც ჩემი უსაყვარლესი ქალბატონი ლამარა ჭელიძე. მაპატიონ მათ, თუ ვინმე გამომრჩა, ისინი ბევრნი იყვნენ.

**– იყო ადამიანი.**

– დიახ, იყო ადამიანი, რომელმაც განსაზღვრა ჩემი მომავალი პროფესია, ეს ჩემი დედიკოა, რომელიც საოცარ გარემოს ქმნიდა ოჯახში. ყოველი საღამო ლიტერატურული „სალონი“ იყო. 1961 წელს (მაშინ 9 წლის ვიყავი) ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდებოდა (პირველად) ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ჟურნალი ერთი მოდიოდა ოჯახში, მის წასაკითხად კი ხუთი ადამიანი ვიდექით რიგში. დედა მოგვისხამდა გარშემო, ხმამაღლა ვკითხულობდით და ვხარხარებდით ნოდარ დუმბაძის უჩვეულო იუმორზე. დედის ჩაგდებული მარცვალი, ლიტერატურისადმი სიყვარული, უფრო მეტად გააღვივა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, დარია ანტონოვამ. ასე, რომ მე მათ „ტყვეობაში“ აღმოვჩნდი სამუდამოდ.

**– როცა მაღლიდან გიყურებენ.**

– როცა მაღლიდან გიყურებენ? (იშვიათად განმიცდია ეს), მე მაშინ გულში მეცინება, რადგან მათ არ იციან, რა სასაცილოდ გამოიყურებიან თავად ისინი. გერმანელი პოეტი, დრამატურგი, სიბრძნის მეტყველი, გოეთე ბრძანებს: „ყველაზე ჩლუნგი, ლაყე თავები ყველაზე მეტად ამპარტავნობენ“, – დიახ, უბრალო ჭეშმარიტებაა.

**– გეშინია...**

– შიში? მეშინია პატივმოყვარეების, მეშინია მშრალი ხევის ადიდებისა და უვიცი კაცის განდიდების. ყველაზე დიდი ჭეშმარიტება კი ისაა, რომ თუ არა თავად შიშისა, სხვა არაფრისა არ უნდა გვეშინოდეს

**– საფიქრალი, რომელიც...**

– საფიქრალი, რომელიც თავს არ მანებებს ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდაა, სწავლა და მომავალია. უამრავ ბავშვთან მიხდება ყოველდღიური ურთიერთობა. მათ თვალებში, მათივე ასაკისთვის შეუფერებელი, უფრო მეტი სევდაა, ვიდრე ბედნიერება. ცხოვრების ყოფით პრობლემებთან შეჭიდებულებს ნაადრევად წამოსწევიათ უიმედობის განცდა. უმრავლესობა საკუთარ პროფესიულ სრულყოფას, კარიერულ ზრდას, ევროპაში ხედავს. ეს შეუქცევადი პროცესია. ხშირად ვესაუბრები მათ „თერგდალეულთა“ სამშობლოში დაბრუნებაზე, ქვეყნის სახსრად და ასაღორძინებლად. ვნახოთ რას შესთავაზებს მათ მომავალი. დაიბრუნებს ქვეყანა განათლებამიღებულ ახალ თაობას, პროგრესული იდეებითა და შემართებით აღჭურვილებს?

**– სხივები, რომლებიც შენს ფანჯრებში შემოდის.**

– სხივები, რომლებიც ჩემს ფანჯრებში შემოდის იმედით მავსებს. არასოდეს ვკარგავ რწმენას, რომ უფალი არ მიმატოვებს განსაცდელში მყოფს. ამიტომ თავად ვისწრაფი გამუდმებით უფლისკენ, მჯერა ღვთის განგების, სამართლიანობის, სიკეთის, სიყვარულის. ძნელია ადამიანობა, ძნელია სულ ისე ვიარო, რომ არ წავიქცე, ხანდახან ეკალსაც ვეხები, ხანდახან ხავსსაც ვეჭიდები, მაგრამ არ ვჩერდები, მეტი შემართებით ვაგრძელებ გზას. ვფიქრობ, ადამიანი სწორედ იმით ფასდება, რამდენად ღირსეულად გადაიტანს განსაცდელს. ვცდილობ სულით არ დავეცე, სანამ ისევ არ შემოვა ფანჯრიდან იმედის სხივი, უფლის სინათლე. მთავარია, სიყვარულით მქონდეს გული სავსე, რათა არ გაუფერულდეს ჩემს სულში ბავშვობიდან წამოღებული ცისარტყელას ფერები... მიყვარდეს მთელი სამყარო და არასოდეს მოვითხოვო სიყვარულისთვის სიყვარული.

**– სკოლა...**

– სკოლა სუნთქვაა ჩემთვის, გატაცებაა, მის დერეფანში მდგარი ილია ჭავჭავაძის ძეგლისთვის თვალის შევლება მავსებს, ემოციებით მმუხტავს მუდამ. ბავშვი ჩემთვის უმაღლესი ღირებულებაა, რადგან სამყარო მის ერთ ცრემლად არ ღირს. არასოდეს მიგრძვნია, რომ კლასში სხვა საფიქრალი შემყოლოდა, გარდა საგაკვეთილო პროცესისა. არ შემიძლია ბავშვის ნიშნით მანიპულირება. მათ საკუთარი ცოდნით უნდა გამოხატონ პატივისცემა საგნისა და მასწავლებლის მიმართ და არა დაბალი შეფასების შიში ამოძრავებდეთ. მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები ხომ „გაადამიანების“ უწყვეტი პროცესია აღსაზრდელებისთვის. მუდამ ვცდილობ აზროვნებაზე, კრიტიკულ ხედვასა და შემოქმედებით პრინციპებზე ავაგო საგაკვეთილო პროცესი. მხოლოდ დასწავლა საგნისა ღრმა ცოდნას ვერ ავითარებს. ანალიზი, შეფასება, კრიტიკული ხედვა და შემოქმედებითი მხატვრული შთაგონება თუ არ განუვითარდა ბავშვს, გაუჭირდება სტანდარტის დაძლევა და მზაობა ცხოვრების გამოწვევების წინაშე. ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის №1 საჯარო სკოლის თითქმის ყველა მასწავლებელი სერტიფიცირებულია, პროფესიონალია, სწავლების ახალ მეთოდებსა და აქტივობებს დაუფლებულია. ვინც კარგად მიცნობს, იცის, პირფერობა არ შემიძლია. ამიტომ მთელი გულწრფელობით ვაცხადებ, რომ სკოლას საუკეთესო დირექტორი მართავს ბელა ოსეფშვილის სახით. ასეთ სკოლაში ყველას მიგვიხარია, მოსწავლეებსაც, მასწავლებლებსაც და ყველა იქ დასაქმებულ პერსონალსაც.

**– მომავალი...**

– თქვენი ბოლო კითხვაა, როგორ ვუყურებ მომავალს? მე ჩემი ცხოვრების მინდორი თითქმის გავიარე. გრძელვადიან მომავალს ვაბარებ საამაყო ახალგაზრდა კოლეგებს. მე კი, ამ ბოლო დროს, ხშირად ვიმეორებ მანანა ჩიტიშვილის ერთ ლექსს:

„დაიკეცება ერთხელ ჩვენი სიცოცხლის წიგნიც,
აგვატარებენ ბოლო აღმართს, ალბათ, ნელიად...
რა ეშველებათ ამ ქვეყნიდან წაყოლილ ფიქრებს,
რომლებიც აქაც ვერავისთვის გაგვიმხელია“.

თუმცა მანამდე ჩემი აღზრდილების წარმატებებს ჩავიბარებ გაკვეთილივით. მინდა საქართველო მათ საიმედო ხელში ვიხილო.

გმადლობთ.

**ესაუბრა დალი ტატულიშვილი**

# სიყვარული



შუა ზამთარში, როდესაც თოვლის ქათქათა ფაფუკი საბანი ეხურა ირგვლივ სულ ყველაფერს, ხანდახან ჩნდებოდა ხოლმე მთვარე. მაშინ, როცა ირგვლივ ყველაფერი თეთრად გამოიყურებოდა, ვფიქრობდი, ვინ იცის თეთრი თოვლის სითეთრეში რამხელა შავი, უხილავი ნაღველი, მწუხარება იმალება მეთქი. ვოცნებობდი არასოდეს დასრულებულიყო თოვა, რადგან ჩემი სულის მთრთოლვარე ჰანგებს სუფთა ჰაერის ოდნავი შეხებით არხევდა, საიდანაც იყო ამოძახილი თვით ჩემი გულისა, უფრო ღრმა შინაგანში, რომელიც სულის მაცოცხლებელ ძარღვად ცოცხლობდა, რადგანაც სული ხორცის შვილია, ან პირიქით, ურთმანეთოდ სინანულის სამგლოვიარო რიტუალს ქმნიდა. იწყებოდა ყველაფერი დასასრულიდან. დასასრული კი ბადებდა სურვილს, მონატრებას, ტკივილს, მოლოდინს, განშორებას და ყოველივეს. შემდეგ მოსჩანდა ცეროდენა წერტილი – დაწყება. სწორედ ასე დაიბადა ერთი წერტილი, რომლის კარგად დაკვირვების შემდეგ დარწმუნებულად წამომცდა წამოძახილი, იქნებ დაყვირებაც: – გული, ისარგაყრილი გული, – პირველი და უკანასკნელი სასიყვარულო ბარათი.

* * *

ცინიზმი ლაყე კვერცხებად დახეთქებიათ თავს მეზობლის ჭოროკინა ქალებს, რომლებიც თავიანთ შესისხლხორცებულ ცინიზმს მუდამ სხვის გასაკილად იყენებდნენ. მატლიანი სოკოებივით რომ მრავლდებოდნენ ყოველთვის ქუჩაში, არასოდეს იყო მზერაც კი მათი თვალებისა ჩუმად, მერე ვისგან, თითქოს ხეებსაც, მშვენიერ ყვავილებსაც გადაედოთ უსაქმურთა, მეტიჩარა ქალების პროფესია, მაგრამ მაინც იგრძნობოდა ნაზი სიოს მოტანილი სისადავე, სისპეტაკე, მორიდებული ზმანება ჩუმად რვეულის ფურცელზე დახატული გულის დაუფლების სურვილი, გზა ადამიანამდე, ვისითაც მოხიბლულა ოდნავ ტალღოვანთმიანი ცისფერთვალება, ხორბლისფერ სახიანი, ახოვანი რაინდი, მომნუსხველად განიცდიდა გრძნობათა სიდიადეს, სიყვარულს იმ საქალბატონის მიმართ, რომელიც ღვთაებრივი სინაზით პასუხობდა მოწკრიალე ტელეფონის ზარს:

– გისმენთ,

– გამარჯობათ ქალიშვილო,

– გამარჯობათ.

ხოლო სატელეფონო ქსელი იტევდა მათ შორის ახლად დაბადებულ უხილავ სიყვარულს, უჩუმრად, უკითხავად ჩნდებოდა, ცოცხლობდა, იმართებოდა და სულდგმულობდა ბედისგან კუთვნილ უცხო, შორეულ და მაინც მიმზიდველ საუნჯისკენ. და მაინც, ყველაფრის შემდეგ შეხვედრა და ერთი დარეკვა გაუჭირდა?

თუ არა და როგორ ელოდა, ელოდა და ელოდა და არ უნდა გასულიყო უაზროდ წლები. სიყვარული მხოლოდ ჯულიეტასეულ სამოსში არ ბუდობდა. თვით გალაკტიონიც მერის ააღმერთებდა, ალბათ ერთხელ გაგონილი ფრაზით: – მიყვარხარ –

გესმის, ეს ის ფრაზაა, რომელიც სიტყვით არ თქმულა, ეს მხოლოდ იმ თვალებმა თქვეს, თვალებმა, რომელიც სოფლის კლუბში ნაკვერჩხლებივით ელვარებდნენ, ახალგაზრდა ქალიშვილს სწვავდნენ. დაუჯერებელია დამტკიცება იმისი, რომ ეს ნამდვილად იყო, ოღონდ ჩემს მეტს არავის დაუნახავს, გამიღიმე და თვალი ჩამიკარ, ჩემგან სახსოვრად.

ქალიშვილი გაუნძრევლად მისჩერებოდა ეკრანს, რომელზეც სასიყვარულო, მრავალი რომანტიული სცენები ისახებოდა, მის წინ კი ნახევრად უკან გადმოწოლილი მამაკაცი რეალურ სიყვარულს უმზერდა, აღწერილობა ორი ქმნილებისა მეტად რთულ საქმედ მიმაჩნდა, გედივით მოღერებული მაღალი კისერი ძალიან შვენოდა, წითელი ბრჭყვიალა მძივი, ცისფრად დახატული თვალები, ნახევრად ჩამოშლილი თმა, წითელი ბარხატის დეკოლტე, შავი ტყავის კოსტიუმი, თეთრი ბრჭყვიალა თხელი მოსასხამი პოეტურს ხდიდა, წითელი საყურე, წითელი ბრჭყვიალა დიდი გულსაბნევი ესოდენ არისტოკრატულ გარეგნობას ამტკიცებდა, და მაინც ბავშვური, მიამიტური სულით შეყვარებულ წყვილს დარაჯობდა, რომლებიც გაქრობას აპირებდნენ, რადგან კინოჩვენება დასასრულს უახლოვდებოდა. ფილმი ეტაპობრივად ვითარდებოდა, გმირთა კითხვისა და მოთხოვნილებების საპასუხოდ, რაც ამტკიცებდა იმას, რომ სულ მალე კულმინაციას მიაღწევდა ყოველივე მათში შობილი, მაგრამ, სამწუხაროდ... მას და მრავალი დღის შემდეგ მხოლოდ ლამაზი მოგონებაა.

დაგებადებათ კითხვა: რად დავწერე, მე რა მაწუხებს, ან რად მახსოვს ყოველივე... ან მე რა???

მრავალი აზრია, პასუხი ერთი... მე ვარ მომსწრე იმ შენი ქცევის, სიტყვების, სიყვარულის, რომელიც შენში იყო და ავლენდი იმ ადამიანის მიმართ, დღეს მას ახსოვხარ, რისთვის, არაფრისთვის, მხოლოდ იმისთვის, რომ თუნდაც ერთხელ ჩაგხედოს თვალებში და მაინც ჩაგხედა თვალებში.

თქვენს შორის ხომ...

„მიყვარხარ, მენატრები, გელოდები“

**მერი პატარქლიშვილი**

# პირთა ნაწილი შესაძლოა, ტექინსპექტირების გაუვლელობის შემთხვევაში 2025 წლამდე აღარ დაჯარიმდეს

ტექნიკური ინსპექტირების გაუვლელობის შემთხვევაში ავტომობილით გზებზე მოძრაობისას პირებს სამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლოა, არ დაეკისროთ. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ფრაქცია „ევროპული საქართველო-რეგიონებს“ ეკუთვნის, პარლამენტში უკვე წარდგენილია.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, ინსპექტირების პროცედურის სავალდებულო წესით გავლა ეკონომიკურ ტვირთს წარმოადგენს იმ პირებისთვის, რომლებიც ავტოსატრანსპორტო საშუალებებით დასახლებულ პუნქტებს შორის დამაკავშირებელი გზებით მუნიციპალიტეტებში გადაადგილდებიან.

„ამასთან, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ გზებზე გადაადგილდებიან ძირითადად კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფი, რომელთა შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. ტექდათვალიერების წარუმატებლად გავლის შემთხვევაში მათ შეექმნათ პრობლემები თავიანთი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ იწვევს მათი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შეფერხებასაც. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნულ გზებზე მოძრაობისას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა და სხვა პირების უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის რისკი შედარებით დაბალია. შესაბამისად, ტექდათვალიერების სავალდებულო გავლის დაკანონების მიზანი, რომელიც ემსახურება ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანების შედეგად გამოწვეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირებას, ტექნიკური ინსპექტირების პროცედურის გავლის გარეშეც მიღწეულია იმ ტიპის გზებზე, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დროს გამოიყენება და ამავე დროს მუნიციპალიტეტებს და დასახლებულ პუნქტებს აკავშირებს ერთმანეთთან“,-აღნიშნულია განმარტებით ბარათში.

ამასთან, კანონპროექტის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ტექდათვალიერების წარუმატებლად გავლის შემთხვევაში კანონით დადგენილი სამართლებრივი პასუხისმგებლობა 2025 წლამდე არ უნდა დაეკისროს იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებით ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე გადაადგილდებიან.

„კანონპროექტის მიღების შედეგად, 2025 წლის პირველ იანვრამდე ტექდათვალიერების გავლის ვალდებულება მოიხსნება და შესაბამისად არ დაჯარიმდებიან ფიზიკური პირები, თუ მსუბუქი ავტომობილით, მსუბუქი მისაბმელით ან მის გარეშე, გადაადგილდებიან:

- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ამავე მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებთან დამაკავშირებელ გზებზე;
- დასახლებული პუნქტების საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დამაკავშირებელ გზებზე;
- მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელ გზებზე;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის კურორტების, დასვენებისა და ტურისტული ადგილების, სპორტული კომპლექსების, ისტორიული და კულტურული ძეგლების, სამეცნიერო ცენტრებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტების მუნიციპალიტეტის პუნქტებთან (რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობენ აღნიშნული ობიექტები) დამაკავშირებელ გზებზე;
- თვითმმართველი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში არსებულ საავტომობილო გზებზე, დედაქალაქის გარდა“,-აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.

**თაია არდოტელი**

www.bpn.ge

# მცენარეთა თესლის მომზადება დასათესად – თესვისწინა დამუშავება



განმენდილ-დახარისხებული თესლი, იმის მიხედვით, თუ რომელი კულტურისაა, თესვამდე კიდევ მომზადებას მოითხოვს.

თესლის მომზადება დასათესად ნიშნავს: შეწამვლას, სტრატიფიკაციას, იაროვიზაციას, გაცხელებას და დალბობას, დრაჟირებას, სტიმულაციას და ბაქტერიზაციას.

## თესლის შეწამვლა

თესლის შეწამვლას აწარმოებენ დაავადებების წინააღმდეგ, რომელიც შეიძლება თესლთან ერთად მოხვდეს ნიადაგში და შემდეგ გავრცელდეს. ეს არის უფრო პროფილაქტიკური ღონისძიება. თესლიდან შეიძლება დასენიანდეს მაგ. პამიდორი – ბაქტერიალური კიბოთი, მოზაიკით და შავი ბაქტერიალური ლაქიანობით., კიტრი – მოზაიკური ჭკნობით და ა.შ.

## იაროვიზაცია

იაროვიზაცია – დაბალ ტემპერატურაზე თესლის გაღივებაა. ეს არის ერთწლოვანი და ორწლოვანი მცენარეების დაჩქარებული განვითარება მათზე გარკვეულ პერიოდში დაბალი ტემპერატურის წინასწარი ზემოქმედებით.

ეს აგროტექნიკური ხერხია, რომლის მიზანი არის მცენარის გამოწრთობა. იმის მიხედვით, თუ ვიცით რა პირობებია საჭირო მცენარის სწრაფი ან ნელი განვითარებისათვის შეგვიძლია ის ვაიძულოთ დააჩქაროს ან შეანელოს განვითარება. იაროვიზაციის შედეგად ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობა იზრდება 20-60%-ით.

ამას გარდა, იაროვიზაცია იწვევს პროდუქციის შემოსვლის დაჩქარებას 10-20 დღით. მაგალითად სტაფილოს თესლის იაროვიზაციისთვის, თესლს ადრევე ასველებენ და აღივებენ. თესლის დასველებისათვის იღებენ მისი წონის 90-95% წყალს და 2 ნაწილად ყოფენ. ჯერ ერთი ნაწილით ასველებენ, 3-5 საათის შემდეგ მეორე ნაწილით.

დასველებულ თესლს ამყოფებენ +15-200 ტემპერატურაზე და ხშირად ურევენ. 4-5 დღეში თესლი გაღივდება. გაღივებული თესლი 5სმ. სისქის ფენად იყრება სუფთა ყუთებში და გააქვთ ყინვაზე 10-15 დღით.

დაახლოებით მსგავსი წესით ხდება სხვა კულტურების იაროვიზაციაც, ოღონდ ყინვაზე დატოვების ხანგრძლიობა სხვადასხვა კულტურას სხვადასხვა აქვს.

## სტრატიფიკაცია

სტრატიფიკაცია – ეს არის ბუნებრივი ზამთრის პირობების იმიტაცია, იმისათვის, რომ თესლი ადვილად ამოვიდეს. ასევე ეს არის თესლის აღმოცენების დაჩქარების მეთოდი, რომელსაც იყენებენ თესვის წინ. ხშირად თესლს ხანგრძლივად ამყოფებენ გარკვეულ დაბალ ტემპერატურაზე $1-5^{0}C$.

ზოგიერთი მცენარის თესლმა უნდა გაიაროს ემბრიონის მოსვენებითი მდგომარეობა. ამ მდგომარეობის ხანგრძლივობა განსხვავებულია სხვადასხვაა მცენარისათვის. უმეტეს შემთხვევაში საკმარისია 1-3 თვემდე. სახლის პირობებში, შესაძლებელია ოდნავ ტენიან ხელსახოცში შეხვეული თესლის მოთავსება მაცივარში.

## გახურება და დალბობა

თესლის თერმული დამუშავება ორი წესით წარმოებს: სველი გახურებით და მშრალი გახურებით.

სველი გახურება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მცენარე დაავადებულია ზოგიერთი დაავადებებით (მაგ. კომბოსტო და სტაფილო ალტერნარიოზით, ჭარხალი ფომოზით და ა.შ.). სოკოები ან ბაქტერიები თესლის შიგნით აღწევენ. ასეთი დასენიანებული თესლი შემდეგ ამ დაავადების გავრცელების კერად შეიძლება გადაიქცეს. ამ შემთხვევაში პროფილაქტიკური მიზნით და თესლის გაუსნებოვნებისათვის მიმართავენ თერმულ დეზინფექციას სველი გახურებით.

კომბოსტოს, კიტრის, საზამთროს და ნესვის თესლს 20 წუთით ჩაუშვებენ $50^{0}$-მდე გაცხელებულ წყალში. ამ ტემპერატურას ინარჩუნებენ გაცხელების მთელი დროის განმავლობაში, რისთვისაც თანდათან უმატებენ ცხელ წყალს.

მშრალი გახურება გამოიყენება, როცა ბოსტნეულის თესლი ხშირად ნორმალურ აღმონაცენს არ იძლევა, მათი ფორმირების პერიოდში არახელსაყრელი ამინდის გამო. ამას იმით ხსნიან, რომ ამ შემთხვევაში თესლი ფიზიოლოგიურად ვერ გამოდის სათანადოდ მომწიფებული.

ასეთი თესლის ბუნებრივი (მზის სხივებით) ან ხელოვნური (თერმოსტატში) გახურებით შეიძლება საგრძნობლად ავამაღლოთ მისი თესვითი ღირსება.

ბუნებრივი, ანუ მზის სხივებით გახურების ტექნიკა მარტივია. ამ მეთოდის გამოყენებისას თესლს ბრეზენტზე ან სხვა საფენზე თხელ 2 – 4 სმ-ის სისქის ფენად ყრიან და დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ გადანიჩბავენ. ხელოვნური გაცხელებისათვის იყენებენ თერმოსტატს ან ჩვეულებრივ ღუმელს, რომელსაც აქვს თერმომეტრი ტემპერატურის დასარეგულირებლად.

## თესლის დალბობა

წინასწარ დამბალი თესლის თესვისას, მშრალი თესლის თესვასთან შედარებით, უფრო ნაადრევ აღმონაცენს იღებენ. აღმოცენების დაჩქარება თავის მხრივ, უზრუნველყოფს მის სითანაბრეს და მომდევნო სამუშაოების (გაფხვიერების, გამარგვლის, გამეჩხერების) ნაადრევად შესრულებას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს საადრეო მოსავლის მიღებას.

თესლის დალბობას აწარმოებენ წყალში უჟანგავ ემალირებულ ჭურჭელში ან რბილ ტარაში (უმჯობესია თიხის ან ხის ჭურჭელი). წყლის ტემპერატურა სითბოსმოყვარული კულტურებისათვის 16 –250-ია, დანარჩენებისათვის დასაშვებია 6-250.

დალბობისას თესლის ფენის სისქე 15 სმ-ზე მეტი არ უნდა იყოს; წყლის გამოცვლა სავალდებულოა ყოველ 10-12 საათში, დალბობის ხანგრძლივობა ასეთია (საათობით): ნელად გამღივებელი თესლების ქოლგოსანთა, ნაცარქათამასებრთა, მატიტელასებრთა და შროშანასებრთა ოჯახის კულტურებისთვის – 50-60 საათის განმავლობაში, რთულყვავილოვანთა და ძაღლყურძენისებრთა თესლებისათვის – 25-40სთ, ჯვაროსანთა, გოგრისებრთა და პარკოსნების თესლებისათვის – 12-20სთ.

უფრო მეტი ხანგრძლივობით დალბობისას შეიძლება თესლმა აღმოცენების უნარი სულ დაკარგოს.

თესლის დალბობა ხდება 3-4-ჯერად წყლის დამატებით იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს სრულ გაჟიჟინებას. დალბობის შემდეგ თესლს ბნევადობამდე შეაშრობენ და ისე თესენ ტენიან ნიადაგში ან ზედმიყოლებული მორწყვით.

## თესლის გაღივება

გაღივების მნიშვნელობა იგივეა, რაც დალბობის, მხოლოდ ამ შემთხვევაში თესლი გაღივების ფაზამდე მიყავთ, რითაც უფრო მეტად აჩქარებენ აღმოცენებას და უზრუნველყოფენ საადრეო მოსავლის მიღებას.

ბოსტნეულ მცენარეთა თესლის გაღივებას აწარმოებენ 20-250 ტემპერატურის პირობებში უჟანგავ ჭურჭელში, ქეჩაზე ან ტომარაზე, მსხვილი თესლი შეიძლება გაღივდეს მოდუღრულ ნახერხში. სველ, დამბალ თესლს ყრიან 6-8 სმ-ის სისქეზე და ზემოდან სველ ტომარას აფარებენ. შენობა, სადაც გაღივებას ატარებენ, კარგად უნდა ნიავდებოდეს. თესლს კი დღე-ღამეში 2-3 ჯერ არევა ჭირდება.

გაღივებას ამთავრებენ, როდესაც თესლის საერთო რაოდენობის 30-50% ღივებს განივითარებს. მანქანებით თესვისას გაღივებას ამთავრებენ, როცა თესლების 3-5%-ს კანი დაუსკდება და ღივი გამოუჩნდება. გაღივებულ თესლსაც სველ ნიადაგში ან მორწყვის გამოყენებით თესავენ.

## თესლის დრაჟირება

ბოსტნეულ კულტურათა თესლის თესვამდე დამუშავების ეს წესი – დრაჟირება შემდეგში მდგომარეობს: იღებენ პამიდორის, სტაფილოს, კიტრის და სხვა ბოსტნეული მცენარეების დამბალ ან გაჟიჟინებულ თესლებს, ჩადებენ თუნუქის ჭურჭელში და გაცრილ ნეშომპალას ან ტორფს შეურევენ. შემდეგ თავდახურულს აბრუნებენ, რის შედეგად თესლი ბარდის მარცვლის სიდიდის სფეროს ფორმას მიიღებს.

გაცრილი ნეშომპალი და ტორფი რომ კარგად მიეკროს თესლებს, ხანდახან რომელიმე წებოს უმატებენ – კლეისტერის, დექსტრინის ან სხვას. ნეშომპალს ან ტორფს უმატებენ აგრეთვე მინერალურ მარილებსაც.

ნეშომპალი ან ტორფი ყოველი მხრიდან ეკვრის და ფარავს ზრდაში შესულ გაჟიჟინებულ თესლს, ხელს უწყობს მათში ტენის უკეთ შენარჩუნებას, მინერალური მარილების დამატება კი უზრუნველყოფს აღმოცენებულ თესლს და შემდეგ ნორჩ მცენარეს აუცილებელი საკვები ნივთიერებებით.

## ქიმიური სტიმულაცია და ბაქტერიზაცია

ეს არის თესლის თესვისწინა დამუშავება ქიმიური ნივთიერებებით ანუ, როგორც მას უწოდებენ სტიმულატორებით. არსებობს უამრავი სხვადასხვა ქიმიური რეაგენტები, რომლებიც აჩქარებენ მცენარის ზრდასა და განვითარებას.

ასეთ ნივთიერებებს ეკუთვნის ტანინი, ნატრიუმის ბიკარბონატი, ჰიდროქინონი, ბრომიანი კალიუმი და სხვ. ნატრიუმის ბიკარბონატის (საჭმელი სოდის) სტიმულატორად გამოყენებისას ამზადებენ მათ 0,5-1% ხსნარს და მასში ამუშავებენ ბოსტნეულის თესლს 6-დან 24 საათამდე ექსპოზიციით. 0,5%-იან ხსნარს იყენებენ კომბოსტოსა და ხახვისათვის, ხოლო 1%-იანს – ჭარხლისათვის.

თესლის აქტივატორად გამოდგება აგრეთვე მისი დალბობა სასუქის ხსნარში. მაგალითად, ცერეცოს თესლი 0,25% C3 – ის ხსნარში 6 დღე-ღამის შემდეგ ამოდის 14-ის ნაცვლად.

თესლის დალბობით ახალ წუნწუხში, როდესაც ის განზავებულია 1:2 ანდა 1:4, საგრძნობლად დიდდება მოსავალი. ამ ხერხს მარტო იმიტომ კი არა აქვს ეფექტი, რომ ეს სასუქის ადგილობრივი შეტანაა, აქ მნიშვნელობა იმასაც აქვს, რომ ახალი წუნწუხი შეიცავს აუქსინის ბევრ რაოდენობას. აუქსინი კი ეს ისეთი ნივთიერებაა, რომელიც სტიმულს აძლევს მცენარის ზრდის პროცესებს.

ბოსტნეულ კულტურათა მოსავლიანობის გასადიდებლად თესლის ბაქტერიზაციას მიმართავენ. ამ მიზნისათვის იყენებენ აზოტობაქტერინს, ფოსფორობაქტერინს, ნიტრაგინს და სხვ.

**ავტორები: ლ. ალფაიძე; ე. მოთიაშვილი; ნ. ჭანკვეტაძე**

# შეცდომები ბოსტნეულის ნერგის (ჩითილის) გამოყვანის დროს

ბოსტნეულის ნერგის (ჩითილის) გამოყვანა საინტერესო და ემოციური პროცესია. მეურნეების (ან მოყვარულების) ერთი ნაწილი ჩითილების გამოყვანით აღტაცებულია, მეორენი ამას მხოლოდ კულტურის მოყვანის აუცილებელ ნაწილად აღიქვავენ, არიან ისეთებიც, რომლებსაც არ უყვართ ეს პროცესი და ჩითილების შეძენა ურჩევნიათ. მიუხედავად იმისა თუ ვინ როგორ უყურებს ამ პროცესს, ყველამ იცის რომ ჯანსაღი მცენარის და შესაბამისად უხვი მოსავლის მისაღებად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა სწორად გამოყვანილი ნერგია.

ამგვარი ჩითილის გამოზრდა ყველას შეუძლია, მთავარია მონდომება და გარკვეული ცოდნა, თუ ეს ყველაფერი გაქვთ, ერთადერთი რამაც შეიძლება ხელი შეგიშალოთ ეს შეცდომებია. ამ შეცდომების გამო კი შეიძლება უხარისხო, დაავადებული მცენარე მივიღოთ და ამან ჩვენი რესურსის არაეფექტური ხარჯვა გამოიწვიოს.

განვიხილოთ რამოდენიმე სერიოზული შეცდომა – ბოსტნეულის (ნერგის) ჩითილის გამოყვანის დროს.

## უხარისხო სათესლე მასალის გამოყენება

უხარისხო თესლის შეძენა, ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული შეცდომაა ნერგის გამოყვანის დროს. სწორედ სათესლე მასალის ხარისხზეა პირველ რიგში დამოკიდებული საბოლოო შედეგი.

დროის ან ფინანსების ეკონომია გასაგებია, მაგრამ ამან შეიძლება დაგაზარალოთ, ცუდი ხარისხის თესლისგან საუკეთესო შემთხვევაში სუსტ მცენარეებს, ხოლო ცუდ შემთხვევაში საერთოდ ვერაფერს ვერ მიიღებთ.

ამიტომ ეკონომია გონივრული უნდა იყოს, თუ შესაძლებლობა არ გაქვთ, რომელიმე უკვე ცნობილი ან გამოცდილი მომწოდებლისგან შეიძინოთ მაღალი ხარისხის თესლი, სამეზობლოში (სანათესაოში, სამეგობროში) ხომ იცით ვინ მოიწია ამა თუ იმ კულტურის კარგი მოსავალი, მათ ჰკითხეთ და თქვენც იქ შეიძინეთ.

შეძენისას ყურადღებით გაეცანით შეფუთვას (პაკეტებს), მასზე მითითებული უნდა იყოს რაოდენობა (ცალობით ან გრამებში), გამოშვების დრო, ვარგისიანობის ვადა

## არასწორი (შეუსაბამო) ნიადაგი

ნერგის გამოზრდისთვის არასწორი შემადგენლობის, შეუსაბამო ნიდაგის ნარევის გამოყენებას შეუძლია შეაყოვნოს მცენარის ზრდა, რიგ შემთხვევებში კი მათი დაღუპვა გამოიწვიოს. არ შეიძლება უბრალოდ შეხვიდეთ ბოსტანში, აიღო მიწა და დათესოთ, ეს გაუმართლებელია.

მაგალითად თუ კომბოსტოს ნერგის გამოზრდისთვის ავიღებთ მიწას, სადაც კომბოსტოსთვის ცუდი წინამორბედი კულტურა იზრდებოდა, მასში დიდი ალბათობით იქნება ინფექციები, რომელიც დაასუსტებს ან საერთოდ დაღუპავს თქვენს ჩითილს.

თქვენ თვითონ შეგიძლიათ ნიადაგის ნარევის დამზადება ან შეგიძლიათ უკვე მზა მასალა შეიძინოთ, მთავარია ის ამ კონკრეტული კულტურისთვის იყოს შესაბამისი. ის უნდა შედგებოდეს სპეციალური კომპონენტებისგან: ტორფი, ნეშომპალა, ნაკელი და ა.შ.

## შეუსაბამო ჭურჭელი ჩითილისთვის

ჩითილებისთვის შეუსაბამო ჭურჭლის გამოყენებამ (მასალა, ზომა, დრენაჟი და ა.შ), შეიძლება ასევე წყალში ჩაგიყაროთ შრომა, რიგ შემთხვევებში ეს იწვევს თესლის ლპობას, გახმობას, თუ მაინც გაგიმართლებთ და ჩითილების ნაწილი ამოვა, არ არის გარანტია. რომ ისინი ნორმალურად განვითარდება.

## დათესვის წინ თესლის დაუმუშავებლობა

თესლის დათესვისთვის მომზადება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცედურაა, რომელსაც ხშირად მეურნეების ნაწილი ყურადღებას არ აქცევს, ეს კი ცალსახად არასწორი მიდგომაა. დაუმუშავებელი თესლის დათესვა (იქნება ეს საკუთრივ წარმოებული, თუ ნაყიდი-დაუმუშავებელი), ხშირად იწვევს ნორჩი ჩითილების დაღუპვას.

რის გამო ხდება ეს? ბოსტნეული კულტურების, ინფექციური დაავადებების დიდი ნაწილი გადადის არა მხოლოდ ნიადაგიდან, არამედ დაუმუშავებელი თესლითაც. თუ თესლი თესვის წინ შესაბამისად არ დამუშავდება, ეს იქონიებს გავლენას, როგორც გაღივების უნაზრე, ასევე მცენარის შემდგომ განვითარებაზე.

## მწარმოებლის მიერ დამუშავებული თესლის გაუმჯობესების მცდელობა

მწარმოებლის მიერ, უკვე დამუშავებული თესლის გაუმჯობესების მცდელობამ, შესაძლოა ძალიან ცუდი შედეგები მოგცეთ. უმრავლეს შემთხვევებში როგორც მინიმუმ, ეს იმ უპირატესობების ნულზე დაყვანაა, რაც მას ჰქონდა ყიდვის დროს. ცუდ შემთხვევაში კი თესლმა შესაძლოა გაღივების უნარი საერთოდ დაკარგოს.

ინფორმაცია მწარმოებლის მიერ თესლის დამუშავების შესახებ, შეფუთვის (პაკეტის) უკანა მხარეს წაიკითხეთ ან თუ დაუფასოებელს ყიდულობთ, შეძენის ადგილზე მოითხოვეთ.

## ჩითილის გამოზრდის ვადების გაუთვალისწინებლობა

ზოგიერთი დამწყები მეურნე თვლის, რომ ჩითილის გამოზრდის ვადების დაცვა აუცილებლობას არ წარმოადგენს, ეს მცდარი შეხედულებაა. ვადების არდაცვა მიგიყვანთ იქამდე, რომ მცენარე სუსტად განვითარებული იქნება და გადარგვის შემდეგ შესაძლოა ვერ გაიხაროს.

## ძალიან ღრმად დათესვა

თუ თესლს ნიადაგში იმაზე ღრმად ჩაფლავთ ვიდრე ეს საჭიროა, შესაძლოა ბევრი ჩითილი არ ამოიზარდოს. ამიტომ ეს ინფორმაცია აუცილებლად მოიკითხეთ შეძენის ადგილზე ან წაიკითხეთ შეფუთვაზე.

## თესვის სიმჭიდროვე

ერთ-ერთი გავრცელებული შეცდომაა აგრეთვე შემჭიდროვებული თესვა, სიმჭიდროვის შედეგი შეიძლება იყოს, სუსტი წაგრძელებული ჩითილი და არა მხოლოდ ეს, ამგვარ ნათესებში ხშირია დაავადებები.

მიზეზი ბანალურია, მცენარეს ნორმალური განვითარებისთვის არ ჰყოფნის ადგილი, ისინი საკვების უკმარისობას განიცდიან და ცუდად ვითარდებიან.

## მორწყვის და კვების ნორმების დარღვევა

ნიადაგის დატენიანება უმჯობესია დათესვამდე გააკეთოთ, უშუალოდ დათესვის შემდეგ მორწყვამ, შესაძლოა თესლი გრუნტის სიღრმეში ჩაიტანოს, ამიტომ თუ მაინცდამაინც უმჯობესია პულივიზატორი გამოიყენოთ, წყალი ოთახის ტემპერატურის უნდა იყოს.

არასაკმარისი მორწყვა ნიადაგის ზედა ფენის გამოშრობას იწვევს, რაც ხელს უშლის ნერგის ამოსვლას. იმისთვის, რომ ნიადაგის ზედაპირი არ გამოშრეს, ჭურჭელს აფარებენ ცელოფანს, რომელიც ტენს აორთქლების საშუალებას არ აძლევს.

ცელოფნის მოხსნის შემდეგ არ დაგავიწყდეთ ჩითილების დროული მორწყვა, არ გამოაშროთ ნიადაგი.

ჭარბმა მორწყვამ კი თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს ფესვების ლპობა და ახალგაზრდა მცენარის დაავადება. ძალიან ცივი წყლით მორწყვა ასევე აავადებს მცენარეებს.

მიუხედავად იმისა თუ რა კულტურის ნერგი გამოგყავთ, მას სჭირდება კვება, ამიტომ ყურადღებით მოეკიდეთ ინფორმაციას – თუ როგორი კვება სჭირდება, თქვენს მიერ შერჩეული კულტურის ამ კონკრეტულ სახეობას.

## განათების ნაკლებობა და ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა

არასაკმარისი განათება იწვევს ახალგაზრდა მცენარის წაგრძელებას (გაწელვას), დასუსტებას. იმის გათვალსიწინებით, რომ მცენარის ნორმალური განვითარებისთვის საჭიროა 12-14 საათიანი განათება, კლიმატური პირობების გათვალსიწინებით იყენებენ ხელოვნურ განათებას.

ძალიან დაბალი ტემპერატურა, კარგ შემთხვევაში ჩითილის ზრდის ტემპის შენელებას გამოიწვევს, ცუდ შემთხვევაში დაღუპვას.

## დაავადებების და მავნებლების უგულებელყოფა

დაავადებების უგულებელყოფა დაუშვებელია, თავისით არაფერი არ მოგვარდება, ამიტომ დაავადების ან მავნებლის პირველივე ნიშნებზე მიიღეთ შესაბამისი ზომები.

## ნერგის გამოწრთობის (გაკაჟების) იგნორირება

ნერგის პირობები ჩამოყალიბების პროცესში, როგორც წესი, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ პრობებისგან სადაც მცენარე შემდგომში უნდა გაიზარდოს და განვითარდეს. თუ ნერგს ამ პირობებთან შეუჩვევლად დავრგავთ, შეიძლება ვერ შეეგუოს, დაავადდეს, ფოთლები დასცვივდეს ან სულაც დაიღუპოს.

ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ნერგის გამოწრთობა, ანუ ზრდის მუდმივი ადგილის პირობებთან შეჩვევა. ასე მაგ. მუდმივ ადგილზე გადარგვამდე 10-15 დღით ადრე ნერგების რწყვა მცირდება, 5-7 დღით ადრე კი მთლიანად წყდება. გარდა ამისა, თბილ ამინდში შეგუების მიზნით, ნერგები შენობიდან გარეთ გააქვთ, თავიდან მცირე, შემდეგ კი სულ უფრო მეტი დროით.

## ჩითილის გადარგვის დაგვიანება და თანმიდევრობის დარღვევა

გადარგვისთვის ყველაზე ძლიერ, კარგად ჩამოყალიბებულ მცენარეებს ირჩევენ. გადარგვა ძირითადად საღამოს ან მოღრუბლულ ამინდში ხორციელდება. ჩარგვისას მცენარის ფესვთა სისტემის შენარჩუნება აუცილებელია, ამიტომ ნიადაგს ატენიანებენ, რომ ამოღებისას ჩითილი არ დაზიანდეს. გადარგვის პროცესს დიდი სიფთხილით უნდა მოვეკიდოთ.

აღნიშნული შეცდომები არ ნიშნავს, რომ ნერგის (ჩითილის) გამოყვანა, რაღაც განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს. უბრალოდ პროცესი მოითხოვს ყურადღებას და ნორმების დაცვას.

agrokavkaz.ge





# ხვნა, ნიადაგის ზედაპირული დამუშავების წესები და იარაღები

კულტურულ მცენარეთა მაღალი მოსავლის მისაღებად ნიადაგის დამუშავება უნდა ტარდებოდეს მაღალ აგროტექნიკურ ფონზე.

ამ სამუშაოთა შესრულებისას აგროტექნიკურ მოთხოვნათა დარღვევა მცენარეთა ზრდა – განვითარების პირობების გაუარესებას იწვევს, რითაც მცირდება სასოფლო სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა.

### ხვნის ძირითადი აგროტექნიკური მოთხოვნებია

1. ბელტის სრული გადაბრუნება და დაშლა; მცენარეული ნარჩენების, კორდის, სარეველების, სასუქების სრულად ჩაკეთების და საერთოდ წინამორბედი კულტურების ნარჩენების ჩაკეთების ხარისხი. ნიადაგის მოხვნა წვიმის დროს დაუშვებელია. გათვალისწინებული უნდა იქნეს დასათესი კულტურის თავისებურება, ამინდის პირობები.

2. ხვნა უნდა ტარდებოდეს აგროტექნიკურად შესაფერის ვადასა და სიღრმეზე, ჩვეულებრივ არა ნაკლებ 22 სმ სიღრმისა, თხელი ნიადაგების შემთხვევაში მისი ნაყოფიერების სიღრმეზე.

3. ხვნა უნდა ტარდებოდეს უხარვეზოდ, გუთნის ყველა კორპუსი თანაბარი სიგრძისა და სიგანის სწორ კვალს უნდა ავლებდეს. ხვნის დამთავრებისთანავე კვლის თავი და ბოლო უნდა მოიხნას.

4. ხნულის სიღრმე და თხემიანობა თანაბარი უნდა იყოს. ხვნის სიღრმის გადახრა მხოლოდ დასაშვებია 1 სმ-ს ფარგლებში.

### ნიადაგის დამუშავების სპეციალური წესები

ნიადაგის დამუშავების სპეციალურ წესებს მიეკუთვნება: პლანტაჟი, ფენობრივი მოხვნა, ფრეზვა და სხვა.

პლანტაჟს მიმართავენ ნარგაობისათვის ნიადაგის პირველადი დამუშავების დროს, მაგალითად, ვაზის, ხეხილის, ციტრუსების, თხილის, კივის და სხვა მრავალწლიანი კულტურების პლანტაციის გასაშენებლად.

პლანტაჟის წესით ნიადაგის მოხვნა შეიძლება 40-100 სმ სიღრმეზე. პლანტაჟი საჭიროა რათა შეიქმნას ღრმად გაფხვიერებული ნიადაგის ფენა, რათა ნიადაგის დამუშავების ამ წესმა ხელი შეუწყოს მრავალწლიან კულტურების ფესვთა სისტემას ღრმად, ლაღად განვითარებას, წყლითა და საკვებით უზრუნველყოფას.

პლანტაჟის წესით შეიძლება დამუშავდეს მინდვრის კულტურებისათვის ნიადაგები იმ შემთხვევაში როდესაც ნიადაგი სარეველა მცენარეებით ძლიერ იქნება დასარევლიანებული., ხოლო დანარჩენ შემთხვევაში მინდვრის კულტურებისათვის ასეთი წესით ნიადაგის დამუშავება ეკონომიურად გამართლებული არ არის.

### ნიადაგის ფენობრივი წესით დამუშავება

ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის სიმცირის, ან ქვედა ჰორიზონტში მავნე ჩარეცხილი ნივთიერებების შემცველობის შემთხვევაში საპლანტაჟო ხვნა შეუძლებელია, ამ შემთხვევაში მიმართავენ ნიადაგის ფენობრივ დამუშავებას. ამასთან ნიადაგის წყლის ჟონვადობის გასაძლიერებლად და ეროზიული პროცესების შესამცირებლად მიმართავენ ფენობრივ დამუშავებას მცირე დაქანების ფერდობებზეც.

### ფრეზვა

ფრეზებით ნიადაგის გაფხვიერებას ფრეზვას უწოდებენ. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ნიადაგი გაფხვიერდეს 20-25 სმ სიღრმეზე. თუ ფრეზირება ნორმალურად ჩატარდა მაშინ არ არის საჭირო ნიადაგის თესვისწინა დამუშავება სხვა ხერხებით. ფრეზვას ფართოდ იყენებენ კოლხეთის დაბლობზე მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე.

### ნიადაგის ზედაპირული დამუშავების წესები და იარაღები

ნიადაგის ზედაპირული დამუშავება მიზნად ისახავს ნიადაგის ქერქის მოსპობას, ხნულის გაფხვიერებას, გატკეპნილი ფენის გაფხვიერებას, სარეველების მოჭრას, თესლის ჩათესვის სიღრმემდე ნიადაგის გაფხვიერებას.

ნიადაგის ზედაპირული გაფხვიერების სიღრმე შეადგენს 10-12 სმ-ს.

ნიადაგის ზედაპირულ დამუშავებაში შედის:

- აოშვა;
- კულტივაცია;
- ფარცხვა;
- მოშლეიფება;
- მოტკეპნა;
- ნაწვერლის აჩეჩვა.

### აჩეჩვა

აჩეჩვა მოხვნის წინ, მოსავლის აღებისთანავე ტარდება. აჩეჩვა ტარდება დისკოებიანი იარაღებით. აჩეჩვის შედეგად ხელსაყრელი პირობები ექმნება სარეველა მცენარეთა თესლებს აღმოცენებისათვის. აჩეჩვის შემდეგ აღმოცენებული სარეველების მოსპობა შეიძლება ნიადაგში ჩახვნით, ან შესაბამისი ჰერბიციდების გამოყენებით.

### აოშვა

აოშვის დროს აჩეჩვისგან განსხვავებით ხდება ხნულის გაფხვიერება, ანეულის დროგამოშვებით გაფხვიერება, ხნულში გაჩენილი გამკვრივებული მასის გაფხვიერება, სარეველების მოჭრა.

აოშვის დროს, როცა სარეველები მცირე რაოდენობითაა გამკვრივებული გოროხოვანი ზედაპირის გასაფხვიერებლად გამოიყენება დისკოებიანი ფარცხი. ტანიანი საოშები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ხნულის ზედაპირი დაშლილია და სარეველები მომრავლებულია.

### კულტივაცია

კულტივაცია ტარდება გაფხვიერებული ფენის გადმოუბრუნებლად. მისი მიზანია ნიადაგის გაფხვიერება, სარეველების მოჭრა. კულტივაცია ტარდება ხნულში და ნათესების მწკრივთშორისებში.

ხნულის შემთხვევაში კულტივაციის მიზანია 5-15 სმ სიღრმეზე გაფხვიერება ბელტის გადაუბრუნებლად, ხოლო მწკრივთშორისებში კულტივაციის მიზანია ნიადაგის გაფხვიერება და სარეველების მოჭრა, მინერალური სასუქების ჩაკეთება.

### ფარცხვა

ფარცხვის შემთხვევაში ბელტის გადაუბრუნებლად ხდება ნიადაგისა და ნათესების გაფხვიერება, ამ შემთხვევაში ნიადაგის გაფხვიერებასთან ერთად იჭრება სარეველები და წყდება ქვედა და ზედა ფენას შორის კაპილარული კავშირი, რაც ამცირებს აორთქლებას.

### დაშლეიფება

დაშლეიფების (მოსწორების) დროს ხდება ხნულის ზედაპირის მოსწორება. დაშლეიფებას ახდენენ ადრე გაზაფხულზე დაფარცხვამდე. დაშლეიფებით ხდება ტენის აორთქლების შემცირება. დაშლეიფებას ატარებენ შლეიფ-ფარცხებით.

### მოტკეპნა (გაბეკვა)

მოტკეპნის დროს ხდება ნიადაგის გამკვრივება, ბელტის დაშლა და ზედაპირის მოსწორება. ხდება თესლისა და ნიადაგის ერთმანეთთან შეკავშირება და იქმნება ხელსაყრელი პირობები თესლის თანაბარი აღმონაცენის მისაღებად.

მოტკეპნას ახდენენ სპეციალური სატკეპნებით. არსებობს სხვადასხვა ტიპის სატკეპნები. ესენია: ცილინდრული გლუვზედაპირიანი, რგოლებიანი, დეზებიანი, ჭდეული საგორავები.

### მიწის შემოყრა

მიწის შემოყრას აწარმოებენ ძირითადად სათოხნი კულტურების ნათესებში, რომლის მიზანია სარეველების მოჭრა, ნიადაგის გაფხვიერება, მიწის შემოყრის შედეგად კარტოფილს გამოაქვს დამატებითი წამონაზარდები, რომელზედაც წარმოიქმნება ტუბერები და იზრდება მისი მოსავალი. მიწის შემოყრის შემთხვევაში სიმინდს გამოაქვს დამატებითი საჰაერო ფესვები, რითაც უკეთ ემაგრება ნიადაგს და იძენს მეტ სიმაგრეს და იცავს წაქცევისგან ქარის დროს.

### დისკოებიანი ფარცხები

დისკოებიანი ფარცხები კარგ შედეგს იძლევა გაკორდებული, ყამირი და ნაწვერალის შემთხვევაში. უსტრუქტურო, მძიმე თიხა ნიადაგების დასაფარცხად.

### როტაციული ფარცხი

როტაციული ფარცხი წარმოადგენს კულტივატორებსა და ფარცვხებს შორის გარდამავალ იარაღს, იგი საუკეთესო საშუალებაა ნიადაგის ზედაპირის გასაფხვიერებლად.

სოფლის მეურნეობის საფუძვლები, ავტორები: ზაირა ტყებუჩავა; ცოტნე სამადაშვილი; გივი ცაგურიშვილი; ალექსანდრე გათენაძე.

Agrokavkaz. ge

# კანარის ჩიტის – „პატარა მკურნალის“ მოშენების საკითხისათვის

თანამედროვე ადამიანის ცხოვრების რითმი იმდენად მაღალია, რომ მას ერთი წუთით არ აძლევს მოდუნების საშუალებას. დღის გადატვირთული გრაფიკი, განსხვავებულ ინფორმაციათა სიჭარბე, ფსიქოემოციური დაძაბულობა, სტრესული სიტუაციები მისი ყოველდღიურობის თანხვედრია.

სამწუხაროდ, იგი სულ უფრო და უფრო ნაკლებ დროს უთმობს დედა ბუნებასთან ურთიერთობას. არადა, სწორედ ბუნებასთან ჰარმონიას ძალუძს ყოველგვარი ტკივილის განკურნება: სულიერი იქნება ეს, თუ ფიზიკური. ამის საუკეთესო დასტურია ორნიტოთერაპია ანუ ფრინველთა გალობით მკურნალობა.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ადამიანი გენეტიკურადაა დაკავშირებული ფრინველების მიერ გამოცემულ ბგერებთან. მათი ხმა თავის ტვინში აღიქმება, როგორც დადებითი ემოციების გამომწვევი გამაღიზიანებელი. ხოლო თუ რა კავშირია დადებით ემოციებსა და ფიზიკურ ჯანმრთელობას შორის, ყველასათვისაა ცნობილი.

ფრინველები სხვადასხვაგვარად მოქმედებენ ადამიანზე: ზოგიერთი მათგანის გალობას სიმშვიდე მოაქვს, ზოგიერთისა – გუნება-განწყობილებას აუმჯობესებს, სხვების – ძილის მომგვრელია და ა. შ. თითოეული მათგანი კი ბავშვებში მუსიკალური სმენის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ცნობილია, რომ ბულბულის სტვენა კურნავს დეპრესიას, თავის ტკივილს, ააქტიურებს ყველა ორგანოსა და სისტემის მუშაობას, ჭივჭავის და ჩიტბატონას გალობა ადამიანს ეხმარება ნევროზების დროს, შავი შაშვი უებარია მაღალი არტერიული წნევის შემთხვევაში. შემჩნეულია, რომ ბგერითი ვიბრაციები, რომლებსაც გამოსცემს გულწითელა, ხსნის თავის, გულისა და სახსრების ტკივილს, ღვიძლის, გულისა და კუჭის სპაზმებს.

მგალობელ ფრინველთა მოშენების თვალსაზრისით მეტად საინტერესო ობიექტს წარმოადგენს კანარის ჩიტი. ჩიტი, რომლის თანაბარრითმიანი გალობა საუკეთესოდ მოქმედებს ადამიანზე გახშირებული გულისცემისა და არითმიის დროს.

კანარის ჩიტი ევროპაში ჯერ კიდევ XIV საუკუნეში გაჩნდა, როდესაც ესპანელმა მეზღვაურებმა კანარის კუნძულები დაიპყრეს. მან მაშინვე მიიქცია ადამიანთა ყურადღება და დაიპყრო მათი გულები, თუმცა კანარის ჩიტის მასიურად შემოყვანა ევროპაში XVI საუკუნიდან ფიქსირდება.

კანარის ჩიტი (სერინუს ცანარია) ბელურისებრთა რიგის, მოჭიკჭიკეთა ოჯახის და კანარის კანარულ მოჭიკჭიკეთა სახეობის წარმომადგენელია. იგი ერთადერთი შინაური ფრინველია, რომელსაც შეეცვალა ხმის აპარატი და შესაბამისად-გალობა. სწორედ ამგვარმა გალობამ მოუტანა მას საყოველთაო აღიარება და სიყვარული.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ჯიში-ჰარცის როლერი. საყურადღებოა, რომ კანარის ჩიტს შეუძლია გაარჩიოს ბგერათა თანამიმდევრობა, დაიმახსოვროს და გაიმეოროს ისინი, შესაბამისად თავისი გალობა სხვა ფრინველების გალობას მიამსგავსოს, ასევე თავის ნამღერში ჩართოს განსხვავებული ხმები და ბგერები.

კანარის ჩიტი მცირე ზომის ფრინველია. მას ტალღისებრი ფრენა ახასიათებს. ამ ფრინველის მოშინაურების 500 წლიანი ისტორიის განმავლობაში ადამიანმა სელექციის გზით მრავალი ფერადი, დეკორატიული და მგალობელი ჯიში გამოიყვანა.

მგალობელი და ფერადი ფორმების სიგრძე 13,5 სმ-დან 14,5 სმ-მდე მერყეობს, დეკორატიულის კი 11 სმ-დან 23 სმ-მდე. ბუმბულის შეფერილობის მიხედვით ჭარბობენ ყვითელი ინდივიდები, თუმცა გვხვდება თეთრად, წითლად, ყავისფრად, ღია ყავისფრად შეფერილებიც.

კანარის ჩიტის ორგანიზმი მეტად პლასტიკურია, კვების რეჟიმის შეცვლით შესაძლებელია მისი ბუმბულის ფერის შეცვლა.

კანარის ჩიტი ადვილად თვინიერდება, მიმნდობია, ექვემდებარება „აღზრდას“, შინაურ პირობებში წარმატებით მრავლდება და 7-12 წელიწადს ცოცხლობს. მისი გალობის ხარისხი და აქტიურობა, გამრავლება და სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისთვის მისაღებ მოვლა-შენახვის პირობებზე.

ფრინველს ინახავენ როგორც ვოლიერებში, ასევე ხის ან მეტალისგან დამზადებულ გალიებში (35X20X30სმ). გალიებს, რომლებიც აღჭურვილია ქანდარებით, საკვებურებით, სარწყულებლებით და ფრინველის ბანაობისათვის განკუთვნილი ჭურჭლით, როგორც წესი მართკუთხედის ფორმა აქვთ. ასეთი გალიები ერთმანეთზე მარტივად თავსდება, ამასთან, ფრინველები იზოლირებული არიან და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე მშვიდად გალობენ.

კანარის ჩიტების შეწყვილებისათვის საუკეთესო პერიოდია გაზაფხული. იმისათვის, რომ მომშენებელმა ძლიერი შთამომავლობა მიიღოს აუცილებელია შესაწყვილებელ ფრინველთა სწორი შერჩევა ასაკის (10-12 თვიდან 4 წლამდე, მამრები დაშვებულია უფრო მეტი ასაკისაც იყვნენ), ექსტერიერული ნიშნებისა და ორგანიზმის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით. მამრი მდედრზე მსხვილი უნდა იყოს, იგი უნდა ხასიათდებოდეს ლამაზი შეფერილობით, აქტიურობითა და საინტერესო გალობით.

შთამომავლობის შეფერილობა ორივე მშობელზეა დამოკიდებული, ხოლო გალობის ხარისხი, სმენა და ნამღერის აღქმის უნარი – მამრზე.

კანარის ჩიტებს შესაწყვილებლად სპეციალურ (60X40X40სმ) გალიაში ათავსებენ, ან თავისავე გალიაში ტოვებენ. ნებისმიერ შემთხვევაში გალიაში ამაგრებენ ბუნებრივთან მიმსგავსებულ, ჯამის ფორმის თოკისაგან დაწნულ ბუდეს, რომელსაც მოგვიანებით მდედრი წინასწარ გამზადებული სხვადასხვა „საშენი მასალით“ ამოფენს.

მასალად გამოიყენება: 2-3სმ სიგრძის დაკუწული ბამბის ძაფები და ქსოვილი, გამომშრალი თივა, წვრილი ბუმბული, ბამბა და ა.შ. ბუდის მზადებას მდედრი 2-3 დღეს ანდომებს. ბუდის მოწყობიდან 1-2 დღის შემდეგ იგი დილის საათებში იწყებს კვერცხის დებას. მათი რაოდენობა 3-დან 7-მდე მერყეობს, თუმცა უფრო ხშირად 3-4 ცალია.

კანარის ჩიტის კვერცხი მორუხოცისფერია დამახასიათებელი მუქი კოპლებით. მისი მასა 1,9გ-დან 2,5გ-მდეა, ზომა კი 17X13-დან 20X15 მმ-მდე. კვერცხებზე ძირითადად მდედრი ზის, იგი იშვიათად ტოვებს ბუდეს, ამას მხოლოდ მაშინ აკეთებს, როდესაც ესაჭიროება საკვების ან წყლის მიღება. კვერცხებზე მჯდომ მდედრს პერიოდულად მამრიც კვებავს.

კანარის ჩიტის კვერცხის ინკუბაცია 13 დღეს გრძელდება, მე-14 დღეს იჩეკებიან იშვიათი, მაგრამ გრძელი ღინღლით დაფარული ბარტყები. გამოჩეკვიდან 3-4 სთ-ის შემდეგ მდედრი იწყებს ბარტყების კვებას. ბარტყების გამოკვებაში მამრიც აქტიურადაა ჩართული.

გამოჩეკიდან 24-28-ე დღეს ბარტყები გადაჰყავთ სხვა გალიაში, სადაც ისინი უკვე დამოუკიდებლად იკვებებიან. „ახალგაზრდა მამრი“ თავისი არსებობის 35-37-ე დღეს იწყებს გალობას, მისი ბგერები ღრმა, გაბმული და გრძელია. მისგან განსხვავებით, მდედრის მიერ გამოცემული ბგერები უფრო მაღალი, მოკლე და წყვეტილია.

ასაკის მატებასთან ერთად აუცილებელია მდედრისა და მამრის განცალკევება. მამრი ჟღურტულებს, რომლის დროსაც ბერავს ჩიჩახვს, მდედრი კი წივწივებს. 5-6 თვის ასაკის მამრი სუსტი, ჩამოუყალიბებელი ხმით გალობს, მისი ნამღერი უმჯობესდება 8 თვის ასაკისათვის, ხოლო საბოლოოდ, 2 წლის ასაკში ყალიბდება.

კანარის ჩიტის ხანგრძლივი და წარმატებული სელექციისათვის აუცილებელია თითოეული ფრინველის წარმოშობისა და ასაკის ცოდნა, მაგრამ გარეგნულად მსგავსი ინდივიდების ერთმანეთისაგან განსხვავება ძალზედ ძნელია. შეცდომის დაშვების თავიდან აცილების მიზნით სელექციონერები იყენებენ ფეხზე დასამაგრებელ სპეციალურ რგოლს, რომელზეც მითითებულია ყველა საჭირო მონაცემი.



კანარის ჩიტის კვებაში გამოიყენება 4 სახის საკვები, ესენია: მარცვლოვნები, კვერცხი, ხილი და ბოსტნეული, მწვანილი. ამ პრინციპით კვებავენ, როგორც ზრდასრულ ფრინველს ასევე ბარტყებსაც, ოღონდ ერთი განსხვავებით, ბარტყებს ბოსტნეული და მწვანილი ეძლევათ დიდი სიფრთხილით.

ამასთან ერთად არსებობს სპეციალურად კანარის ჩიტისათვის განკუთვნილი საკვები, რომელიც დაბალანსებულია ფრინველისათვის აუცილებელი ყველა საყუათო ნივთიერებით, მინერალებითა და ვიტამინებით.

დღეს კანარის ჩიტის მოშენებით ევროპის მრავალ ქვეყანაში არიან დაკავებული. მოყვარულები საქართველოშიც არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნული საქმიანობა არაპროფესიონალურ დონეზე მიმდინარეობს. სწორი მიდგომის შემთხვევაში ფრინველი შესაძლებელია სოლიდური შემოსავლის წყაროდაც იქცეს, რადგან გალობის ხარისხიდან გამომდინარე ცალკეულ ეგზემპლართა ფასი რამდენიმე ათეულიდან-ასეულ ლარამდე მერყეობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ კანარის ჩიტი მეტად საინტერესო ობიექტია, არამარტო გალობის, არამედ მოშენების თვალსაზრისითაც.იგი ადამიანისთვის ერთდროულად შეიძლება იყოს ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამაუმჯობესებელი და ბიზნეს საქმიანობადაც იქცეს.

**მ. ბარვენაშვილი, მ. ფეიქრიშვილი, ლ. ჯიქია, ა. გიორგაძე**

# ვინ არის მსოფლიოს მერვე საოცრებად წოდებული „პალმა ჯუმეირას“ ქართველი კონსტრუქტორი – „სამწუხაროა, რომ მას საქართველოში არ იცნობენ“

„სამწუხაროა, რომ მსოფლიოს ამ „მერვე საოცრების“ შესახებ არსებულ უამრავ ინფორმაციაში ხშირად არ არის მითითებული ოთარ ზალდასტანიშვილის ვინაობა. სწორედ მან მოახერხა იმ კონსტრუქციის დაპროექტება, რომლის წყალობითაც ყურეში ნიადაგის დამაგრება მოხერხდა, რათა მიწა ზღვას არ წაეღო. სამწუხაროა ისიც, რომ ოთარ ზალდასტანიშვილი თავისი გენიალური კონსტრუქციის შედეგების ნახვას ვერ მოესწრო. უფრო სამწუხაროა ის, რომ



საქართველოში ასეთ დიდ პიროვნებას არ იცნობენ“ – ამბობს ცნობილი ისტორიკოსი რუსუდან დაუშვილი, რომელიც ოთარ ზალდასტანიშვილზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის:

– მას შემდეგ, რაც ძვ.წ. II სში მსოფლიოს შვიდი საოცრების სია შედგა, არაერთხელ იყო ამ სიის შეცვლის და შევსების მცდელობა. XXIე საუკუნის „მსოფლიოს მერვე საოცრებად“ მიჩნეულია სპარსეთის ყურეში განხორციელებული პროექტი „პალმა ჯუმეირა“, ეს არის ზღვაში განლაგებული პალმის ფორმის ხელოვნური კუნძულები, რომელიც ასევე ხელოვნური ატოლით არის შემოფარგლული. როგორც აღმოჩნდა, ადამიანის ხელით შექმნილი ეს მეორე ძეგლია, დიდი ჩინური კედლის შემდეგ, რომელიც კოსმოსიდან ჩანს. ამ უნიკალური პროექტის შესახებ ინფორმაცია გავრცელებულია პრესის, ტელევიზიის, ინტერნეტის საშუალებით და ქართული საზოგადოება მეტნაკლებად ინფორმირებულია, თუმცა ყველამ არ იცის, რომ ამ პროექტის ავტორი ჩვენი თანამემამულე, ემიგრანტი ოთარ ზალდასტანიშვილია. საქართველოში უკეთ იცნობენ ოთარის ძმას, ამერიკელ ბიზნესმენ გივი ზალდასტანიშვილს, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში და 2001 წელს ამერიკული აკადემიაც დააარსა. გივი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საარქივო კომისიის წევრი იყო.

ოთარის და გივის მამა სოლომონ ზალდასტანიშვილი ეროვნული არმიის პოლკოვნიკი, დამოუკიდებლობის კომტეტისა და სამხედრო ცენტრის წევრი და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთერთი ხელმძღვანელი იყო. აჯანყების დამარცხებისა და სისხლში ჩახშობის შემდეგ სასტიკი რეპრესიები დაიწყო. სოლომონმა ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულებთან ერთად საიდუმლოდ დატოვა საქართველო და თურქეთის გზით საფრანგეთში გაიხიზნა. მალე საფრანგეთში ოჯახის წევრები, მეუღლე მარი ხირსელი და შვილები გივი და ოთარიც ჩავიდნენ. გივი 5 წლის იყო, ოთარი 2-ის, როცა საქართველოდან წაიყვანეს. საფრანგეთში 17 წელი იცხოვრეს, მაგრამ ბავშვებმა ქართული ცნობიერება და ენა შეინარჩუნეს. ყოველ კვირას დედა ქართულ სადილს ამზადებდა და მათ ოჯახში ქართველები იკრიბებოდნენ. II მსოფლიო ომის დროს უამრავ სხვა ემიგრანტთან ერთად სოლომონიც ჩაება ტყვეთა გათავისუფლების კამპანიაში. ქართველ ტყვეთა გასათავისუფლებლად რუმინეთშიც ჩავიდა და 500 ქართველის ბანაკიდან გამოყვანას დიდი ბრძოლით მიაღწია, მაგრამ დაავადდა და 1941 წელს ბუქარესტის საავადმყოფოში ტვინის ანთებით გარდაიცვალა.

### ძმები, ოთარ და გივი ზალდასტანიშვილები

**– ამერიკაში როგორ აღმოჩნდნენ ზალდასტანიშვილები?**

– სოლომონ ზალდასტანიშვილის მეუღლემ და ვაჟმა გივიმ 1947 წელს დატოვეს ევროპა და ამერიკაში გადასახლდნენ, სადაც უკვე ცხოვრობდა ოთარი. საფრანგეთში სკოლადამთავრებულმა გივიმ სწავლა ჰარვარდის უნივერსიტეტში განაგრძო. უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ გივიმ ბიზნესს მიჰყო ხელი. გივიზე სამი წლით უმცროსი ოთარი 1922 წელს თბილისში დაიბადა, პარიზის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ სწავლა სორბონის უნივერსტეტში გააგრძელა. გატაცებული იყო დიდი ქართველი მეცნიერების, მუსხელიშვილისა და ვეკუას შრომებით და მათ თეორიებზე დაყრდნობით 1952 წელს სახელგანთქმულ ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველიშვილთან ერთად სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, აეროდინამიკასა და ნიადაგის მექანიკაში.

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, 1949 წელს ოთარ ზალდასტანიშვილმა მუშაობა ბოსტონში, სამშენებლო კომპანიაში დაიწყო. 1952 წელს კომპანიის პარტნიორი გახდა, 196489 წელს კი – პრეზიდენტი, 19891997 წლებში დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით 25 ინჟინერი სხვადასხვა დიდ სამშენებლო პროექტებს ახორციელებდა. ზალდასტანიშვილს შესრულებული აქვს პროექტების რეკორდული რაოდენობა – 1000ზე მეტი ამერიკაში, ევროპაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. მათ შორისაა: ბოსტონის საერთაშორისო აეროპორტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის სტადიონისა და ბრაუნის უნივერსიტეტის მოიჰანის აუდიტორიის აღდგენის პროექტები, სასახლეები ვაშინგტონსა და ამერიკის სხვა ქალაქებში, მაღლივი შენობები საფრანგეთში, ალჟირში, ერაყში და ბოლოს, „ჯუმეირას“ გენერალური გეგმა საუდის არაბეთში. ის იყო პიონერი სამშენებლო კონსტრუქციების ტექნიკის განვითარებაში, რომლის მეშვეობითაც ავტოსტრადის ზედა სივრცის გამოყენება შესაძლებელი გახდა. მის სახელს მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ინოვაციები უკავშირდება.

### პალმა ჯუმეირა – ხელოვნური კუნძულები დუბაიში

რაც შეეხება „ჯუმეირას“, მას „პალმა“ ეწოდება იმიტომ, რომ 2 დაშორებული კუნძული დუბაის სანაპიროსთან 17ტოტიან პალმის ხეს ქმნის. იგი ნახევარმთვარის ფორმის რიფებით არის გარშემორტყმული, თვითონ არქიპელაგი 200 კუნძულისაგან შედგება.



არქიპელაგზე 100 ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა, ათასი ვილა, პენტჰაუზი და 5.000 კერძო ბინა. პალმაზე ბევრ ცნობილ პიროვნებას აქვს საკუთრება. ერთერთი პირველები იყვნენ ბექჰემები, რომლებმაც აპარტამენტებში 12 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ბოლო წლების საოცარი სანახაობაა „პალმაზე“ მოწყობილი საახალწლო ფეიერვერკებია.

### ხედი საერთაშორისო კოსმოსური სადგურიდან

სამწუხაროა, რომ მსოფლიოს ამ „მერვე საოცრების“ შესახებ არსებულ უამრავ ინფორმაციაში ხშირად არ არის მითითებული ოთარ ზალდასტანიშვილის ვინაობა. სწორედ მან მოახერხა იმ კონსტრუქციის დაპროექტება, რომლის წყალობითაც მოხერხდა ყურეში ნიადაგის დამაგრება, რომ მიწა ზღვას არ წაეღო. უფრო სამწუხაროა ის, რომ საქართველოში ასეთ დიდი პიროვნებას არ იცნობენ. მის გარდაცვალებას მხოლოდ ერთი ქართული გაზეთი გამოეხმაურა მოკრძალებული ნეკროლოგით. ოთარ ზალდასტანიშვილი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 83 წლის ასაკში 2005 წელს გარდაიცვალა, იგი მაუთ ობურნის სასაფლაოზე დაკრძალეს. დაკრძალვას მსოფლიოს უამრავი ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე დაესწრო.

**მანანა გაბრიჭიძე**
ambebi.ge

# „სუფრის დასასრულს ჩერჩილმა მოიხმო და უთხრა, თქვენი სახით თვით კულინარიის მოცარტი ვიხილეო“

„სუფრის დასასრულს ჩერჩილმა რთველაძე მოიხმო, ფეხზე წამოდგა და უთხრა, მე დღეს თქვენი სახით თვით კულინარიის მოცარტი ვიხილეო, რუზველტმა კი დაამატა, მე კი ვფიქრობ, რომ თქვენ კულინარიის პაგანინი ბრძანდებითო“.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ონის სოფელ შეუბანში გაზრდილმა ბიჭმა – ალექსანდრე რთველაძემ მსოფლიოს სამი უდიდესი პოლიტიკოსი: ფრანკლინ რუზველტი, უინსტონ ჩერჩილი და იოსებ სტალინი მოაჯადოვა თავისი კულინარიული ხელოვნებით. ჩვენ ამ ბევრისთვის უცნობი ვირტუოზის შესახებ ონელმა რაჭველებმა მოგვწერეს, რის კვალსაც სიამოვნებით გავყევით.



„მოგესალმებით. გამიხარდებოდა, ჩემი რაჭიდან რომ გწერდეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, სამშობლოდან ძალიან შორს, ამერიკაში ვარ. აქ, ახლა ბევრი ქართული რესტორანია, სადაც შევდივარ და სამშობლოს ვიხსენებ, მასთან ერთად კი სტალინისა და ბერიას მზარეულს, რაჭველ ალექსანდრე რთველაძეს. მის შესახებ მამაჩემის ნაამბობი მახსოვს – თავისი კულინარიით თვით ამერიკის პრეზიდენტი მოხიბლაო. გთხოვთ, დაწერეთ მის შესახებ. ამით კარგ საქმეს გააკეთებთ. ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თავს კიდევ ერთხელ დავარწმუნებთ, რომ ნიჭიერი ხალხი ვართ“, – ეს წერილი „კვირის პალიტრას“ მანანა გოშაძემ მოსწერა.

რომ არა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ლევან დოლიძე, ამ ისტორიის აღდგენა ძნელი იქნებოდა. მოგეხსენებათ, იმ დროისთვის საბჭოთა ბელადთან დაახლოებული პირები ზოგჯერ თავადვე ანადგურებდნენ დოკუმენტაციას სიცოცხლის შესანარჩუნებლად...

ბატონი ლევანი ალექსანდრე რთველაძეს მოულოდნელად გადაეყარა.

– ალექსანდრე რთველაძე 1975 წელს თბილისის ცკ-ს სასადილოში გავიცანი. იქ მზარეულად მუშაობდა ერთი ხანდაზმული და მკვირცხლი მოხუცი, რომელიც უგემრიელეს კერძებს ამზადებდა. ვფიქრობ, მისთვის კა-გე-ბეს გენერალ ჩიბურდანიძეს უნდა გაეწია რეკომენდაცია. ერთ დღეს სამსახურიდან გამოსულს შევხვდი, მითხრა, გრიბოედოვზე ვცხოვრობ და ფეხით გავივლიო. მეც აქვე ვცხოვრობ და ერთად წავიდეთ-მეთქი. მის სახლთან რომ მივედით, უეცრად იქიდან მისი ვაჟი გამოვიდა და ჩემს დანახვაზე გაიოცა, შენ აქ საიდანო. აქეთ მე გამიკვირდა, ნუთუ შენ ძია ალექსანდრეს შვილი ხარ-მეთქი და გადავეხვიე. მოკლედ, ჩვენ ერთად გავიზარდეთ სოლოლაკში, მაგრამ მამამისზე წარმოდგენაც არ მქონდა. ჩემი მეგობარი მასზე არასოდეს ლაპარაკობდა, ბიჭებისთვის ის უჩინარი იყო. ჩვენ რომ ერთმანეთს ასე თბილად შევხვდით, ალექსანდრეც მიხვდა, რომ ჩემთან შეიძლებოდა საუბარი და ერთ დღესაც გამიმხილა, რომ ჯერ ბერიას პირადი მზარეული ყოფილა, მერე კი სტალინის.

**– მათთან როგორ მოხვდა?**

– XX საუკუნის დასაწყისში თბილისში ბევრი უცხოური სასტუმრო იყო. რაჭიდან ჩამოსული ალექსანდრე, სასტუმრო „ჩრდილოეთის ნომრებში“ მიაბარეს მზარეულ-ობის შესასწავლად... მალე საქართველო დამოუკიდებელი გახდა და ისიც თბილისის საკრებულოს სასადილოში გადავიდა, სადაც მისი მომზადებული კერძებით სადილობდნენ გენერლები მაზნიაშვილი და კვინიტაძე. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ კი ალექსანდრემ ჭიათურაში ამერიკელი მეწარმის, ავერელ ჰარიმანის მანგანუმის კონცერნში დაიწყო მუშაობა.

**– ეს ის ჰარიმანია, რომელიც ამერიკის პირველი ელჩი იყო საბჭოთა სახელმწიფოში?**

– დიახ. მას სტალინმა იჯარით ჭიათურის მანგანუმის საწარმო გადასცა. ამ კაცმა იქაურობა გამართა და მერე თავის ქვეყანაში დაბრუნდა. მანამდე კი, ალექსანდრეს გაკეთებული სადილი რომ იგემა, შესთავაზა, – ამერიკაში წაგიყვან, თუ იქაც ასე იმუშავებ, მილიარდერი გახდებიო.მზარეული უცნობ ამერიკაში ცხოვრებისა და გამდიდრების პერსპექტივამ ვერ მოხიბლა და თბილისში, ამიერკავკასიის ბოლშევიკური პარტიის სასადილოში მოეწყო მზარეულად, სადაც ბერიას შეხვდა. ბერიასაც ჰარიმანივით დაემართა, სადილი გასინჯა თუ არა, მზარეულის ნახვა მოითხოვა... ალექსანდრე ბერიას სასტიკ კაცად არ მოიხსენიებდა. პირიქით, ამბობდა, ხუმრობა უყვარდაო. მეც მყავს ნანახი ბერიას დედა და და. მან ისინი კიკეთის ბავშვთა სახლში ამოიყვანა, სადაც მეც ვიყავი და სხვა ბავშვებთან ერთად ღობეს მივვარდი. ბერიას დამ, რომელიც ყრუ-მუნჯი იყო, ჩანთიდან კანფეტები ამოიღო და გადმოგვიყარა. გადავირიეთ, კანფეტი თვალითაც არ გვქონდა ნანახი.

ალექსანდრესგან ვიცი, რომ ბერიას, ისევე როგორც სტალინს, არ უყვარდა ბევრი ჭამა: დილით შემწვარ ხორცს მივართმევდი, ჭიქა ღვინოს დააყოლებდა და ამის შემდეგ მთელი დღე მშიერი იყოო. 1938 წელს სტალინმა ბერია მოსკოვში წაიყვანა, მან კი თან მზარეულიც გაიყოლა.

**– მაღალი ეშელონებისთვის მზარეულის ერთგულება სამკვდრო-სასიცოცხლო თემაა.**

– სტალინი ბერიას ენდობოდა. ყოველ შემთხვევაში, რთველაძის მომზადებული კერძები სწორედ ბერიასთან სტუმრობისას გასინჯა და ცხადია, აღფრთოვანდა. ამის შემდეგ გადავიდა რთველაძე კრემლში, თუმცა არა მხოლოდ მზარეულად. სტალინი მას შვილებსაც ანდობდა. ალექსანდრე მეუბნებოდა, ერთხელაც სტალინის ქალიშვილმა სვეტლანამ რესტორან „არაგვში“ წასვლა აიჩემა და სტალინის დაცვასთან ერთად მეც გამაყოლესო. სტალინს მზარეული სულ თან ახლდა, მათ შორის, ორ ისეთ კონფერენციაზე, რომელმაც მსოფლიოს ბედი გადაწყვიტა – 1943 წელს თეირანისა და 1945 წელს იალტის კონფერენციებზე. ორივეში ამერიკის პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილიც მონაწილეობდნენ...

**– რთველაძეს არ უთქვამს, ბელადს რომელი კერძები უყვარდა?**

– რთველაძე უპირველესად სტალინის ადამიანურ თვისებებს ახსენებდა. ერთხელ აღტაცებით მომიყვა, როგორ ჰკითხა სტალინმა, როცა გერმანელები მოსკოვს მოადგნენ, ალექსანდრე, ხომ არ გეშინიაო? როცა ვუპასუხე, მეშინია-მეთქი, თვალებში ჩამხედა და მითხრა, ნუ გეშინია, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთო! მეორე დღეს მოსკოვში აღლუმი ჩაატარა, მერე სამზარეულოში შემოვიდა და გვითხრა, აბა, ჭიქები შევავსოთ, როგორ შეიძლება დღევანდელი დღის სადღეგრძელო არ დავლიოთო!

როგორც ალექსანდრე მიყვებოდა, იყო დღეები, როცა სტალინი არაფერს ჭამდა. როდესაც თეირანში მივდიოდით, ვაგონში დილით შეტანილი კერძი მეორე დილ-ით ხელუხლებელი დამახვედრა, მთელი ღამის ნამუშევარს, ქაღალდებზე დაედო თავი და ეძინაო. ისე კი, ყველაზე მეტად ღუმელში კანიანად შემწვარი კარტოფილი და საცივი ჰყვარებია. სხვათა შორის, საცივის ის რეცეპტი, რომლითაც ის სტალინს უმზადებდა, ჩაწერილი მაქვს...

**– თეირანში ყოფნისას რთველაძეს ჩერჩილი და რუზველტიც გაუოცებია...**



– თეირანის კონფერენციას ჩერჩილის დაბადების დღე დაემთხვა. ის თურმე ზუთხზე გიჟდებოდა და რთველაძემაც მოიფიქრა: აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტში დაარეკვინა და კასპიის ზღვიდან სულ სამ საათში ჩაატანინა მეტრნახევრიანი ზუთხი, რომელიც საბჭოთა საელჩოს ეზოში სარეცხის ტაშტში მოხარშეს.

**– ტაშტში?**

– იმას ვამბობ, რაც თავად რთველაძემ მიამბო. ახალგამოსული იყო დიდი ზომის უჟანგავი ტაშტები. ამხელა ტაშტი იმიტომ გახდა საჭირო, რომ ზუთხი ჩერჩილისთვის მთლიანად მიერთმიათ და არა დაჭრილი. ალექსანდრემ ზუთხი უშველებელ მარლაში გაახვია და ბოლოებით საელჩოს ეზოში ხეზე ჩამოკიდა, შიგ გახვეული ზუთხი კი ტაშტში ჩადო მოსახარშად. როდესაც მიხვდა, უკვე მოხარშულიაო, ხესთან მდგომ კრემლის უშიშროების მეთაურს ალექსანდრე ეგნატაშვილს ნიშანი მისცა და მანაც ხეზე მარლით ჩამოკიდებული ზუთხი ტაშტიდან ამოსწია.

წარმოიდგინეთ, ზუთხი იმდენად მძიმე იყო, რომ ეგნატაშვილს, ყოფილ სპორტსმენსაც კი გაუჭირდა მისი ამოწევა. ბოლოს ზუთხი ლენინგრადის მუზეუმიდან ჩამოტანილ პეტრე პირველის უშველებელ ლანგარზე დადეს, ქართული სანელებლებით შეკაზმეს და ასე მიართვეს ჩერჩილს. სუფრის დასასრულს ჩერჩილმა რთველაძე მოიხმო, ფეხზე წამოდგა და უთხრა, მე დღეს თქვენი სახით თვით კულინარიის მოცარტი ვიხილეო, რუზველტმა კი დაამატა, მე კი ვფიქრობ, რომ თქვენ კულინარიის პაგანინი ბრძანდებითო.

სტალინისა და ბერიას სიკვდილის შემდეგ რთველაძე მხოლოდ იმიტომ გადაურჩა სიკვდილს, რომ მისი საქმე კულინარია იყო და არა პოლიტიკა.

**ეთერ ერაძე**
kvirispalitra.ge

# კ ა ლ ა მ ო ე დ ა ნ ი

## ისევ მოვა გაზაფხული



უბრალოდ, ხანდახან ნამდვილად უნდა გადახედო წარსულს... განსაკუთრებით კი ტკბილ წლებს, რომლებიც უკვე მოგონებად იქცა.... უკან მოიხედავ და ხვდები, რა დრო გაპარულა.... იმასაც კარგად ხვდები, რომ უამრავი ადამიანი ჩამოგცილდა, ის ადამიანები, რომლებიც ჩვენს მოგონებებში მთავარი როლის შემსრულებლები იყვნენ... გიჭირს დაიჯერო და გაითავისო, რომ ისინი აღარასდროს დაბრუნდებიან....მათი ხელი არასოდეს შეეხება თქვენს დაღალულ ხელებს... მათ ხმას ალბათ ქუჩაში გამვლელ ყველა ადამიანში მოძებნი თუმცა უშედეგოდ... ასეც ხდება ხოლმე, ადამიანთან დამშვიდობებასაც ვერ ასწრებ, ისე მიიხურება მათი კარი, თავისდაუნებურად... რჩები მარტოდ – მარტო , ეული ადამიანი.... გაკლია რაღაც სულის ნაწილი ეს ნაწილი კი სწორედ ის ადამიანები არიან, ვინც წავიდნენ და აღარასდროს დაბრუნდებიან... მაინც ელი მათ გამოჩენას, მიუხედავად იმისა რომ იცი, აღარ მოვლენ....

რამდენი ადამიანი დაგვიკარგავს?!... ამ ადამინებზე მხოლოდ წარსულში თუ ვისაუბრებთ, მოგონებების ფონზე... დიახ, გვრჩება მოგონებები, რომლებსაც ახალი აღარასდროს დაემატება... იმიტომ , რომ ის ადამიანები სამუდამოდ წავიდნენ ჩვენგან... რა ძალაც არ უნდა გამოვიყენოთ მათ დასაბრუნებლად, ყველაფერი უძლურია! ჩვენ.... ჩვენ კი ვეგუებით რეალობას... ისევ ავუწყობთ ცხოვრებას ფეხს... ისევ მოვა გაზაფხული.... ისევ აყვავდება არემარე... ალბათ ჩვენც დავუბრუნდებით ცხოვრების ტემპს.... და რა ბედი ეწევა იმ ადამიანთა ხსოვნას? ალბათ, იშვიათად.... ჰო, იშვიათად თუ გავიხსენებთ....

**თეკლა ზუბიტაშვილი**

## შილდის კარიბჭე



გასულ წელს ყვარლის მუნიციპლიტეტ სოფელ შილდის შემოსასვლელმა იერსახე შეიცვალა, გალამაზდა და სოფლის ტრადიციებთან ასოცირდა. შევიტყვეთ, რომ ამ ტერიტორიაზე ახლო მომავალში პალმების გაშენება იგეგმება, რაც მეტ სილამაზესა და სიუცხოვეს შესძენს სოფელს. დავინტერესდით, რას ფიქრობდა სოფლის მოსახლეობა და გამოკითხვა ჩავატარეთ ამ საკითხთან დაკავშირებით:

რას ფიქრობთ სოფლის სახეშეცვლილ შემოსასვლელზე და მოგწონთ თუ არა ის?

გთავაზობთ პასუხებს:

– ძალიან ლამაზი და მომხიბვლელია, ის საუკეთესოა. ზუსტად ისეთი, როგორიც ჩვენს სოფელს შეეფერება. მადლობა ყველას, ვინც პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა. ( მანანა)

– ჩემი სოფელი უძველესი ტრადიციების მატარებელია, თანაც მისი მდებარეობიდან გამომდინარე, სოფლის შესასვლელი სამხრეთ ნაწილში მხოლოდ ბუნებრივი, უბრალო იერსახით გამოიყურებოდა. სოფელში შემომსვლელ სტუმარსა თუ ადგილობრივ მაცხოვრებელს ჩრდილოეთით მდებარე კავკასიონის ქედზე გადაჰქონდა ყურადღება. კეთილი ადამიანების სპონსორობით სოფლის შემოსასვლელი გასუფთავდა , გალამაზდა და თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ XXI საუკუნის ისტორიულ ძეგლად წარმოგვიდგა. (მარი)

– მომწონს, ძალიან კარგია. (ნათია)

– ძალიან ლამაზია. ჩემი აზრით, წელიწადის ნებისმიერ დროს ჩამოსული სტუმარი რომ დაინახავს ამ სილამაზეს, ვერ გაუძლებს ცდუნებას და აუცილებლად ესტუმრება შილდას. (ნანა)

– მიხარია, შვილო, მაშ არ გამიხარდება?! გასუფთავდა, გალამაზდა, გზაზე გამვლელ-გამომვლელი წაიკითხავს, აქ შილდააო. თანაც ვაზი და ქვევრი დაახატეს, მევენაახეები ვართ, აბა მაშ ვინა ვართ?! ბიჭები რომ მუშაობდნენ, ვხედავდი და სულ ვლოცავდი, შვილებო, გაიხარეთმეთქი! (მაყვალა)

– მომწონს, რა თქმა უნდა. შემოსასვლელიდანვე საკუთარი აზრი გიყალიბდება ადამიანს შიგნით მდებარზე სოფელზე. კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ კახეთი ვაზის სამშობლოა და ამ სოფელში მაცხოვრებელი ადამიანები – მევენახეობის თაყვანისმცემლები არიან. გაიხარონ ამ პროექტის შემქმნელ-განმახორციელებლებმა და ვთხოვ ახალგაზრდებს: გაუფრთხილდით ამ სიმდიდრეს და არ დაუწყოთ ქვის სროლა! (გოგია)

– შილდა ოდითგანვე სტუმართმოყვარეობით განთქმული, ტრადიციული სოფელია. ის კახეთის გულია – თავისი კოლორიტით და ღვინის სიძველით. მისი ახალი შემოსასვლელი კი სრულიად ასახავს შილდისა და შილდელი ხალხის ბუნებას! (მაია)

ჩვენი სოფლის შესასვლელზე მეტი ინფორმაციის მოპოვების მიზნით გავესაუბრეთ მერის წარმომადგენელს შილდის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში – ლევან ხუციშვილს:

**– ბატონო ლევან ვისი იდეა იყო შილდის შემოსასვლელის განახლება? ვინ დააფინანსა ეს პროექტი?**

– შილდის შემოსასვლელის განახლება იყო ბიზნესმენ ზაზა ცეცხლაშვილის იდეა, და ყველანაირი ხარჯი მან გაიღო., რაც შეეხება დიზაინს, ჩვენი სოფლის მკვიდრის , მხატვარ ვალოდია გელაშვილის ნამუშევარია.

**– ვიცით, რომ იგეგმება ამ ტერიტორიაზე პალმების გაშენება, ამასთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?**

– პალმების გაშენება ვერ ხერხდება, ამიტომ მისი ცაცხვებით ჩანაცვლებას ვაპირებთ.

**– ამ საქმეში რა წვლილი შეიტანა ყვარლის მუნიციპალიტეტმა?**

– მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო მიმდებარე ტერიტორიის და ცენტრალური გზის დასუფთავება-მოასფალტება.

– დიდი მადლობა.

**ნინო ზურაბიშვილი**

## ჭერმის ხის ნოსტალგია

მაშინ გაზაფხული იდგა... ისევ მწვანედ გაშლილიყო ბუნება... ხეები ყვაოდნენ და არემარეს მათი სურნელი აბრუებდა. ერთი ხე, რომელიც ძალიან მიყვარს, ოდნავ ამაღლებულ, პატარა გორაკზე დგას. ხეს რაღაც საუცხოოდ გაშლილი ტოტები აქვს. ყვავილები ყველაზე ადრე მას გაეშალა. ვარდისფერი ყვავილები... ისეთი ლამაზი იყო... ძალიან მინდა წავიდე და ისევ მას გავანდო გულის ხმაური.... ამ პატარა გორაკს თავზე დაჰყურებს უზარმაზარი მთა, რომელიც მუდამ ისმენდა ჩემს ყველა სიტყვას და სამუდამოდ იმახსოვრებდა. ერთად ჩვენ ბევრი რამ გადაგვხდენია, ბევრჯერ გვიცინია, ბევრიც გვიტირია და ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენ სამს, ჩვენ სამს გვეკუთვნის. სახლიდან როცა გავიპარებოდი და ძმობილებთან თავგადასავლების საძებნელად მივდიოდი, თან მიმქონდა წიგნები. ისინი მუდამ ჩემი თანამგზავრები იყვნენ. დამთავრდა... არაფერი ეშველება!.. მხოლოდ ტკბილი მოგონებები დარჩა... დედამ ადგილი გაყიდა, სადაც ჩემი ჭერმის ხე დგას... ფული მომცა და მითხრა, შენი საყვარელი წიგნები იყიდეო. გამიხარდა... მაგრამ ჩემი ხე... ეს უკვე განგაშის საფუძველი იყო. წიგნები ვიყიდე, ჩანთაში ჩავიწყე და ჩემი ძმობილებისკენ გავეშურე. საბოლოოდ შევჩივლე მთას. ერთი გვარიანად ამოიოხრა და თითქოს მომიგო, „შენი ბრალიაო“. აღარაფერი მინდოდა... ჩემს ხეს მივეყრდენი. ტოტების ქვემოდან ცა სულ სხვანაირად ჩანდა. – იყვირეო – რაღაც ხმამ ჩამომძახა. ეს მთის ხმა იყო. ვიყვირე: – მინდა ჩაგეხუტოთ, ვარსკვლავებიანო ზეცავ, მზით განათებულო ცაო! წიგნები ხის ძირას დავაწყე, ძლიერ მოვხვიე მკლავები ხეს ბოლოჯერ და ჩემი ერთი წვეთიც სამახსოვროდ დავუტოვე მინდორს... კიდევ ერთხელ ამოვიღრიალე საშინლად. უკანმოუხედავად გამოვბრუნდი, ერთ ცრემლს აღელვებული მდინარე მოჰყვა...

ყოველ გაზაფხულს, როცა ყვავილობენ ხეები, ჩემი ხე ნაღვლიანად დგას!.. აღარ იშლის... მთა აღარ არის ისეთი ძლიერი, როგორიც მაშინ. თავგადასავლები აღარ არის... აღარ არის სიხარული... ვარსკვლავებით განათებული ცა... მორჩა... ეხლა ფანჯრიდან ვხედავ... აქედან ვეფერები. მინდა ისევ ჩავიხუტო, ისევ ვუთხრა და გავანდო. მინდა კვლავ გადაგვხვდეს თავგადასავლები. ერთად გავიაროთ ეს მტკიცე და ურყევი გზა. მენატრებით.... თქვენთან ჩახუტება და ხმამაღლა სიცილი მინდა.

**ლიკა მიხელიძე**

## მერცხლებს ველოდები

მიყვარს გაზაფხული, მისი სილამაზე.. ბუნება იღვიძებს და სიცოცხლის ხალისს იბრუნებს. გამჭირვალე, კამკამა ციდან ყვითელი მზე იცქირება, დედამიწა მზის თბილ სხივებში ეხვევა.. ჰაერიც კი განსხვავებულია – უფრო სუფთა და სურნელოვანი.

ხეები ნელ-ნელა ფოთლებითა და ფერადი ყვავილებით იმოსებიან. სულ რამდენიმე კვირაში კი, დედამიწა ფერადი, ხალისიანი და სიცოცხლით სავსეა.

მიყვარს მერცხლები, რომელთაც გაზაფხულის შემობრძანება განსაკუთრებულად უხარიათ. ეს დრო მათ გარეშე წარმოუდგენელიც კი არის. არე-მარეს იკლებენ ჭიკჭიკით, რათა გვამცნონ ამ შესანიშნავი დროის დადგომა. არაფერია იმაზე სასიამოვნო, როცა მერცხლები შენს სახლში, ფანჯარასთან იდებენ ბუდეს.

სწორედ ამიტომაც მიყვარს წელიწადის ეს დრო! ის სიკეთით, სიყვარულით, ხალისითა და სიცოცხლით სავსეა.

**ანა ხაჩიშვილი**

## გრძნობების მდინარე

სამყარო შავმა ნისლმა დაფარა, სადღაც გამქრალიყო ფერები. ადამიანები გაოცებით აკვირდებოდნენ გარემოს და ვერ გაეგოთ რა დაემართა იმ სიფერადეს , ცოტა ხნის წინ, რომ არსებობდა. იქვე მდინარესთან მხატვარი იჯდა, ვერ ხატავდა ან რა უნდა დაეხატა, როცა ირგვლივ ყველაფერი შავ-თეთრი იყო, მას კი მხოლოდ ბედნიერების ასახვა სურდა. მხატვარი შესცქეროდა მდინარეს, რომელსაც სამყაროდან ადამიანების გრძნობები მოეპარა და სადღაც მიჰქონდა. გრძნობების დაჭერას არავინ ცდილობდა, ფიქრობდნენ, რომ იქიდან ვეღარ ამოვიდოდნენ. ალბათ მდინარე ღრმა იყო და ბევრ ძვირფას რამეს იტევდა. შეიძლება ვიღაცას სულაც იქ დარჩენა ერჩია, ამ უფერულ ადგილას ცხოვრებას.... მაგრამ მაინც ყველას შიში უკრავდა ხელ-ფეხს.

სკოლა, ადგილი სადაც ყველაზე მხიარული არსებები – ბავშვები სწავლობდნენ, სიავით აღვსილიყო; ბავშვები ერთმანეთს კლავდნენ, სტკენდნენ, სულს ჰპარავდნენ და თითქოს ამით ივსებდნენ გრძნობების არქონით გამოწვეულ სიცარიელეს. სამყარო ადამიანების სიცივეს გაეყინა, მზის ძლევამოსილი სხივები შემოჭრას ცდილობდა და დაგროვილი სითბოსგან ცოტახანში ფერფლად იქცეოდა, მაგრამ ვის ანაღვლებდა? ადამიანები ერთმანეთის განადგურებით დაკავებულიყვნენ. მხოლოდ მხატვარმა იცოდა სად იყო ცისარტყელას ბოლო, როგორც ბედნიერების სიმბოლო, მაგრამ უძლური იყო – „ფერების“ და სუფთა ფურცლების გარეშე საიდანაც ახალი ცხოვრების დაწყება შეიძლებოდა. ბოლოს ისიც გრძნობებით სავსე მდინარეში გადაეშვა, რათა ეპოვა ის, რაც ყველაზე ძვირფასად მიაჩნდა. მხატვარი აღარასდროს დაბრუნებულა...

**ლულუ ტაბატაძე**

## რა არის მეგობრობა?

ალბათ ბევრისაგან გაიგონებთ: აი ის ჩემი მეგობარია, ან, ბევრი მეგობარი მყავსო!

მეგობარი? კი მაგრამ, ვინ არის მეგობარი?.. და საერთოდ, რას ნიშნავს მეგობრობა?

ურთიერთობის როგორი სახეა? ალბათ ამაზე, დღეს, პასუხი ძნელია. ყველას თავისებური ხედვა აქვს. რამდენიმე ადამიანს ვთხოვე ეთქვა ჩემთვის თუ რა არის საერთოდ მეგობრობა.

– მეგობრობა ეს არის:

გაგება, ერთმანეთის დაფასება, სიყვარული, მხარდაჭერა, თანადგომა... საერთო ინტერესები არ არის აპრიორი ,მთავარია საერთო ფუნდამენტალური ღირებულებები, უფრო მთავარი კი – მეგობრობის ფასის გააზრება და მისი მოფრთხილება.

– მეგობრობა ეს არის:

ქცევა, რომელიც ვლინდება ურთიერთგაგებითა და მხარდაჭერით პიროვნებებს შორის. ის მოიცავს ურთიერთობას ადამიანთა შორის, რომელთაც გააჩნიათ საერთო ცოდნა, ინტერესები, გატაცება.

– მეგობრობა ურთულესი რამაა ასახსნელად. ის არც სკოლის საგანია და კერძოთაც ვერავისთან ისწავლი. არადა – მეგობრობის აზრი თუ არ იცი, ჩათვალე, რომ ვერაფერი გისწავლია.

ჩემი აზრით მეგობრობა ეს არის – ურთიერთობა, დამოკიდებულება, რომლის დროსაც ადამიანები ერთმანეთს ყურადღებას აქცევენ, უგებენ ერთმანეთს, გაჭირვებაში გვერდში უდგანან.

არ შემიძლია მეგობარი ვუწოდო ადამიანს, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ერთხელ არ მოგიკითხავს, ერთხელ არ გკითხავს, რა გიჭირს ან რა გილხინს, რამე პრობლემა ხომ არ გაქვს, მეტიც, შენზე რაღაც-რაღაცეებს ლაპარაკობს, როცა შენ ხშირად მისწერ და მოიკითხავ, იგი ამას თავის მობეზრებას ეძახის.

მეგობარი არაა ადამიანი, რომელიც ძალიან, ძალიან ცუდ რამეს გაგიკეთებს და შემდეგ გეტყვის, რომ რაღაც ცუდად გამოუვიდა.

**მარიამ დათუკიშვილი**

## ალბატროსი

მზერა გულჩამწველი, სულს რომ გაგინათებს,
გულს რომ უწინდელად ისევ გაგილაღებს,
ჰაერში რომ გზავნის გრძნობებს უთვალავებს,
ჩემო ალბატროსო, აბა რა გადარდებს?
აგერ, თებერვალი, თბილი მზის ციალი...
ნაზად რომ ასხივებს სითბოს და სინათლეს,
ჩემი ალბატროსი მიფერადებს დილას,
მხოლოდ მისი ხილვა მილამაზებს ამ დღეს.
ჩემო ალბატროსო, აბა რა გადარდებს?
მე ხომ შენს თავს ვფიცავ, სხვა რომ არ მინათებს,
ფრთებსაც არავინ შლის, სულშიც არავინ ფრენს,
სხვა ვერავინ ბედავს ციურ აღმაფრენებს.
მოდი ცის კიდეზე ფრენით გადავევლოთ,
მივწვდეთ თებერვლის მზეს, ზეცას თვალებისფერს,
ჩემო ალბატროსო, მინდა დამიჯერო,
სადაც შენ არა ხარ, აღარც სიცოცხლე ჩქეფს!..

**მარიამ კილასონია**

## თოვლო მთისაო

მზე მოეფარა სამხრეთის ქედებს,
მთებზე დაცურავს თეთრი ღრუბელი,
თოვლო მთისაო, მაცდურო, გენდე,
შენ დამიტანჯე თვალები ჩემი.
არ დამაცადე ჩუმად მეცქირა,
დავმტკბარიყავი შენს სიმარტოვით,
შენს ყურებაში მზე დამეჩრდილა,
შენს ყურებაში ღამეს შემოვხვდი.
შენკენ მოსდევენ მინდორს გათელილს,
ცხვრის ფარები და ტურის ხროვანი,
ვით შენს ზემოდან თოვლო მთისაო,
ღრუბელ-ნისლებთა თეთრი ბორანი.
არ გაგაყოლებს, ტყუილად უცქერ,
შენ ცაში ფრენა არ მოგიხდება,
თოვლო მთისაო, გთხოვ არ წახვიდე,
შენ ხომ უჩემოდ გაგიჭირდება.

**გიორგი ზუბიტაშვილი**

## ნაწვიმარზე

მივყვები სევდიან და
ნატირალ ქუჩებს,
მესმის მხოლოდ და მხოლოდ სიჩუმე...
მინდა ვიგრძნო ,
მინდა შევეხო
მაგ შენს ცრემლებით დანამულ ტუჩებს...
იმ ტუჩებს, რომლებიც
სველდება სევდით...
გრძნობებს,
რომლებიც სავსეა ელდით...
უტყვად დაფარულ ნაწვიმარ თვალებს ,
ბინდად აკვრია უსხივო ღამე
რა შეუძლია აგვხსნას მთვარემ
ყველა ვერ ამჩნევს სევდიან თვალებს!

**ქრისტინე მუხულიშვილი**

* * *

ძალიან ცუდად ვარ, ძალიან დაღლილი,
მაწვება სხეულში დაღლა და ვაება,
თითქოს და ხიდიდან მიწაზე დავეშვი
და მერე ფიქრები ღამესთან გაება.
სისხლიან ხელებზე, მაჯებზე დავიწყობ
ფურცლებით აკინძულ დღეების სიმოკლეს
მინდა, რომ აქ იყო, მინდა და არ მახსოვს
საიდან იწყეება დღეების სიმრავლე.
არ მახსოვს სონატაც, მთვარის თუ ვენერის,
რატომღაც სიტყვებიც სათქმელმა არია
კლავიშებს თითებით ნელ – ნელა ვეხები
დო, რე, მი არა და გრძნობები აკლია.
და შემდეგ ავრიე ნერვების თარეში,
რადგანაც მაჯებზე ტკივილი მატყვია
და მერე უეცრად ხიდიდან დავეშვი,
და ვიხსნი გულიდან სულ ყველა ნატყვიარს.

**ხატია ველიჯანაშვილი**

# ტექდათვალიერება – სანერვიულო და საფიქრალი



*ავტომობილების ტექდათვალიერების შემოღება რომ აუცილებელი იყო ადამიანების ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის მიზნით, სადავო არაა. მაგრამ ტექდათვალიერებისათვის ხანდაზმული ავტომობილის მომზადება, რომ ოჯახების ბიუჯეტს მეტად დააზარალებს ესეც უდავო ფაქტია.*

*საქართველოში არსებული ავტომობილების 70% – ზე მეტი ხანდაზმულია, რაც მფლობელებისთვის თავისთავად წარმოადგენს ნერვიულობის საგანს, რადგანაც მათთვის ავტომობილი არა ფუფუნების საგანი, არამედ გადაადგილების საშუალებაა, რისი დახმარებითაც ოჯახს არჩენენ.*

*ახლახანს, ყვარელშიც ამოქმედდა ტექინსპექტირების ცენტრი და ჩვენს მოქალაქეებს მეზობელ მუნიციპალიტეტებში აღარ მოუწევთ რიგებში ჩადგომა და ზედმეტი ხარჯების გაღება.*



*ამ საკითხთან დაკავშირებით, ავტომფლობელთა გაზრდილი ინტერესის გამო, მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ„გრინვეი საქართველოს“ დირექტორს ვახტანგ ებიტაშვილს.*

**– როდის დაიწყო ტესტირების ცენტრმა ფუნქციონირება?**

– „გრინვეი საქართველომ“ ოპერირება მიმდინარე წლის ინვრიდან დაიწყო. კომპანია მთელი საქართველოს მაშტაბით 26 სადგურით მოემსახურება მოსახლეობას, აქედან 10 სერვის ცენტრი თბილისშია განთავსებული, 16 კი რეგიონებში. გარდა ამისა, კომპანიას აქვს სამი მობილური ხაზი, ისეთი რეგიონებისთვის, მათ შორის მაღალმთიანი, სადაც არც ერთი ტექინსპექტირების ცენტრი არ არის და მოთხოვნის შემთხვევაში ჩვენ მივალთ მოსახლეობასთან, რათა დიდი მანძილის გავლა არ დასჭირდეს მომხმარებელს.

ჩვენი პარტნიორია ავტომობილების ტექინსპექტირების სფეროში მსოფლიოს წამყვანი კომპანია პპლუს+, რომელიც 70 ქვეყანაში ოპერირებს. ამისათვის ჩვენ შევქმენით სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ახლოს მივიდეთ მოსახლეობასთან, თავიდან ავაცილოთ დიდ მანძილებზე სიარული და ტექინსპექტირების გავლა ვაქციოთ მარტივ და სწრაფ პროცესად.

**– ტესტირებაზე ავტომობილის გამართულობის რა სახეებს ექცევა ყურადღება და რა საბუთები უნდა წარმოადგინოს მფლობელმა?**

– ავტომობილის ტექინსპექტირების ჩასატარებლად საჭიროა სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის (ტექპასპორტის) წარდგენა და მძღოლის, ვინც მიიყვანს ავტომობილს ტექინსპექტირებაზე, მისი პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

**ავტომობილი ტექინსპექტირების პროცესში შემდეგ პარამეტრებზე მოწმდება:**

1. სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია;
2. სამუხრუჭე აღჭურვილობა;
3. საჭით მართვის სისტემა ;
4. ხილვადობა ;
5. ფარები, შუქამრეკლები და ელექტრომოწყობილობა;
6. ღერძები, თვლები, საბურავები და დაკიდება;
7. შასი და მისი შემადგენლები;
8. სხვა მოწყობილობები;
9. უარყოფითი ზემოქმედება (მათ შორის გამონაბოლქვი);
10. დამატებითი ინსპექტირება მგზავრთა გადამყვან 2, 3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისათვის.



**– ტექდათვალიერება რამდენმა ავტომობილმა გაიარა, მათგან პირველადი ტესტირება რამდენმა ვერ გადალახა?**

– მკითხველისთვის განვმარტოთ, რომ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია ავტოსატრანსპორტო საშულებების კატეგორიები, პერიოდულობა და შესაბამისად საფასური, ესაა მარტივად რომ ვთქვათ, მსუბუქი კატეგორიის ავტომობილებისთვის 60 ლარი, სხვა დანარჩენი სატრასპორტო საშუალებებისთვის 100 ლარი. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პირველადი ტექინსპექტირების დროს ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში მძღოლებს ეძლევათ 30 დღე ხარვეზის გამოსასწორებლად, გადაადგილების უფლებით, გარდა იმ ძალიან იშვითი შემთხვევებისა, როდესაც სამუხრუჭო, ანდა საჭის მართვის სისტემებში თუ გამოვლინდა ისეთი სერიოზული დეფექტი, რომელმაც საავტომობილო მიმოსვლისას შეიძლება აშკარა საფრთხე შეექმნას მძღოლისა და მგზავრის, აგრეთვე საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

გრინვეიში ტექინსპექტირება უკვე გაიარა 15 ათასამდე ავტომობილმა, აქედან ხარვეზი დაუდგინდა 50 პროცენტზე მეტ ავტომობილს.

**– ძირითადად რა იყო ავტომობილის დახარვეზების მიზეზი, ანუ რის გამო ვერ გადიან ტესტირებას?**

ჩვენი დაკვირვებით ყველაზე ხშირად ავტომობილებს პრობლემები აქვს შემდეგ პარამეტრებზე, მაგალითად გადამწვარია ნათურები, ან დაზიანებულია საქარე მინა, რაც მძღოლის ხილვადობას უქმნის პრობლემას, ასევე ხშირია მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე მაშუქის დახრის კუთხის საკითხი, რადგან როგორც წესი მარჯვენა საჭიანი ავტომობილების მარცხენა ფარი უფრო შორს ანათებს, ვიდრე მარჯვენა. ვინაიდან ჩვენთან მარცხენა მხარის მოძრაობაა, ამიტომ პირიქით უნდა იყოს, რომ საპირისპიროდ მოძრავი ავტომობილის მძღოლს ავტომობილის სინათლემ თვალი არ მოსჭრას და თავის ზოლში კი მეტად გაანათოს. რა თქმა უნდა გამონაბოლქვი არის გამოწვევა.

**– ავტომობილების კონკრეტული მარკების მიხედვით როგორია ტექდათვალიერებების შედეგები?**

თუ ავტომობილი გამართულია არ აქვს მნიშვნელობა მოდელს, ის წარმატებით გადის ტექინსპექტირებას, იმ შემთხვევაში თუ ავტომობილი არ არის გამართული, ასევე მარკას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და ის ხარვეზდება, ამით იმის თქმა მინდა, რომ ავტომობილის მოდელების მიხედვით რაიმე ტენდენცია არ იკვეთება. უფრო გამართულია შედარებით ახალი გამოშვებული ავტომობილები და ლოგიკურიც არის, რომ უფრო ხშირად უდგინდება ხარვეზი შედარებით ძველ ავტომობილებს, თუმცა გამონაკლისი ორივე მხარეს არის.




**– განმეორებით მოსული ავტომობილიდან რამდენმა ვერ გადალახა ტესტირება და რა მოელის შემდგომში ასეთ ავტომობილს?**

განმეორებითი ტექინსპექტირება ვერ გაიარა დაახლოებით 7პროცენტმა, რაც გრინვეიში დარეგისტრირებული ავტომობილების საერთო ოდენობის 2 პროცენტია. მოქმედი კანონმდებლობით, ეს ავტომობილები ვიდრე არ გამოასწორებენ ხარვეზს და წარმატებით არ გაივლიან ტექინსპექტირებას ექვემდებარებიან დაჯარიმებას, როგორც ჭკვიანი კამერების, ასევე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მხრიდან.

**– გაზზე მომუშავე ავტომობილების მიმართ რა მოთხოვნებია?**

– გაზზე მომუშავე ავტომობილები იყოფა ორ კატეგორიად, ერთი თხევადი აირზე მომუშავე ავტომობილები, რომლებსაც დამატებით დოკუმენტაციის წარმოდგენას არ საჭიროებენ, მხოლოდ ე.წ ტექ პასპორტში უნდა იყოს შესაბამისი ჩანაწერი, აირი. ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომობილებმა კი გარდა ტექპასპორტში ჩანაწერისა, უნდა წარმოადგინონ შესაბამის სფეროში აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული აირბალონისა და აირბალონიანი მოწყობილობის ინსპექტირების სერთიფიკატი და შესაბამისობის ფირნიში.

**– გაზზე მომუშავე ავტომობილები თუ მოწმდება გამონაბოლქვზე ანუ CO?**

– გაზზე მომუშავე ავტომობილებიც მოწმდება ყველა პარამეტრზე, მათ შორის გამონაბოლქვზე.

**– მოსახლეობაში გავრცელებული ინფორმაციით ტექდათვალიერებაზე გაუვლელ ავტომობილებს უფლება აქვთ 40 კოლომეტრის რადიუსში იმოძრაონ, რას გვეტყვით ამის თაობაზე?**

– არ შეესაბამება ეს ინფორმაცია სინამდვილეს, მოქმედ კანონმდებლობაში მსგავსი ჩანაწერი არ არის.

**– ტექდათვალიერებას კვალიფიციური კადრები სჭირდება, თქვენთან როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ?**

– ნამდვილად, ძალიან საპასუხისმგებლო პოზიციია, კომპანიის მიზანიც არის ჯგუფის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება და ასევე, სახელმწიფოს მოთხოვნაც იყო, რომ ტექნიკური პერსონალი ან შესაბამისი განათლების და კვალიფიკაციის, ან შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებულიყო, შესაბამისად დღეს გრინვეიში დასაქმებულია 200-მდე მაღალკვალიფიციური კადრი და დასაქმებულთა რაოდენობა წლის ბოლომდე კიდევ გაიზრდება.

**– ტექდათვალიერების გარეშე მოძრავი ავტომანქანის გამოვლინება როგორ ხდება და მისი მფლობელი რა თანხით ჯარიმდება?**

– ამ მიმართულებით საზედამხედველო ფუნქცია აქვს საპატრულო პოლიციას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა ჯარიმები იწერება როგორც ჭკვიანი კამერების, ისე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების მხრიდან. რაც შეეხება ჯარიმებს, მისი ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ფიზიკური პირებისთვის პირველადი ჯარიმის თანხა წარმოადგენს 50 ლარს, მეორედ იგივე დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა უკვე 200 ლარია. რაც შეეხებ,ა იურიდიულ პირებზე რეგისტრირებულ ავტომობილებს აქ პირველადი ჯარიმა 200 ლარია.




**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# მერძეული მეურნეობების განვითარებაზე თუ არ ვიზრუნეთ, ნატურალური რძე მოგონებად დარჩება

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, ასევე ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისთვის მეცხოველეობის მერძეულ მიმართულებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს დარგი თითქოს გამოცოცხლდა და რძის წარმოების მონაცემებიც მცირედით გაიზარდა, სიტუაცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ ჩატარებული ერთობლივი კვლევის თანახმად, საქართველოში წარმოებული რძე ადგილობრივ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს – ბაზარზე ნედლი რძის დეფიციტია, რაც მის სიძვირეს იწვევს. როგორც კვლევამ აჩვენა, რძის წარმოების სექტორში საქართველოში ძირითადად მცირე მეწარმეები საქმიანობენ, რომელთაც ფერმებში დაბალპროდუქტიული ძროხები ჰყავთ, მოძველებული დანადგარები და ჰიგიენის დაბალი სტანდარტები აქვთ. ამას თან ერთვის, მწირი საკვები ბაზა; სანაშენე და სასელექციო საქმიანობის არარსებობა; ხელოვნური განაყოფიერების გამოყენების დაბალი დონე; ბაზრის არასტაბილური და არაორგანიზებული მოთამაშეები; ვეტერინარიის დაბალი დონე და დაავადებების მაღალი მაჩვენებელი; სპეციალისტების დეფიციტი; მიწის არაეფექტური გამოყენება, კოოპერატივების განვითარების დაბალი დონე. ეს ის პრობლემებია, რომლებიც ამ დარგის განვითარებას აბრკოლებენ.





ყვარლის მაგალითზე თუ ვიტყვით, ფაქტიურად არ არსებობს ისეთი ფერმები, რომლებიც თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს, თუმცა რამდენიმე მათგანი ცდილობს საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში, ფეხი აუწყოს სიახლეებს და განავითაროს საკუთარი მეურნეობა.

ერთერთი მათგანია, ფერმერი მინდია ლეშკაშვილი, საკუთარ საქმეზე გულანთებული და შესაბამისი ინფორმაციით „შეიარაღებული". ცხადია, ეს ფაქტორები საკმარისი არ არის წარმატებისათვის, როცა არსებობს მთელი რიგი ობიექტური მიზეზები, რაც ქმნის ბევრ პრობლემას მის საქმიანობაში.

პროფესიით ვეტერინარი, ათეულ წელზე მეტია ფერმერული საქმიანობითაა დაკავებული. დასაწყისიდან, მას ადგილობრივი ჯიშის ძროხების ფერმა ჰქონდა, რომელიც ნაკლებად რენტაბელური იყო და რძის წარმოების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ, გადაწყვიტა ერთგვარი მოდერნიზაცია საკუთარი ფერმის, რაც უპირველეს ყოვლისა, მოიცავდა იმას, რომ შეეძინა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტექნიკა – დანადგარები და მაღალპროდუქტიული ჯიშის ძროხები, რომელიც გაზრდიდა რძის წარმოებას და შესაბამისად შემოსავალსაც.



მიუხედავად იმისა, რომ ეს არცთუ ისე ადვილი და რთულად გადასაჭრელ პრობლებთან იყო დაკავშირებული. დიდი სურვილის და მონდომების შემდეგ, რასაც დიდი რისკებიც თან ახლდა, იდეა განახორციელა და თითქმის ერთი წელია ფერმა არსებობს.

ამისათვის კი, მინდიამ 600000 ლარზე მეტი ინვესტიცია ჩადო. გაყიდა ადგილობრივი ჯიშის საქონელი, ისარგებლა შეღავათიანი აგროკრედიტით, ბალტიისპირეთიდან ჩამოიყვანა ჰოლშტეინის ჯიშის 33 სული ძროხა, შეიძინა თანამედროვე რძის საწველი აპარატურა, სარეცხი მოწყობილობები და სპეციალური მაცივარი, რაც თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით აუცილებელი პირობაა, ვინაიდან რძის მწარმოებელი ორიენტირებული უნდა იყოს ხარისხიანი რძის წარმოებაზე საერთაშორისო და კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად. სწორედ ამ საკითხზეა მინდიაც ორიენტირებული და კარგად აქვს შესწავლილი ეს თემა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იგი გამოცდილი ვეტერინარია, დაინტერესებულია გარკვეულწილად სანაშენე მეურნეობის ფუნქციაც შესძინოს ფერმას და ასე გაზარდოს მაღალპროდუქტიული მერძეული პირუტყვის რაოდენობა. ამის დასტურია ის, რომ ერთი წლის მანძილზე, საკუთარ ფერმაში საქონლის სულადობა 45 – მდე გაზარდა.

მისი მრავალჰექტარიანი მეურნეობა იმის საშუალებასაც იძლევა , რომ აქვე მოყავთ და ამზადებენ პირუტყვის საკვებს: სილოსს, თივას, ნამჯას, რაც გარკვეულწილად ზოგავს პირუტყვის გამოსაკვებად გაწეული ხარჯებს. მაგრამ არსებობს სპეციალური კომბინირებული საკვები და პრეპარატები, რომელსაც აუცილებლად ყიდვა სჭირდება და რაც ბუნებრივია, ფინანსებთან არის დაკავშირებული.

ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორია ფერმერისთვის და მისი საქმიანობისთვის, ამ სფეროში შესაბამისი ცოდნა და განათლება. როგორც მინდია ფიქრობს, სწორედ ესაა წარმატების მთავარი ფორმულა. ამიტომაც, მან წინასწარ შეისწავლა ამ ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოვლა, გაიარა სპეციალური ტრენინგები და მოიძია ყველა არსებული ინფორმაცია, ვინაიდან, ამ ჯიშის პირუტყვის სპეციფიურობიდან გამომდინარე, სხვაგვარად წარმატების მიღწევა შეუძლებელია. ასევე, ხაზს უსვამს, რომ დღეს აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების და მოწინავე მეთოდების შესწავლა – დანერგვა, როგორც სხვა ნებისმიერ სფეროში, ასევე ფერმერულ საქმიანობაში. ფერმერულ მეურნეობებში თანამედროვე განათლება შრომას ამარტივებს. მაგრამ აუცილებლობა მოითხოვს, ცოტა სახელმწიფოც დაიხარჯოს, შესაბამისი ღონისძიებები გატარდეს, გამოიყოს გარკვეული თანხა სუბსიდიების სახით და შესაძლოა გარკვეული პირობით ფერმებისთვის შესაბამისი ტექნიკაც დარიგდეს.



მინდიას ბევრი საინტერესო იდეა აქვს, მაგრამ მთავარი ფაქტორი, რაც ამ იდეების განხორციელებას აბრკოლებს, ისევ და ისევ ფინანსებს უკავშირდება. ამ საკითხთან დაკავშირებით ამბობს, რომ მას არასოდეს არ უსარგებლია სოფლის მეურნეობაში არსებული პროგრამებით, არ მიუღია არანაირი სუბსიდია და გრანტი. მაშინ როცა ძალიან ბევრი ისეთი ფერმერი და მეწარმე სარგებლობს ამ პროგრამებით, რომლებსაც რეალურად არ ჭირდებათ, ანუ არ ფუნქციონირებენ. ეს ბადებს ეჭვს იმისას, რომ სამართლიანად არ მუშაობს ეს სისტემა. ასევე, ხაზს უსვამს შეღავათიანი აგროკრედიტის სფეროში არსებულ ხარვეზებსაც და ფიქრობს, რომ კრედიტის გადასახდელად დაწესებული უნდა იყოს ხანგრძლივი პერიოდი, რადგან ფერმის სრულყოფილად გამართვას და შესაბამისად, აქედან მოგების მიღებას გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომ, კრედიტი დიდი ტვირთია ფერმერისთვის.

ალსანიშნავია, ერთი საგულისხმო ფაქტი, რომელიც გასულ წელს, სოფლის მეურნეობის მინისტრის, ლევან დავითაშვილის ადგილობრივ ფერმერებთან შეხვედრას ეხება. როგორც მინდია ამბობს, მინისტრმა მათთან საუბარში განაცხადა, რომ დიდი მხარდაჭერა ექნებოდათ და ყურადღება მიექცეოდა რძის მწარმოებელ ფერმერებს საქართველოში. ხელშეწყობა იქნებოდა იმ მხრივ, რომ გრანტებისა და სუბსიდიების სახით ფერმერებს მისცემდა საშუალებას შეეძინათ საქონელი და უახლესი ტექნიკა-დანადგარები. ჯერჯერობით ეს დანაპირები არ შესრულებულა, თუმცა იმედს არ კარგავს, რომ ეს მხოლოდ დაპირებად არ დარჩება, რის საშუალებითაც, მას შესაძლებლობა მიეცემა გააფართოვოს საკუთარი ფერმა, რაც ბუნებრივია ხალხის დასაქმებასაც უზრუნველყოფს.




ნიშანდობლივია ასევე, პრემიერ მინისტრის, მამუკა ბახტაძის ინიციატივა, ნატურალური რძისა და რძის პროდუქტების დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ. თუმცა, ამ დრომდე ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ეს ფაქტორი გადამწყვეტი იქნება რომ გაიზარდოს ნედლ რძეზე მოთხოვნილება და შესაბამისად ღირებულებაც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ფერმერთა დაინტერესებას გაზარდონ საკუთარი მეურნეობა, განვითარდნენ და აწარმოონ უფრო მეტი რძე, რაც თავისთავად, სამომხმარებლო ბაზარზე ჯანსაღი რძის პროდუქტების დამკვიდრების წინაპირობა იქნება.

**ია გიგიაშვილი**

# მეცნიერები და ექიმები გვაფრთხილებენ, გვირჩევენ, გვთავაზობენ!

## როგორ უნდა იცხოვროთ ისე, რომ სიმსივნით არ დაავადდეთ



ადამიანები, რომლებიც სიმსივნით იტანჯებიან და ებრძვიან ამ საშინელ დაავადებას, ალბათ ყველაფერს გაიღებენ, ეს ავადმყოფობა რომ დაამარცხონ.

„ყველა ზომა რეციდივის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც სიმსივნით დაავადებულნი იღებენ წარმატებული მკურნალობის შემდეგ, ასევე ეფექტურია ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც", – ასე ამბობს ექიმი დუაით მაქქეი, ონკოლოგიური დაავადებების კვლევისა და მკურნალობის და ჯანსაღი კვების სერტიფიცირებული სპეციალისტი.

მაქქეი გირჩევთ გაითვალისწინოთ მარტივი წესები. საჭიროა არა მხოლოდ წაიკითხოთ, არამედ საკუთარ თავს სიტყვა მისცეთ, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოიყენებთ. იქიდან გამომდინარე, რომ ექიმია და ყოველდღიურად უწევს თავის პაციენტებთან ერთად ამ პრობლემასთან გამკლავება, დუაით მაქქეი ამტკიცებს, რომ მისი რჩევები ნამდვილად ეფექტურად მოქმედებს არა მხოლოდ მის პაციენტებზე, არამედ მათზე ვინც ამას გაითვალისწინებს.

### 1. თავიდან აიცილეთ სტრესი

ქრონიკული სტრესი თრგუნავს იმუნური სისტემის მუშაობას და ხელს უწყობს ინფექციების განვითარებას, ეს კი – სიმსივნის კერის საფუძველია. უნდა იპოვოთ სტრესისგან თავის დაღწევის სასიამოვნო საშუალება, იქნება ეს იოგა, სუფთა ჰაერზე სეირნობა, მედიტაცია ან ისეთი აქტივობა რაც თქვენში დადებით ემოციებს იწვევს. საიდუმლო ზუსტად სიამოვნების მიღებაში მდგომარეობს: თუ არ გსიამოვნებთ ამის კეთება, მალევე თავს მიანებებთ.

### 2. მოერიდეთ ობს

„მიკოტოქსინები და აფლატოქსინები, რომელსაც ობი შეიცავს, მეცნიერულ სამყაროში ყველაზე ცნობილი კარცეროგენებია, „– ამბობს ექიმი მაქქეი. თუ სახლში მილს გასდის, ან მსგავსი პრობლემა გაქვთ აბაზანასა თუ სარდაფში, კედლები გისველდებათ და ობის სუნს გრძნობთ, არ დააყოვნოთ, გამოიძახეთ ექსპერტი, რომელიც თქვენს სახლს შეამოწმებს და დაადგენს რამდენად სახიფათოა თქვენი ჯანმრთელობისთვის.

### 3. ოფლი მოიდინეთ

ნებრასკას უნივერსიტეტის (აშშ) კვლევების თანახმად, სპორტულ დარბაზში სიარული ეხმარება სიმსივნის თავიდან აცილებასა და მის დამარცხებას. მეცნიერებმა შეისწავლეს 16 ონკოპაციენტი, რომლებმაც თავი დააღწიეს ამ დაავადებას, სამთვიანი ვარჯიშის კურსამდე და მის შემდეგ. მათ შეადარეს ჯანმრთელი იმუნური უჯრედების რაოდენობა, რომელსაც უნარი აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს სიმსივნეს, იმ უჯრედებს, რომელსაც არ გააჩნია მსგავსი მოქმედების საშუალება. აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელი უმრავლესობაში იყო ვარჯიშამდე, მაშინ როდესაც 3 თვის შემდეგ „ცუდი" უჯრედების რაოდენობა 15%-ით შემცირდა.

### 4. დახმარების ხელი გაუწოდეთ

არსებობს სამეცნიერო მტკიცებულება იმისა, რომ როდესაც უანგარო დახმარებას უწევთ სხვას (მაგალითად, მოხალისე ხართ), ამით თქვენი იმუნური სისტემის ფუნქციონირებას ამაღლებთ. „ჯანმრთელობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლოა მუდმივად იყოთ დაკავებულნი იმით, რაც სიამოვნებას განიჭებთ, ამბობს მაქქეი. – და ამ შემთხვევაში არაფერია იმაზე უფრო შესაფერისი, ვიდრე უანგაროდ დაეხმაროთ ადამიანებს".

### 5. მიიღეთ ვიტამინები

ალბათ დაიღალეთ ამის მოსმენით, მაგრამ ვიტამინი ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზმისთვის მთლიანობაში – და ამასთან, ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკისთვის. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი ადამიანი მას საკმარისი რაოდენობით არ იღებს. სიტუაციის გამოსწორება შეიძლება სუფთა ჰაერზე სეირნობით – საკმარისია 10 წუთი დღისით. თუმცა, რაც უფრო ახლოვდება ზამთარი, მზე უფრო სუსტდება, ამიტომ ვიტამინით მდიდარი საკვების მიღება მოგიწევთ, მაგალითად, ცხიმიანი თევზის.

## ძილის წინ აუცილებლად შეასრულეთ ეს მეთოდი და წამში ჩაგეძინებათ

ადამიანთა განსაზღვრული და სამწუხაროდ დიდი ნაწილი ვერ ახერხებს სწრაფად ჩაძინებას და ღამის ბორგვები ზოგჯერ გათენებამდე მიყვებათ. თუ მსგავსი შემთხვევა ერთი პიროვნების შემთხვევაში ხშირია და შეიძლება ითქვას რომ ქრონიკულიც კი, მაშინ დაღლილობაც არ დააყოვნებს და დღის გარკვეულ მანძილზე თავს დაღლილად აუცილებლად იგრძნობთ, მიუხედავად იმისა, რომ დატვირთული სულაც არ არის თქვენი გრაფიკი.

მინდა გითხრათ, რომ ეს სერიოზული პრობლემაა! მსგავსი შემთხვევისგან რომ გათავისუფლდეთ, შემოგთავაზებთ მარტივ იოგას, რომელიც დაგეხმარებათ დაწოლისთანავე ჩაძინებაში.





სამეცნიერო კვლევები იოგის ეფექტურ გავლენას ჩვენს ჯანმრთელობაზე, ადასტურებენ. თუ მიიჩნევთ, რომ არ ხართ მოქნილი და იოგა თქვენი სტილი არ არის, გეტყვით, რომ ცდებით, რადგან სტატიაში მოცემული, იოგის მარტივი ელემენტები ნამდვილად შეცვლის თქვენს ცხოვრებას.

შენიშვნა: პირველ ცდაზე, მსგავსი იოგით მხოლოდ ერთი წუთით დაკავდით, მომდევნო ცდა კი გაზარდეთ ხუთ წუთამდე.

1. ბალასანა – ბავშვის პოზა.

თუ მუხლების პრობლემა გაქვთ, ეს იოგა არ იქნება კარგი იდეა, ხოლო თუ ისინი მწყობრში გაქვთ, მაშინ კარგია, რადგან ის ეხმარება ნერვულს სისტემა, მხრებს, ზურგსა და მუცელს მოდუნებაში.

აუცილებლად შეახეთ დუნდულები ქუსლებს, თუ ვერ ახერხებთ, ჩაჯექით თავიდან და მიიღეთ შესაბამისი პოზა, ხელები წინ გაშალეთ და მოათავსეთ ისინი იატაკზე. (ისე, როგორც ფოტოზეა მოცემული) მთლიანად მოდუნდით და პოზის დროს ღრმად ისუნთქეთ. მანამდე კი მაღვიძარა დააყენეთ და ერთ წუთში შეწყვიტეთ იოგა. (როგორც აღვნიშნე, პირველ ჯერზე ერთ წუთში, მომდევნო მცდელობები კი ხუთ წუთამდე გაზარდეთ)

2. Back roll – უკან დაბრუნება.

დაწექით ზურგზე, მოხარეთ მუხლები და ხელებით დაიჭირეთ. (ისე, როგორც ფოტოზეა მოცემული) ძალიან ნელა იმოძრავეთ მარჯვნივ, ხან მარცხნივ და აუცილებლად ისუნთქეთ ღრმად.

3. ატსყასანა.

ზურგზე დაწექით და ხელები დაილაგეთ დუნდულების ქვეშ. (ისე, როგორც ფოტოზეა მოცემული) ამ იოგის ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ აზიდოთ წელი და მაქსიმალურად გააფართოვოთ გულმკერდი. 5-10 – ჯერ ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ, შემდეგ ნაზად გამოიღეთ ხელები „დუნდულების ქვეშიდან" და დატკბით თავისუფალი შეგრძნებებით.

intermedia.ge



## ოხრახუში – ჯანმრთელობის ელექსირი

ოხრახუში, თავისი უნიკალური თვისებების გამო, ოდითგანვე გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც სამკურნალო მცენარე. თუ გინდათ, რომ ორგანიზმი გაიჯანსაღოთ ბუნებრივი საშუალებებით, აიმაღლოთ იმუნიტეტი, შეებრძოლოთ ართრიტს, მაღალ არტერიულ წნევასა და სხვა მრავალ დაავადებას, ეს მცენარე უნიკალური საშუალებაა.

ოხრახუშში შერწყმულია ვიტამინები და მიკროელემენტები, გამოირჩევა შემადგენელი კომპონენტების ბიოლოგიური აქტივობით. ხელმისაწვდომია წელიწადის ნებისმიერ დროს, ინახება დიდხანს და არ კარგავს თავის უნიკალურ თვისებებს, გამოიყენება ფართოდ – ეს ყოველივე მას საოჯახო აფთიაქის შეუცვლელ შემადგენელ ნაწილად აქცევს.

ოხრახუში (Petroselinum) – ქოლგოსანთა ოჯახის მცენარის გვარი, ერთი ან ორწლოვანი ბალახია. მისი სამშობლოა ხმელთაშუაზღვისპირეთი. გავრცელებულია თითქმის ყველგან.

**ოხრახუშის შემადგენლობა:**

ოხრახუშის შემცველობაში ყველაზე მეტია ასკორბინის მჟავა – C ვიტამინი. ის აძლიერებს გულსისხლძარღვებს, ნერვულ სისტემას, ენდოკრინილოგიურ ჯირკვლებს.

ფოლიუმის მჟავა – ვიტამინი B9, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სისხლწარმოქმნის პროცესში; აწესრიგებს ღვიძლისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების მუშაობას; ადამიანის ნერვულ სისტემაში ქმნის აღგზნებისა და დამუხრუჭების პროცესების ბალანსს.

ნიკოტინის მჟავა – ვიტამინი – პასუხისმგებელია ჟანგვა–აღდგენით პროცესებზე, კუჭის წვენის პროდუცირებაზე.

ტოკოფეროლი – ვიტამინი – არის მთავარი ანტიოქსიდანტი. გამოიყენება სიბერის პროფილაქტიკის, კაპილარების აღდგენისთვის.

ვიტამინი K – კოორდინირებს კალციუმის ცვლას, აწესრიგებს სისხლის შედედებას.

ვიტამინი B2 – რიბოფლავინი – პასუხისმგებელია ეპიდერმისისა და მხედველობის მდგომარეობაზე, ეხმარება ნერვული სისტემის ოპტიმალური ვარიანტის შენარჩუნებას.

ოხრახუშის ფესვებიცა და ფოთლებიც შეიცავს: ქლოროფილს, ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, უჯრედისს, შაქარს (გლუკოზა, საქაროზა, ფრუქტოზა), თუთიას, რკინას, კალციუმს, მაგნიუმს, ფოსფორს, კალიუმს, ნატრიუმს, ფოსფორს, მანგანუმს, სელენსა და სხვა.

ოხრახუშის ფოთლები სასარგებლოა:

იმუნიტეტის ასამაღლებლად;

ართრიტის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის;

ნივთიერებათა ცვლის პროცესის გაუმჯობესებისთვის;

სისხლძარღვების კედლების გამტკიცებისთვის;

ანტიოქსიდანტების გამომუშავებისთვის;

ჰემოლოგიური (სისხლის) დაავადებების პროფილაქტიკისთვის;

არტერიული წნევის შემცირებისთვის;

რესპირატორული და ალერგიული რინიტების პროფილაქტიკისთვის;

მომატებული მჟავიანობის რეგულირებისთვის;

შარდსასქესო სისტემის ანთებითი დაავადებების მკურნალობისთვის;

ორგანიზმის დეტოქსიკაციისთვის;

პირის ღრუს სანაციისთვის;

პიელონეფრიტის მკურნალობისთვის;

სისხლში შაქრის დონის შემცირებისთვის (შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებებისთვის);

ორგანიზმიდან მარილებისა და ტოქსინების გამოდევნისთვის (არის შარდმდენი საშუალება);

მხედველობის გაუმჯობესებისთვის;

ქსოვილების რეგენერაციისთვის.

ოხრახუშის ფესვები სასარგებლოა:

იმუნიტეტის ამაღლებისთვის;

ღვიძლისა და ნაღვლმდენი გზების მუშაობის კორექციისთვის;

პირის ღრუს დეზინფექციისთვის;

ორგანიზმიდან შლაკების, ტოქსინებისა და ზედმეტი სითხის გამოდევნისთვის;

შებერილობის პროფილაქტიკისთვის;

შარდ-სასქესო ტრაქტის მუშაობის ნორმალიზებისთვის;

**შაქრიანი დიაბეტის დროს გლუკოზის დონის შემცირებისთვის**

საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობის ნორმალიზებისთვის;

რევმატიზმისა და ართრიტის მკურნალობისთვის;

გაცხიმოვნების კომპლექსური მკურნალობისას;

პიგმენტაციის ალაგმვის, თვალის უპეებში შესიებისა და ჩაშავების მოსაშორებლად.

ოხრახუში ქალებს უწესრიგებს მენსტრუალურ ციკლს, უუმჯობესებს მდგომარეობას კლიმაქსის პათოლოგიური მიმდინარეობისას, ახშობს ტკივილს მენსტრუაციის დროს; ხელს უწყობს ქალის სილამაზის შენარჩუნებას, რადგან ძალიან კარგად მოქმედებს კანზე; კარგია მეძუძური დედებისთვის, თუმცა, დიდი რაოდენობით არ შეიძლება.

მამაკაცებს უმაღლებს პოტენციას, უუმჯობესებს წინამდებარე ჯირკვლის ფუნქციას, ასევე შარდსასქესო სისტემის ჯანმრთელობას, გამოჰყავს ტოქსინები ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დროს.

ოხრახუშს იყენებენ კოსმეტოლოგიაშიც. სახლის პირობებში შეგიძლიათ დაამზადოთ მკვებავი ნიღაბი მშრალი სახის კანისა და ყელისთვის: ოხრახუშის დაქუცმაცებული ფოთლები შეურიეთ ცხიმიან არაჟანში ან იოგურტში. წაისვით სახესა და ყელზე და 15 წუთში ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

**ოხრახუშის ნახარშის მომზადება:**

ორ სუფრის კოვზ ოხრახუშის დაქუცმაცებულ ფოთლებსა და ფესვებს (შეიძლება მხოლოდ ფესვებიც) დაასხით ნახევარი ლიტრი ადუღებული წყალი. მიიღეთ დღეში ოთხჯერ 1-2 სუფრის კოვზი ჭამამდე 15 წუთით ადრე.

ოხრახუშის გამოყენებისას, მისი მაღალი ბიოლოგიური აქტივობის გათვალისწინებით, სიფრთხილე გმართებთ. უნდა გაითვალისწინოთ ამ მცენარის პირადი აუტანლობა, ეპილეფსია ანამნეზში, ასევე მწვავედ მიმდინარე ცისტიტი და ნეფრიტი. დიდი რაოდენობით ოხრახუშის მიღება შეიძლება ნეგატიურად აისახოს კალციუმის ცვლაზე ორგანიზმში.

ოხრახუშმა შეიძლება ზიანი მოგვაყენოს, თუ ის არასათანადო პირობებშია მოყვანილი და მისი მიღებისას დოზებს გადავაჭარბებთ.

სამკურნალო მიზნებისთვის უნდა გამოვიყენოთ ეკოლოგიური სტანდარტების შესაბამისად მოყვანილი მცენარე. გამოყენების წინ კარგად უნდა გავრეცხოთ;

დიდი რაოდენობით მიღება იწვევს პირღებინებას, თავბრუსხვევას, ჰალუცინაციებს.

ნეგატიურად მოქმედებს ოხრახუში მათზე, ვისაც თირკმელების ავადმყოფობა აწუხებს. ასევე შარდ–სასქესო ორგანოებში აქვს 5–6 მილიმეტრზე დიდი ზომის კენჭები.

ოხრახუში ასევე ეხმარება სისხლის შედედებას; მისი მიღება აუმჯობესებს ფარისებრი ჯირკვლის მოქმედებას.შეშუპების დროს, 1 ჭიქა ოხრახუშის დაჭრილ ფოთლებსა და ფესვებს დაასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი. დააყენეთ თავდახურულ ჭურჭელში მთელი ღამით, დილით კი გადაწურეთ და დაამატეთ 1 ლიმონის წვენი. დალიეთ 1 სადილის კოვზი, დღეში 5-6-ჯერ. ორი დღის შემდეგ შეისვენეთ და 3 დღის შემდეგ კვლავ გაიმეორეთ.

ჰემოგლობინის ასამაღლებლად საჭიროა ოხრახუშის ქორფა ფოთლებისა და ფესვების მიღება. ის მოქმედებს, როგორც უებარი საშუალება.

ოხრახუშის წვენს არაერთი დაავადების დროს იღებენ. მათ შორის: თირკმლის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის გასასუფთავებლად.

200 გრამ ოხრახუშს დაასხით 2 ბოთლი ბორჯომი და წამოადუღეთ. მიღებული ნახარში დალიეთ ათი დღის განმავლობაში, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

ოხრახუშს ჭამენ კენჭოვანი დაავადებების დროს, როგორც შარდმდენ საშუალებას. ასევე, ისეთი ინფექციური დაავადებებისას, როგორიცაა წითელა, ჩუტყვავილა და ქუნთრუშა.

თუ გსურთ, თირკმელები გაიწმინდოთ, 1-2 სადილის კოვზ დაჭრილ ოხრახუშს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ ცოტა ხნით. სვით მთელი დღის განმავლობაში, როცა მოგწყურდებათ.

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**



# 8 მარტი – ქალთა დღის დაარსების ნამდვილი ისტორია



უცნაურია საქართველოში დღესასწაულების აღნიშვნის ტენდენცია, უცნაური მხოლოდ იმიტომ, რომ ძირითადად ის მხოლოდ ქეიფის მიზეზია და სხვა სიმბოლურ დატვირთვას მას, რატომღაც არ ანიჭებენ ხოლმე, აი მაგალითად საქართველოში ისე მარტივად შეუძლიათ მიულოცონ 14 თებერვალს შეყვარებულს ე.წ. ვალენტინობა, რომ სულაც არ იკითხონ – რატომაა ე.წ. წმ.ვალენტინი (კათოლიკური ეკლესიიდან მოკვეთილი ნაბერალი?) ჰომოსექსუალიზმთან კავშირში... მთავარია დალევის მიზეზი „გაეძროს“.

მსგავსი სახის ლამაზად შეფუთული დღესასწაულები უამრავია და რათქმაუნდა მათგან უმეტესობას ლამაზი სიმბოლური დატვირთვა აქვს – თორემ მხოლოდ 1 ივნიის რომ არ უნდა მივულოცოთ ჩვენს შვილებს ბავშვთა დღე და ეს შეიძლება წელიწადის ყველა სხვა დღესაც გავაკეთოთ, – ეს ცხადია...

ისე როგორც მხოლოდ 3 მარტს თუ არ მივულოცავთ დედებს თავის სიმბოლურ დღეს და ისე, როგორც 15 აპრილს სიყვარულის დღეს, – ეს რათქმაუნდა წელიწადის ყველა დღეს შეგვიძლია გავაკეთოთ, მაგრამ სწორედ იმიტომ არსებობს დღესასწაულები, რომ მათ ლამაზი სიმბოლური, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს...

თუმცა ამ წერილის მიზეზი და მზიანი ისაა, რომ არსებული დღესასწაულების სინამდვილე დაგანახონ, მისი შექმნის ნამდვილი ისტორია და არა ყალბი... ამ შემთხვევაში 8 მარტზე ვისაუბროთ და ამ დღის დაარსების ისტორიაზე...

1910 წლის გაზაფხული კოპენჰაგენში. 8 მარტს ნავსადგურთან ოციოდე ქალს მოეყარა თავი. მეძავები იყვნენ, ყველაფერზე ეტყობოდათ და არც ცდილობდენ დამალვას:

– გუშინ ემა პოლიციელისაგან ისევ ნაცემი დაბრუნდა. საწყალი ბავშვი, როდემდე უნდა ვაძლიოთ უფასოდ ფარაონებს, ადამიანურად მაინც გვექცეოდნენ – ვერაფერი გამიგია, გუშინწინ ბურგომისტრმა მე ამომარჩია. ბოლოს მიმტკიცებდა, უშენოდ ცხოვრება აღარ შემიძლია, აწი სულ შენთან ვივლიო. მე







ვუთხარი, თუ ასე მოგწონვარ, კანონები შეცვალე, ნამეტანი გვავიწროებენ-მეთქი. მაგრამ არა, ასეა საჭიროო

ქალებს ფრაუ ბოდეკერი მიუახლოვდა, ხანში შესული გერმანელი ქვრივი, (დღევანდელი ტერმინოლოგიით – „მამაშა“) ნავსადგურთან რომ საროსკიპო ჰქონდა და მეძავთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა: – გამარჯობათ გოგოებო, ამ სიცხეში რას იკლავთ თავს. წამოდით, ცივ ლუდზე გპატიჟებთ! – კმაყოფილი გოგოები სწრაფად შელაგდნენ უახლოეს ლუდხანაში, სასმელი მალე მოეკიდათ და ფრაუ ბოდეკერის წინადადებით შეთანხმდენ, რომ ქალაქის ყველა მეძავს მერიასთან მოეყარა თავი. ორი საათის შემდეგ ქალაქის მთავარი მოედანი მეძავებით გაივსო. პოლიციამ ისინი მერიის შენობაში არ შეუშვა და სახელდახელოდ შედგენილი, რამდენიმე პუნქტად ჩამოყალიბებული მოთხოვნა შეუგზავნეს ქალაქის თავს.

გადიოდა დრო, პასუხი კი არ ჩანდა. მეძავებს მოთმინების ძაფი გაუწყდათ, ფრაუ ბოდეკერი გაჭირვებით აბობღდა ოთხთვალაზე და ბრბოს მიმართა: – დებო, შვილებო, ქალებო, ხომ ხედავთ, ყველას ფეხებზე ვკიდივართ. კარგად ვიცი მამრთა ბუნება. მოდით, გავშიშვლდეთ და მაშინ კი ნაღდად მოგვაქცევენ ყურადღებას!!! პირველმა თვითონ გაიძრო კაბა, პენუარი და ორივე საცვალი. რამდენიმე წამში უამრავი მეძავი შიშველი იდგა მერიის წინ. ბოდეკერმა განაგრძო:

– ჩვენ ვილაც სულელი ათეისტი ბუნტისთავები კი არა ვართ. ჩვენ გვწამს ღმერთის. მოდით, დავიჩოქოთ და ჩვენი პროფესიული ლოცვა აღვუვლინოთ ზეცას – ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო, წმინდაო მარიამ. შენ, რომელმაც ჩასახე ისე რომ არ შეგიცოდავს, გვასწავლე ჩვენ, უღირს მონათა შენთა, როგორ შევცოდოთ ისე, რომ არ ჩავსახოთ. რადგან შენია ძალი, დიდება და სუფევა უკუნისამდე. ამინ! დაჩოქილი, შიშველი, მთვრალი მეძავები ერთდროულად იმეორებდენ ამ სიტყვებს.

მერი თვალებდაჭყეტილი იყურებოდა ფანჯრიდან. ბოლოს გამოერკვა, მდივანს სასწრაფოდ უკარნახა ბრძანება, ხელი მოაწერა და პირველსავე ახლომყოფ ჩინოვნიკს ეცა: – წადით და ხმამაღლა წაუკითხეთ; უთხარით რომ ყველაფერზე თანახმა ვარ, გადასახადებსაც შევუმცირებ, აკრძალვებს მოვუხსნი, პოლიციელების თავნებობასაც ავლაგმავ, ოღონდ ახლავე ჩაიცვან და დაიშალონ; საშინელებაა, რას იტყვის ეპისკოპოსი, რას იტყვის მეფე?, – და თავზე ხელები წაივლო. მეძავებმა მხიარული სტვენით მოისმინეს მერის ბრძანება და გამარჯვების ყიჟინა დასცეს, დაშლით კი დაიშალნენ, მაგრამ ტანზე ჩაცმა არავის უფიქრია და შიშვლები მთელ კოპენჰაგენს მოედვნენ. მერი სულ გაგიჟდა, ბრძანა, დაეპატიმრებინათ ყველა შიშველი ქალი. ასეულობით მეძავმა ღამე საპატიმროში გაატარა.

კოპენჰაგენში მყოფი როზა ლუქსემბურგი სასტიკად აღაშფოთა მეძავთა შევიწროებამ და მერს ახალი, ამჯერად ჩაცმული დემონსტრაცია მოუწყო. დაპატიმრებულნი მაშინვე გაანთავისუფლეს.

სულ მალე, კოპენჰაგენის სოციალისტ ქალთა კონფერენციაზე კლარა ცეტკინისწინადადებით 8 მარტი ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღედ გამოაცხადეს.

ებრაელი კლარა ეისნერი დაიბადა გერმანიის სოფელ ვიდერაუში 1857 წლის 5 ივლისს. მოსკოვში იგი დაუახლოვდა ოსიფ ცეტკინს, რომელთანაც უწესო კავშირიდან ეყოლა ორი ვაჟი. 1899 წლიდან კლარა ცეტკინის თანამეწყვილეა მასზე 18 წლით უმცროსი ფრიდრიხ ზუნდელი (და ა.შ.). 1933 წლის 20 ივნისს მოსკოვში გარდაცვლილი კლარა ცეტკინის ფერფლი ურნით შედგმულია კრემლის კედელში.

მასონ კლარა ცეტკინის, როზა ლუქსემბურგის და მათნაირების ქალთა საერთაშორისო სოლიდარობისათვის ზრუნვის მიზანი იყო ქალთა მასობრივი ჩაბმა სახელმწიფო გადატრიალებების, რევოლუციების ტალღაში. „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მასონი მესვეურები გეგმაზომიერად ახორციელებდენ მონარქიების მოსპობას, განსაკუთრებით მართლმადიდებელი სახელმწიფოებისა (ძირითადი სამიზნე – რუსეთის მართლმადიდებლური მონარქია), რამეთუ მართლმადიდებლობა, მართლმადიდებელი ხელმწიფე ხელისშემშლელია ანტიქრისტეს მთელ მსოფლიოზე გაბატონებისა.

1913 წლის 23 თებერვალს პეტერბურგის ბოლშევიკებმა კალაშნიკოვის ბირჟის დარბაზში მოაწყვეს ქალთა მიტინგი დევიზით – მეცნიერული დილა ქალთა საკითხის გამო. 1914 წლის 23 თებერვლისათვის პეტერბურგელ მუშა ქალებს კრებისა და მიტინგის ნებართვა მისცეს, მაგრამ პოლიციამ წინა დღეს დააპატიმრა ყველა ორგანიზატორი და მომხსენებელი. მიუხედავად ამისა, კრება მაინც ჩატარდა. 1917 წლის 23 თებერვალს რევოლუციონერი ქალების დაჟინებით პეტერბურგში დაიწყო ქალთა დღისადმი მიძღვნილი მანიფესტაცია. იმპერიის უამრავი ქალი მონაწილეობდა გაფიცვებში. მძლავრი მანიფესტაცია მალე შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა და საბოლოოდ ისტორიაში შევიდა როგორც რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუცია 1917 წლის თებერვლისა. ოქტომბრის რევოლუციით „ხელისუფლებაში“ მოსულმა ბოლშევიკებმა მეფის ოჯახი გაანადგურეს და მასონი-რევოლუციონერი ალექსანდრა კოლონტაის გავლენით საბჭოთა რუსეთში ქალთა დღე ოფიციალური „დღესასწაული“ გახდა. 23 თებერვლის კვირა დღეს დაწყებული მანიფესტაციით დაამხეს რუსეთის მართლმადიდებლური მონარქია, რამაც ბიძგი მისცა ქალთა საერთაშორისო დღის მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრებას.

კალენდრის ახალ სტილზე გადასვლით 23 თებერვალი 8 მარტად გადაიქცა: საბჭოთა რუსეთში 1918 წლის 1 (14) თებერვლიდან, საქართველოში – 1918 წლის 1 (14) მაისიდან.

დასავლეთში ქალთა საერთაშორისო დღეს 1920-იანი წლების ბოლომდე მასშტაბურად აღნიშნავდნენ, თუმცა შემდეგ კომუნისტებთან ასოციაციის გამო მისმა პოპულარობამ იკლო. 1960-იან წლებში ფემინიზმის აღმავლობამ ხელი შეუწყო ქალთა დღის მზარდ პოპულარიზაციას.

კოსმოსური გაფრენის შემდეგ ვალენტინა ტერეშკოვა კრემლში მიიყვანეს. თავმდაბალ კოსმონავტს მღელვარებისგან ენა წაერთვა. მსოფლიოს ჩაგრული ხალხების ვითომ ერთადერთმა იმედმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გულში ჩაიკრა უშიშარი ქალი: – სამშობლოს ღირსეულო ასულო, შენ ასახელე ქვეყანა შენი. მითხარი რა გსურს და ვფიცავ დიდი ლენინის ხსოვნას, ერთი ნებისმიერი შენი სურვილი შესრულებული იქნება.! ვალენტინამ კრძალვით დახარა თავი: – ო, გენერალურო მდივანო, მზრუნველო მამავ. ჩემთვის არ ვითხოვ. რა იქნება, ქალთა საერთაშორისო დღე დასვენების დღედ გამოცხადდეს?. ბრეჟნევს გაეღიმა: – უბრალო თხოვნაა, დაე, ასე იყოს!

1965 წლის 8 მაისს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 8 მარტი უქმე დღედ გამოცხადდა: საბჭოთა ქალების კომუნისტურ მშენებლობაში, დიდ სამამულო ომში ქვეყნის დაცვის, ფრონტსა და ზურგში გმირობის, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში უდიდესი დამსახურებისათვის.

1975 წელი ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო წლად გამოცხადდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ოფიციალური სანქცია გასცა ქალთა დღის სპონსორობისათვის.

საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით შექმნილმა მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ დაიწყო ქართულ-მართლმადიდებელი სახელმწიფოს აღშენება. 22 ნოემბრიდან უზენაესი საბჭოს დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გაუქმდა მანამდე არსებული ყველა დღესასწაული, გარდა სამოქალაქო ახალი წლის უქმე დღისა, – აღდგა ეროვნული, საეკლესიო დღესასწაულები და მათთან დაკავშირებული უქმე დღეები.

„ახალი მსოფლიო წესრიგის“ მასონ მესვეურთაგან მართული კრიმინალური ხუნტის მიერ ეროვნული ხელისუფლების განდევნით 1992 წლიდან საქართველოში გაბატონდა უზნეო „ხელისუფლება“ და კვლავაც ოფიციალურად არსებობს მასონური „8 მარტის დღესასწაულის“ უქმე დღე.

2003 წლის თებერვალში პარლამენტის ტრიბუნიდან დეპუტატმა ნატო ჩხეიძემ 8 მარტის დღესასწაულის გაუქმება მოითხოვა – ხანმოკლე დებატები შეწყდა ნინო ბურჯანაძის, პარლამენტის თავმჯდომარის კატეგორიული თქმით: „ეს დღესასწაული გაეროს მიერაა აღიარებული და, გარდა ამისა, ის ქალთა უფლებების დაცვას უკავშირდება; ესეც რომ არ იყოს, ქვეყანაში არსებობს გაცილებით სერიოზული პრობლემები, ვიდრე 8 მარტის ბედ-იღბლის გადაწყვეტაა“

2005 წელს ბრიტანეთის პროფკავშირთა გაერთიანების კონგრესზე ერთხმად დაუჭირეს მხარი რეზოლუციას ქალთა საერთაშორისო დღის სახალხო დღესასწაულად გამოცხადების შესახებ.

ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რასაც მხარს უჭერს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობა და ორგანიზაცია. ქალთა უფლებების დაცვის მოძრაობები ყოველწლიურად 8 მარტს მრავალ ღონისძიებას ატარებენ. ქალთა გლობალისტური ასოციაცია ავრორას ვებ-გვერდზე შესაძლებელია ადგილობრივი ღონისძიებების დარეგისტრირება, რაც ქალთა უფლებების დაცვის სფეროში ლოკალური მოვლენების გლობალურ გაშუქებას უწყობს ხელს.

ესეც ასე, სინადვილე 8 მარტის დაარსების შესახებ... მოდით ყველამ ერთად მადლობა გადავუხადოთ იმ მეძავეებს ვინც საკუთარი შრომითი უფლებების დაცვით :) – იმდენს მიაღწიეს, რომ – 8 მარტი „ქალთა დღედ“ გადააქციეს....

intermedia.ge



# „როცა თეირანში სადილი იმართებოდა, მსოფლიოს ბედი სამი ქართველის ხელში იყო“...

## ჩერჩილის ქართველი მრჩეველი, რომელსაც ბერიამ ორჯერ მოუწყო თავდასხმა

*...1943 წლის ნოემბერში თეირანის კონფერენციაზე სამი მოკავშირე ქვეყნის: საბჭოთა კავშირის, აშშსა და გაერთიანებული სამეფოს მეთაურებს – სტალინს, რუზველტსა და ჩერჩილს – უნდა გადაეწყვიტათ მსოფლიოს მომავალი. ჩვენ არ შევუდგებით ისტორიისთვის თეირანის კონფერენციის მნიშვნელობაზე საუბარს – ამაზე არაერთხელ დაწერილა. დღეს ყურადღებას ერთ მნიშვნელოვან პიროვნებაზე შევაჩერებთ – საინტერესოა, რომ თუ კონფერენციაზე საბჭოთა მხარეს სტალინი, ბერია და მისი სამსახურის ქართველი თანამშრომლები წარმოადგენდნენ, დიდი ბრიტანეთის ერთერთი წარმომადგენელი ასევე ქართველი – მერაბ კვიტაშვილი (ნიკოლას კეი) იყო.*

*უცხოეთში წარმატებული კიდევ ერთი ქართველი ემიგრანტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისტორიკოსი რუსუდან დაუშვილი უამბობს AMBEBI.GEს მკითხველს:*

– კვიტაშვილები წარმოშობით რაჭიდან არიან. ეს გვარი ზემო კრიხის ეკლესიის ფრესკებზე გამოსახული კვიტაიდან წარმოშობილა. ამ გვარის წარმომადგენელი XV საუკუნეში 11 წელი ყოფილა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი. სიგელგუჯრებში კვიტაშვილები მოხსენიებულნი არიან, როგორც მრავალი საპატიო თანამდებობათა მფლობელები. „კრიხულასა და ხოტევის წყლის შესართავის ზეით, ხოტევის წყლის აღმოსავლეთის კიდეში, ნაღალსა გორასა კლდესა ზედა არს ციხე კვიტაშვილისა ფრიად მაგარი“ – წერდა ვახუშტი ბატონიშვილი.

ციხიან აზნაურებს კვიტაშვილებს, სოფელ ველევის გარდა ეკუთვნოდათ სოფლები: ბეთლევი, შხივანა, ზემო და ქვემო კრიხი, სხვავის ნაწილი და ა.შ. ველევს მოხერხებული მდებარეობა ჰქონდა ცხენოსნობისათვის და ხშირადაც იმართებოდა დოღი. კვიტაშვილები კი სწორედ თავიანთი მოჯირითეებითა და ცხენსაშენებით იყვნენ განთქმულნი. რაჭაში ლექსიც კი არსებობდა:

„ჯარი ჯაფარიძისაო,
ხრმალი გამყრელიძისაო,
ცხენი კვიტაშვილისაო,
კვანტი გოცირიძისაო,
კურდღლაობა წულუკიძისაო,
მწევარი წერეთლისაო,
ბაქიბუქი აღლაძისაო და
მჭადის ფქვილი ბაქრაძისაო“.

მერაბის დედა, კულაშელი მართა მიქელაძე ფეხმძიმე ჩაუყვანიათ დედულობაზე ლანჩხუთში – ბებიის, ელისაბედ თაყაიშვილის სახლში ბაქოდან, სადაც იმხანად კვიტაშვილები ცხოვრობდნენ. სწორედ იქ დაიბადა მერაბი 1902 წლის 2 ივლისს. ბაბუამისი მერაბი, ვისი სახელიც დაარქვეს ჩვილს, მრისხანე მებატონე ყოფილა, ბებია ანა ბაქრაძე – სათნო და კეთილი ქალი. მისი სახელი მერაბმა თავის ორივე ქალიშვილს დაარქვა: უფროსს ორივე ბებიის – ელისაბედანა (ელისო), უმცროსს – მერიანა. მერაბის მამა სიმონმა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში წარადგინა სადოქტორო თემა „სიკვდილით დასჯის უმართებულობა“, რომლითაც სიკვდილით დასჯის გაუქმებას მოითხოვდა. დოქტორის ხარისხი არ დაუმტკიცეს, თუმცა დიდად შეაქეს.

სიმონი ერთხანს ქუთაისის თავადაზნაურთა მარშლის, სვიმონ წერეთლის პირადი მდივანი იყო, მერე ბაქოში გადასახლდა, სადაც დიდი და მდიდარი ქართული კოლონია არსებობდა. იქ იგი ქართველ მრეწველთა იურისტკონსულტანტი და აკაკი ხოშტარიას სანავთობე ამხანაგობა „რუპენტოს“ 5 დირექტორიდან ერთერთი გახდა. მალე სახელიც მოიხვეჭა და ფულიც დააგროვა, რასაც უმეტესად საზოგადოებრივ საქმეს ახარჯავდა.

1919 წლის დეკემბერში ბიზნესის გამო კვიტაშვილების მთელი ოჯახი, მშობლები 4 შვილით: მერაბი, ვახტანგი, ნინო, თამარი – დროებით საცხოვრებლად ლონდონში გადავიდნენ, გვარად კი „კეი“ მიიღეს. მერაბი ოქსფორდის ორუელის კოლეჯში ჩაირიცხა. ფულს ის ინგლისური კომპანია იხდიდა, რომელშიც მამამისი მუშაობდა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ოჯახი ემიგრაციაში წავიდა – ჯერ გერმანიაში, შემდეგ – საფრანგეთში. მშობლები დაკრძალული არიან ლევილის ქართულ სასაფლაოზე. კიდევ ერთმა ძმამ, ვახტანგმა დაამთავრა გრენობლის ჰიდროტექნიკური საინჟინრო ინსტიტუტი. ორივეს ცოლი ფრანგი ჰყავდა, მისი ქალვაჟი სანფრანცისკოში ცხოვრობს. თამარის პირველი სპარსელი ქმარი საფრანგეთის სენსირის სამხედრო სკოლის კურსანტი იყო, მეორე – გაამერიკელებული არისტოკრატი სპარსელი, ლონდონში სპარსეთის ყოფილი ელჩი. ნინო კვიტაშვილი კი ინგლისელზე გათხოვდა.

მას შემდეგ, რაც სწავლის ფული ფირმამ შეუწყვიტა, მერაბ კვიტაშვილი უფრო იაფ ბირმინგემის უნივერსიტეტში გადავიდა და სამთამადნო ტექნოლოგიების შემსწავლელი ფაკულტეტი დაამთავრა. როგორც ინჟინერს, ბრიტანეთის იმპერიაში შემავალ მრავალ ქვეყანაში მოუწია მუშაობა და თვით სამთავრობო წრეებშიც დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.



**– როგორ გაგრძელდა მისი ცხოვრება და მოღვაწეობა?**

– მეორე მსოფლიო ომმა მერაბის აფრიკაში, განაში (ოქროს ნაპირი) მოუსწრო, სადაც ოქროს მადნის გადამამუშავებელი ქარხნის დირექტორად მუშაობდა. მაშინვე მიმართა ბრიტანეთის ხელისუფლებას, მიიღო ქვეშევრდომობა და არმიაში ჩაირიცხა. მალე ოფიცერთა სკოლაში გაგზავნეს, საიდანაც ბრიტანეთის ჯარის ჯავშანსატანკო კორპუსში მიავლინეს. მსახურობდა მაიორის, შემდეგ პოლკოვნიკის ჩინით. ჯავშანსატანკო კორპუსიდან მალე სამხედრო სადაზვერვოსაინფორმაციო სკოლაში გაგზავნეს კაიროში. იქიდან, როგორც სადაზვერვო განყოფილების ოფიცერი, ჩრდილო აფრიკაში მიავლინეს. ორი წელი შტაბშიც მუშაობდა და საბრძოლო ოპერაციებშიც მონაწილეობდა.

რამდენჯერმე მსუბუქად დაიჭრა, 1942 წელს კი სერიოზულად დაიჭრა თავის არეში და მხედველობა დაკარგა, რომელიც მხოლოდ მკურნალობის შემდეგ აღუდგა. კონტრდაზვერვის ოფიცრად იყო ლიბიაში, თეირანის გენშტაბში, სპარსეთში, სადაც ცხოვრობდა მისი და თამარი. სხვათა შორის, სპარსეთში ყოფნისას მერაბს ფერეიდანში უმოგზაურია და უზარმაზარი ეთნოგრაფიული მასალა ჩამოუტანია...

ჩრდილო აფრიკაში ინგლისელთა წინააღმდეგ ფელდმარშალ რომელის შეტევის შემდეგ, სირიალიბანპალესტინაში მყოფი ყველა ინგლისელი ოფიცერი კაიროში დააბრუნეს და სხვადასხვა პუნქტებში მიავლინეს. მერაბი საბერძნეთის კუნძულ კოსზე გერმანული ჯარების განლაგებაზე ინფორმაციის შესაგროვებლად გაგზავნეს,



იქიდან იერუსალიმში, შემდეგ – ბაღდადში.

ომის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე წარადგინეს გენერლის ხარისხზე, მაგრამ ომის დამთავრებამ ხელი შეუშალა ჩინის მიღებაში. ამ ხნის განმავლობაში მიღებული აქვს მრავალი საბრძოლო მედალი, ქების სიგელი და ჯილდო.

1952 წელს მერაბ კვიტაშვილი ოჯახით ამერიკაში გადასახლდა, ჯერ ნიუიორკში, 1954 წელს – ვაშინგტონში, არლინგტონში დასახლდა, სადაც პოტომაკის გაღმა, ვირჯინიის მხარეზე, რამდენიმე ქართული ოჯახი ცხოვრობდა. ვაშინგტონელ ქართველებს ცალკე სათვისტომო არ ჰქონდათ, ისინი ნიუიორკის სათვისტომოს ეკუთვნოდნენ, ამიტომ ისეთ აქტიურ მონაწილეობას ვერ იღებდნენ მის საქმიანობაში.

**– რას გვეტყოდით მის პირად ცხოვრებაზე?**

– 1952 წელს 51 წლის მერაბმა 15 წლით უმცროსი, პარიზში დაბადებული რუსი ემიგრანტი ირინე კედროვა ნიუიორკში გაიცნო და ცოლად შეირთო. ისინი ერთმანეთში ფრანგულინგლისურად საუბრობდნენ, ამიტომ ბავშვებმაც ეს ენები შეითვისეს. ელისომ დაამთავრა კაროლინის უნივერსიტეტი საერთაშორისო სამართლის განხრით, შემდეგ ეკონომიკის დოქტორი გახდა. სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობისას, როგორც ექსპერტი, ხშირად იგზავნებოდა უცხო ქვეყნებში. მერიმ ვირჯინიაში ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი დაამთავრა გეოლოგიის განხრით, მოიპოვა ბაკალავრის, შემდეგ – მაგისტრის ხარისხი. ასწავლიდა კომპიუტერულ საქმეს.

მერაბის ქალიშვილებში კვიტაშვილების გენმა იმძლავრა და ისინი ცხენოსნობამ გაიტაცა – შეჯიბრებებში გამარჯვებულებმა მედლები და სიგელები მოიპოვეს. 1984 წელს ელისომ „კეის“ ნაცვლად გვარი „კვიტაშვილი“ აღიდგინა, თავის დიპლომატიურ საქმიანობაშიც ამ გვარს იყენებდა და გათხოვების შემდეგაც არ გადასულა ქმრის გვარზე. მისი მიბაძვით მერიმაც დაიბრუნა გვარი. ვაშინგტონში გადასვლის შემდეგ, „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის დირექტორმა ერეკლე ორბელიანმა მერაბ კვიტაშვილი რედაქტორად მიიწვია (ფსევდონიმი „ნიკო რაჭველი“). იმავდროულად იყო პარიზში დაარსებული ჟურნალის „ბედი ქართლისა“ ამერიკელი კორესპონდენტი. აწვდიდა წერილებს ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა საქმიანობაზე. რედაქციაში მეტისმეტი დაძაბულობის გამო, მერაბს რამდენჯერმე მოუვიდა გულის შეტევა, ერთი – პირდაპირ რედაქციაში, ამიტომ შედარებით ადრე – 1972 წელს დირექტორის თანამდებობიდან გააცილეს პენსიაში. გარდაიცვალა 1991 წლის იანვარში, დაკრძალულია ვაშინგტონში.

**– როგორ შეძლო ქართველმა ემიგრანტმა დაახლოვებოდა სამთავრობო წრეებს?**

– მერაბ კვიტაშვილის ბიოგრაფიაში მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 1943 წლის ნოემბერში თეირანის კონფერენციაზე ბრიტანეთის დელეგაციაში მისი ჩარიცხვა. როცა 1942 წლის შემოდგომაზე რეალური გახდა ამიერკავკასიაში გერმანიის შეჭრა, მოკავშირეთა წინაშე დადგა მის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის დარაზმვის საკითხი. სსრკ მცოდნეთა შორის გავრცელებული 16პუნქტიანი ანკეტებიდან ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა კვიტაშვილის პასუხები. იგი ცალკცალკე განიხილავდა კავკასიელთა ინტერესებსა და პოზიციებს.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო მისი მოსაზრებანი საქართველოს შესახებ, სადაც გათვალისწინებული იყო ყველა ფაქტორი: სტალინბერიას ქართველობა, პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელთა დამსახურება ქართველთა წინაშე, ქართველებისათვის ნაცისტური იდეოლოგიის მიუღებლობა, ანტისაბჭოთა განწყობა და ა.შ. მითითებული იყო ის პირობები, რაც მოკავშირეთა მხარეზე გერმანელთა წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლას შეუწყობდა ხელს. მისმა პასუხებმა ჩერჩილამდე მიაღწია. ანკეტის პასუხების გარდა, ყურადღება მიიქცია მისმა სამხედრო და საინჟინრო დამსახურებამ, რუსული, ქართული და სპარსული ენების ცოდნამ და იგი დიპლომატიურ სამსახურში მიიწვიეს.

„მაშ, თქვენ თქვენი ძველი სამეფოს აღდგენა გსურთ? ის არ გყოფნით, რომ ქართველი მთელი რუსეთის იმპერიას განაგებს?!“ – დაინტერესებულა ჩერჩილი, რომელმაც ძალიან დაიახლოვა მერაბი და მალე მისი მრჩეველი გახდა სსრკ საკითხებში.

მემუარებში კვიტაშვილი აღწერს თეირანის კონფერენციის მიმდინარეობას, საბჭოთა დელეგაციას, იხსენებს როგორ გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ქართულად ერთმანეთს სტალინი და ბერია, ან როგორ საუბრობდნენ ქართველი პირადი მცველები. ბერიას პირველად ბრიტანეთის საელჩოში 27 ნოემბერს შეხვდა. ის ბაქოში დაიბადა, გაიზარდა, დაამთავრა ინსტიტუტი და, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდა ბაქოელ ქართველებს. მერაბზე ორი წლით უფროსი იყო. ინგლისელი ოფიც-



რის ფორმისა და დახვეწილი ლონდონური გამოთქმის მიუხედავად, როგორც ჩანს, ეცნო და მეთვალყურეები მიუჩინა. ერთ დღეს კი მიადგა და პირდაპირ ჰკითხა: „მე მითხრეს, რომ თქვენ ქართველი ხართ“. მერაბმა წინასწარ დამუშავებული ლეგენდა უამბო, რომ მამა ინგლისელი ჰყავდა, დედა კი ქართველი. „ბაქოში ხომ არ ცხოვრობდითო?“ ჰკითხა ბერიამ და დასტურის შემდეგ გვარიც ჰკითხა. დედის გვარი უთხრა – მიქელაძე. როცა მისი რაჭველობა გაიგო, ბერია დაეჭვდა „რაჭაში მიქელაძეები არ არიანო“.

ბერიამ ჩამოუთვალა ცნობილი ბაქოელი ქართველები: ნიკოლოზ ჯაყელი, იოსებ ჯაყელი, იოსებ დადიანი, სიმონ კვიტაშვილი. მერაბმა თავი მაინც არ გაამჟღავნა, მაგრამ ბერიას მახვილ თვალს რა გამოეპარებოდა?! მეორე დღეს მივიდა და უთხრა ვინ იყო და რა წარმომავლობის. ისიც კი უთხრა, რომ განათლების მინისტრი მარიამ ორახელაშვილი-მიქელაძე მისი ნათესავი იყო.

ამით ყველაფერი არ დამთავრებულა – ორჯერ მოუწყო თავდასხმა და მერაბი ორჯერვე სიკვდილს ძლივს გადაურჩა. მისი თანამგზავრებიდან ერთი დაიღუპა, მეორე დაიჭრა. იძულებული გახდა ყველაფერი ჩერჩილისათვის მოეხსენებინა. ჩერჩილმა კატეგორიულად მოსთხოვა სტალინს, შეეწყვიტათ მისი თანაშემწის დევნა და კონფერენციის დატოვებით დაემუქრა. ბერიამ მხოლოდ ამის შემდეგ დაანება თავი. მაგრამ მერაბი აღარ დაელოდა ბერიას „გულმოწყალებას“ და კონფერენცია მის დამთავრებამდე დატოვა.

კვიტაშვილის მემუარებში მოთხრობილია კონფერენციის მიმდინარეობის დროს მომხდარი მრავალი საინტერესო მოვლენა, მათ შორის ჩერჩილის დაბადების დღის აღნიშვნა დიდი ბრიტანეთის საელჩოში: „ბანკეტზე დაახლოებით ოცდაათამდე სტუმარი იქნებოდა: მთავრობის პირები, მარშლები, გენერლები, ადმირალები, ელჩები – დასავლეთისა და საბჭოეთის თითქმის ყველა გამოჩენილი ლიდერი... მათ შორის იყო ერთი ქართველი – სტალინიჯუღაშვილი, ფაქტიურად შეიძლება ითქვას, რომ ის იქ ცენტრალური ფიგურა იყო... გარდა ამისა, უაღრესად საინტერესო, ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი იყო ის ფაქტი, რომ მთელ ამ ელიტას იცავდა სამი ქართველი: გენერლები წერეთელი და ნაჭყებია საბჭოთა მხრიდან და მე, კაპიტანი მერაბ კვიტაშვილი დასავლეთის მოკავშირეთა მხრიდან.

წინა ოთახში მხოლოდ ორი კაცი ვიყავით, ორივე ქართველი – წერეთელი და მე, რომლებსაც დროდადრო მესამე ქართველი ნაჭყებია შეუერთდებოდა ხოლმე... მთელ იმ საათების განმავლობაში, რაც სადილი გრძელდებოდა, წერეთელს, ნაჭყებიასა და მე ხელთ გვეპყრო მსოფლიოს ბედი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. საელჩოში შესვლის და გამოსვლის დროს მე არასოდეს არ მჩხრეკდნენ და არ გამიჭირდებოდა შემეტანა და ამეფეთქებინა რამე ძლიერი ყუმბარა, რომელიც თუ ყველას არა, დამსწრეთა უმრავლესობას მაინც ამოხოცავდა. იმ ორ ქართველს, წერეთელსა და ნაჭყებიასაც შეეძლოთ იგივე გაეკეთებინათ. ეს რომ მომხდარიყო, ძნელი წარმოსადგენია, რა მიმართულება მიეცემოდა იმ ომსა და მსოფლიოს მომავალსაც“ – ეს ვრცელი ამონარიდი კვიტაშვილის წიგნიდან კარგად გვიჩვენებს, თუ რა როლი დააკისრა მეორე მსოფლიო ომის იმ ეტაპზე ბედმა სამ ქართველს.

როცა ჩერჩილი წინა ოთახში გამოსულა, მერაბს მისთვის წერეთელი წარუდგენია. „ჩანს, ჩვენ ქართველებით ვართ გარშემორტყმულიო“ – უხუმრია ჩერჩილს.

თუ საბჭოთა წყაროებიდან შალვა წერეთელისა და კაპიტონ ნაჭყებიას გვარები კარგად ცნობილია, დღეს კვიტაშვილის, იმ მესამე ქართველის გვარიც ვიცით, რომელსაც 1943 წლის 30 ნოემბერს რამდენიმე საათის განმავლობაში ხელთ ეპყრო მსოფლიოს ბედი“...

**მანანა გაბრიჭიძე**
ambebi.ge







# რა საფრთხეს გვიქმნის ძველი ტელევიზორი, მაცივარი და სხვა გამოუყენებელი ტექნიკა სახლში?

გადაყრილი ტელევიზორი, ელემენტები, მაგნიტოფონები, მაცივრები, რადიო მიმღებები და სხვა ელექტრონული ნარჩენები გარემოსა და ჩვენ ჯანმრთელობას იმაზე მეტად ვნებს, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია, ვინაიდან ტექნიკის ნარჩენებიდან მავნე ნივთიერებები შეიძლება, საკვებ პროდუქტებშიც მოხ-ვდეს.

პოლიეთილენის მსგავსად, ელექტრონულ ნარჩენებს დასაშლელად ასობით წელი სჭირდება, თუმცა პოლიეთილენისგან განსხვავებით, ტექნიკა გარემოს მძიმე მეტალებით დაბინძურებას იწვევს.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა „დედამიწის მეგობრების“ თავმჯდომარის, ნინო ჩხობაძის ინფორმაციით, საქართველოში ელექტრონული ნარჩენების რაოდენობა ნელ-ნელა იზრდება, რადგან მოქალაქეებმა არ იციან, სად წაი-ღონ, როგორ გამოიყენონ გამოუსადეგარი ელემენტები, პატარა აკუმულატო-რები, ძველი მობილური ტელეფონები, კომპიუტერების პროცესორები და სხვადასხვა ტექნიკა.

საინტერესოა, ებრძვის თუ არა ჩვენი ქვეყანა ელექტრონული ნარჩენებით გა-რემოს დაბინძურებას და როგორ აისახება ეს ყოველივე ჩვენს ჯანმრთელო-ბაზე?

შეცვალე ძველი ახლით – იყავი დაცული!

ნინო ჩხობაძის განმარტებით, საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით ბიოლოგი-ური ნარჩენი გროვდება, რომელსაც ერთვის ბავშვის საფენები, ბოთლები, ქაღალდები, პოლიეთილენის პარკები და ელექტრონული ნარჩენები, ამ ყველაფრის სეპარაცია კი ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით არ ხდება.

„2019-2020 წლიდან შემოდის მეწარმის გაფართოებული პასუხისმგებლობა, რომელიც ელექტრონული ნარჩენის შეგროვებასა და უტილიზაციას გულისხმობს. ამის დებულება მზადდება და საუბარია იმაზეც, აღნიშნული ვალდებულება ვის დაეკისრება. მაგალითად, უცხოეთში პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე მაღაზიები, თავად ბრენდები იღებენ“, – განმარტა ნინო ჩხობაძემ.

ნინო ჩხობბაძე განმარტავს, რომ წლების წინ საქართველოში ტექნიკა ახლან-დელთან შედარებით იშვიათი იყო, ამიტომ ბევრი კერძო მეწარმე ტექნიკას იბარებდა და შლიდა, თუმცა რადგან ახლა ელექტრონიკის მოჭარბება იგ-რძნობა, არსებობს მათი ჩვეულებრივ ნაგავსაყრელებზე მოხვედრის საფრ-თხე, რაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასურველი არ არის.

„ტელევიზორებს უფრო შლიან, ელემენტის საკითხი კი კატასტროფის ტოლფასია, იმიტომ რომ ცალკე არ გროვდება და არავინ მუშაობს ამაზე. ჩვენ ამა-ზე ვფიქრობთ, ველოდებით დებულებას, რომელიც მუშავდება, რომ აკუმუ-ლატორების შეგროვების რაიმე პუნქტები მაინც გაჩნდეს“, – აღნიშნა ნინო ჩხობაძემ.

გარემოს დამცველის თქმით, ელექტრონული ნარჩენები შლის პროცესში ბუნებას მძიმე მეტალებით აბინძურებს.

„შედეგად მჟავა, რომელიც ამ ტექნიკიდან გამოდის, იმდენად სერიოზულ პრობლემას ქმნის, რომ შეიძლება, მიწის ზედაპირი დააბინძუროს, ეს ყველა-ფერი საბოლოო ჯამში პროდუქტებსა და წყალში აისახება, პრობლემატური კი იმიტომაა, რომ იწვევს ალერგიულ დაავადებებს, იქმნება სასუნთქ დაავა-დებებთან დაკავშირებული თუ პროდუქტებზე ალერგია, იმიტომ რომ ეს მძი-მე მეტალები პორდუქტებში გადადის და აკუმულირდება, რომელიც ადამია-ნის ჯანმრთელობისთვის საკმაოდ მავნეა. მერე გვიკვირს, ტყვია საიდან გაჩ-ნდა ადამიანის ორგანიზმში. სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომზადდეს დოკუმენტი და ნარჩენების მართვის კოდექსში ამოქმედდეს ის ჩანაწერი, რასაც მეწარმის პასუხისმგებლობის ნორმები ჰქვია“, – განმარტა ნინო ჩხობაძემ.

პრობლემატურია სხვადასხვა ტექნიკის მონიტორებიც, რადგან მის შიგნით ბუნებისთვის სხვადასხვა მავნე ელემენტია.

„შეიძლება მასში ისეთი ტიპის მძიმე მეტალები იყოს, რაც დაბინძურებას იწ-ვევს. ეს მოითხოვს სერიოზულ უტილიზაციას ანუ დაშლას, სეპარირებას და შემდგომ გადამუშავებას“, – აღნიშნა სპეციალისტმა.

ეკონომიური ნათურები, რომლებსაც ჩვენი უმეტესობა აქტიურად იყენებს, ვერცხლისწყლის შემცველია, ამ ნივთიერების გარემოში მოხვედრაც დაბინ-ძურებას იწვევს.





„ვერცხლისწყალი ტოქსიკური ნივთიერებაა. არსებობს დანადგარები, რომლის მეშვეობითაც ეკონომიური ნათურებიდან ვერცხლისწყლის გამოღება და შესაბამისად, მათი ხელმეორედ გამოყენება შეიძლება. ამ შემთხვევაში მისი ბუნებაში მოხვედრა უკვე სახიფათო აღარ არის. დღეს ჩვენთან ვერცხლის-წყლის უტილიზაცია არც ნათურებიდან და არც თერმომეტრიდან არ ხდება. ვერცხლისწყალი, რომელიც ძალიან ტოქსიკური ნივთიერებაა, ბუნებაში ხვდება“, – განმარტა ნინო ჩხობაძემ.

გარდა ვერცხლისწყლისა, როგორც გარემოსდამცველი განმარტავს, გარემოში ხვდება სხვა მძიმე მეტალებიც: ტყვია, კადნიუმი, ცინკი, რკინა, რომელთა დიდი დოზით გავ-რცელებაც საფრთხის შემცველია და როგორც სიმსივნური, ისე სხვა დაავადებების პრო-ვოცირებას იწვევს.

ნინო ჩხობაძის თქმით, თუ სახლში ძველი, არასასურველი ტექნიკა გვაქვს, უნდა ვეცადოთ, რომ იმ ხელოსნებსა და ტექნიკოსებს მივცეთ, რომლებიც მათ ჯერ კიდევ იყენებენ.

რამდენად საშიშია ძველი და გამოუყენებელი ტექნიკა სახლში?

როგორც ბიოფიზიკოსი ბესიკ ფარცვანია განმარტავს, თუ მოძველებული ტექნიკა სახლში ისევ გაქვთ, ამაში საშიში არაფერია, თუმცა უმჯობესი იქნე-ბა, თუ მის რეალიზაციას ჯართის სახით მოახდენთ ან უბრალოდ უსასყიდ-ლოდ გააჩუქებთ, რადგან მათი ნაგავსაყრელზე მოხვედრის შემთხვევაში შე-საძლოა, სხვა ნივთიერებებთან რეაქციაში შევიდნენ, რაც ჩვენს ჯანმრთელო-ბაზე უარყოფითად აისხება.

შეცვალე ძველი ახლით – დაიცავი საკუთარი ჯანმრთელობა!

„რაც შეეხება ელემენტებს, წარმოიდგინეთ, რამდენი ელემენტი უნდა გადააგ-დო, რომ ამან გარემოზე სერიოზული ზემოქმედება მოახდინოს. ნაგავსაყრელზე გადაყრილი ელემენტები დროთა განმავლობაში იჟანგება და არსებუ-ლი ნივთიერება შიგნიდან გამოჟონავს, რაც სხვა ნივთიერებებთან შედის რე-აქციაში, თუმცა რა რეაქციები მიმდინარეობს და რამდენად მავნეა გარემოს-თვის, ეს პირდაპირ შესწავლილი არ არის. ვერბალურ დონეზე შეგვიძლია თქვა, რომ სახიფათოა, რადგან ნაგავსაყრელი თავისთავად მოიცავს ქიმიურ რეაქციებს“, – აღნიშნა ბესიკ ფარცვანიამ.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანია ვერცხლისწყლის საკითხიც, რომელიც თერ-მომეტრებსა და თუ სხვა ნივთების შემცველობაშია და ხშირად ნაგავსაყრელებზეც ხვდება. ვერცხლისწყალი ხვდება ადამიანის თირკმელებში, ღვიძ-ლში, სისხლში, ელენთაში, ტვინსა და ძვლებში.

ვერცხლისწყალი აზიანებს სასუნთქ სისტემასაც და იმდენად მომწვამვლელი ნივთიერებაა, რომ შეიძლება, სიკვდილიც კი გამოიწვიოს, სწორედ ამიტომ აღნიშნული ნივთიერების შემცველ ნივთებთან სიფრთხილეა საჭირო.

არამხოლლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ელექტრონული ნარჩენების უტილიზაციის საკითხი დღემდე პრობლემატურია. 2017 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში Guardian-ი წერს, რომ 2018 წელს გლობალური მასშტაბით ელექტრონულმა ნარჩენებმა 50 მილიონ ტონას მი-აღწია, მათ შორის 3 მილიონი ტონა მცირე ზომის მოწყობილობებია და არამ-ხოლოდ მობილური ტელეფონები, კალკულატორები და ლეპტოპები, არამედ ვიბრატორები და სხვადასხვა მცირე ზომის სახალწლო მოწყობილობა.

Guardian-ის განმარტებით, დიდ ბრიტანეთში მობილური ტელეფონების მწარმოებელმა კომპანიებმა შექმნეს დაფინანსების სქემები, რომლის მიხედვითაც ტელეფონის ჩაბარების სანაცვლოდ, თანხას მიიღებთ.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მონაცემებით, ელექტრონული ტექნიკის 42% ბრიტანეთში გადამუშავებას ექვემდებარება, 2020 წლისთვის კი 85%-ის გადამუშავებას ვარაუდობენ.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს Eurostat-ის მონაცემებით, 2015 წელს ბულგარეთი შეგროვებული ელექტრონული ნარჩენების 96,5% ამუშავებდა, ელექტრონუ-ლი ნარჩენების ერთ-ერთი აქტიური გადამამუშავებელია ხორვატიაც 58,3%-ით, ნორვეგია 50,4%-ს ამუშავებდა, ხოლო შვედეთი 51,6%-ს, შესაბამისად, აღნიშნულ ქვეყნებში მომწამლავი ქიმიური ნივთიერებებით გარემოს დაბინ-ძურების რისკები შემცირებულია.

**მარიამ მენაბდიშვილი**
ambebi.ge





## უხვ მოსავალს საფუძველი გაზაფხულიდან ეყრება





# როგორ მოვიყვანოთ პომიდორი

პომიდორი განსაკუთრებით ძვირფასი სამეურნეო კულტურაა, რომელიც საქართველოში ფართო მოხმარებით სარგებლობს. მისი ნაყოფები გამოირჩევიან მაღალი საგემოვნო თვისებებით და მრავალმხრივი მოხმარებით. პომიდორს გამოიყენებენ როგორც ნედლი, ასევე გადამუშავებული სახითაც. ამიტომ, მისი მოყვანის მიმართ ინტერესი საკმაოდ დიდია.

პომიდორი (Licopersicum esculentum) ერთწლოვანი, ორლებნიანი ბალახოვანი მცენარეა, მიეკუთვნება ძაღლყურძენისებრთა ოჯახს. პომიდვრის კულტურა წარმოშობით სამხრეთ და ცენტრალური ამერიკიდანაა. ანდების მთიანეთში ამჟამადაც არის გავრცელებული მისი ველურნაყოფა ფორმები. პომიდვრის კულტურული ფორმები ევროპაში ამერიკის აღმოჩენის შემდეგ გავრცელდა. პომიდვრის, როგორც ბოსტნეული კულტურის გამოყენებამ ფართო მასშტაბი მიიღო XVIII საუკუნეში, ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში. ამჟამად პომიდორი ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. პომიდვრის მთავარი მწარმოებელი ქვეყნებია ჩინეთი, აშშ, თურქეთი, იტალია, ინდოეთი და ეგვიპტე.

პომიდორი განსაკუთრებული ქიმიური შემადგენლობით ხასიათდება – მისი ნაყოფი მდიდარია ვიტამინებითა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სხვა სასარგებლო ნივთიერებებით.

სიმაღლის მიხედვით პომიდვრის ჯიშები იყოფიან ორ ჯგუფად: დეტერმინანტული (დაბალმზარდი) და ინდეტერმინანტული (მაღალმზარდი). დეტერმინატული ჯგუფის მცენარის ბუჩქი 50-70 სმ, ზოგჯერ კი უფრო ნაკლები (30-45 სმ) სიმაღლისაა. ასეთ ტიპის მცენარეზე, ღეროს ქვედა ნაწილზე სანაყოფე მტევნები წარმოიქმნება ყოველი 1-2 ფოთლის შემდეგ, ხოლო ღეროს ზემოთ ნაწილში კი ისინი ერთმანეთს მოსდევენ, რითაც მცენარის ზრდა იზღუდება.

ინდეტერმინატული ჯიშები ძლიერი ზრდისაა (70 სმ-დან 500 სმ-მდე), მტევნები მცენარეზე ვითარდება მეორე-მეოთხე, ხოლო არასაკმარისი განათების პირობებში ყოველი მე-4-5 ფოთლის შემდეგ. სანაყოფე მტევნები ჩვეულებრივ დიდია, ზოგჯერ დატოტვილი. აქვთ ძლიერ დანაკვთული ფოთლები, ხანგრძლივი სიმწიფის პერიოდი და იღლიის შიდა ყლორტების – ნამხრევების დიდი რაოდენობით განვითარების უნარი.

სავეგეტაციო პერიოდის მიხედვით განასხვავებენ საადრეო პომიდორს (100 დღემდე), საშუალო პომიდორს (105-120 დღე) და საგვიანო პომიდორის (120 დღეზე მეტი) ჯიშებს.

პომიდვრის ნაყოფები ასევე ფრიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფორმის, ფერისა და ზომის მიხედვით.

პომიდვრის ნაყოფები მასის მიხედვით იყოფა: წვრილ (60 გრამამდე), საშუალო (60-100 გრამი) და მსხვილი ნაყოფები (100 გრამზე მეტი).

| | ზრდისა და განვითარების ფაზები | | |
|---|---|---|---|
| | ყვავილობამდე | ყვავილობაში | მსხმოიარეობისას |
| მზიანი დღე | 22-24 | 24-26 | 24-28 |
| მოღრუბლული | 18-20 | 20-22 | 20-22 |
| ღამე | 15-16 | 16-18 | 18-20 |

*პომიდვრის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმი, განათებისა და განვითარების ფაზების მიხედვით*

პომიდორი სითბოსა და ტენის მოყვარული კულტურაა, თესლი წვრილია, ოდნავ შებუსული, 1 გრამ თესლში 300-350 მარცვალია. პომიდვრის საწარმოებლად მიმართავენ ჩითილის გამოყვანას. თესლი გაღვივებას იწყებს 10 ჩ0 – ზე ჩითილის გამოყვანისას დაცული უნდა იყოს განათებასთან შეთანაწყობილი ტემპერატურული რეჟიმი. კარგი განათება და ტემპერატურული რეჟიმი – დღისით 20-25 ჩ0 და ღამით 9-12 ჩ0, ხელს უწყობს ფესვთა სისტემის მძალვრ განვითარებას და კომპაქტური, აუწოწავი, კარგად შეფოთლილი ჩითილის მიღებას.

გრუნტს ამუშავებენ 25-30 სმ სიღრმეზე, შეაქვთ კომპოსტი 10-15 კგ 1 მ2-ზე ან ნაკელი, აგრეთვე მინერალური სასუქები.



ჩითილის გადარგვამდე გრუნტს ასველებენ 10-15 სმ სიღრმეზე. დასარგავად არჩევენ ნორმალურად განვითარებულ, ჯანმრთელ, მექანიკურად დაუზიანებელ ჩითილებს.

მცენარეებს რგავენ რიგებად, რიგში მცენარეთა შორის 50 სმ, ხოლო რიგებს შორის 80 სმ დაშორებით (2,5 მცენარე 1 მ2-ზე), ან ორმაგ რიგებად მცენარეთა შორის 50-60X40-50, ხოლო რიგებს შორის 90-100 სმ (საშუალოდ 3.0 – 3,5 მცენარე 1 მ2-ზე). ჩითილებს რგავენ ვერტიკალურად, პირველი სავეგეტაციო ფოთლის სიღრმეზე

### პომიდვრის მოყვანა

ღია გრუნტში პომიდვრის მოსაყვანად ნაკვეთს ამზადებენ შემოდგომაზე, მოხვნის წინ შეაქვთ კალიუმიანი და ფოფსფორიანი სასუქების მთელი დოზა (CC2-100-150 კგ და 25-100-150 კგ/ჰა-ზე). თუმცა რეკომენდებული ნიადაგის ანალიზის ჩატარება, რათა დადგინდეს PH-ი, C, Ca, Mg და S შემცველობა ნიადაგში, რათა ზუსტად განისაზღვროს მასში შესატანი სასუქების რაოდენობა, რაც თავის მხრივ კარგი მოსავლის საწინდარია.

გაზაფხულზე გამოყვანილი ჩითილის გადარგვას იწყებენ აპრილის ბოლოდან. მინდორში გადარგვამდე ათი დღით ადრე უნდა განხორციელდეს გაკაჟების პროცესი, რათა მცენარეებმა გამოიმუშაონ არახელსაყრელი ამინდის მიმართ შემგუებლობა. მცენარეების მოსაძლიერებლად უნდა შემცირდეს მორწყვის სიხშირე. ჩითილის მინდორში გადარგვამდე, ისინი კარგად უნდა მოირწყას, რომ ფესვები არ გაუშრეთ. ჩითილების გამოსაყვანად ერთი ჰექტრისათვის საჭიროა 300-500 გრამი სათესლე მასალა, ჩათესვის სიღრმე 1-2 სმ. თუ ჩითილები კვლებში უნდა გადაირგას, კვლები წინასწარ უნდა მომზადდეს. გადარგვისას შეაქვთ აზოტოვანი სასუქის დოზის 1/3 (30-40 კგ სუფთა ნივთიერება). ჰექტარზე რგავენ 20 000-25 000-მდე მცენარეს. როგორც წესი ღია გრუნტში გადასარგავად იყენებენ დეტერმინატულ (დაბალ მზარდ), სასუფრე ან საწარმოო პომიდვრის ჯიშებს და ჰიბრიდებს.

პომიდორი, ჩვეულებრივ უკეთ ხარობს შემაღლებულ კვლებზე, რადგან გაზაფხულზე ასეთი კვლებზე ნიადაგი სწრაფად თბება და ხელს უწყობს მცენარის ზრდას. შემაღლებული კვლები ხელს უწყობს ასევე ნიადაგის დრენაჟს და იცავს მას ჭარბი ტენისაგან. თუმცა გვალვიან პერიოდში შემაღლებულ კვლებში დარგულ პამიდორს უფრო მეტი მორწყვა სჭირდება.

მოვლა მოიცავს რიგთაშორისების გაფხვიერებას და ზომიერ რწყვას (250-350 მ3/ჰა-ზე). უნდა დავაკვირდეთ მცენარისა და ნაყოფის მდგომარეობას შუადღისას თუ ნაშუადღევს ფოთლები ოდნავ მაინც მომჭკნარია, ნარგავები აუცილებლად უნდა მოვრწყათ). ბრძოლას მავნებლების, დაავადებების და სარეველების წინაამღდეგ.

სარეველებთან საბრძოლველად გამოიყენება ჰერბიციდები სარდონი, მისტრალი, ზენკორი, (0,7კგ/ჰა; 1კგ/ჰა ორლაბნიანი სარეველების წინამღდეგ) და ერთლებნინი ერთწლოვანი და მრავალწლოვანი სარეველების წინაამღდეგ (თაგვიყანა, გლერტა, შალაფა, ჭანგა) ფიუზილად ფორტე ან ფიუზილად სუპერი 2-4 ლ/ჰა, აგილი 0,6-0,8 ლ/ჰა-ზე.

პომიდვრის წარმოებისას აუცილებელია თესლბრუნვის დაცვა, (უნდა წარმოებდეს კულტურათა მონაცვლეობა), დაუშვებელია პომიდვრის მოყვანა იმ ნაკვეთზე, სადაც წინა წელს განთავსებული იყვნენ ისეთი კულტურები როგორებიცაა: კარტოფილი, ბადრიჯანი, პომიდორი ან წიწაკა. თამბაქოს მომხმარებელი უნდა მოერიდოს ჩითილების ხელით შეხებას, ხელის დაბანის გარეშე (წინააღმდეგ შემთხვევაში იზრდება თამბაქოს ვირუსით დაავადების ალბათობა). საჭიროების შემთხვევაში ჩითილის გადარგვამდე აუცილებელია ნიადაგის დამუშავება ტოტალური ჰერბიციდებით (კლინი, ურაგანი, გლიფოგანი), რადგან სარეველები მავნებლებისა და დაავადებების გავრცელების უმთავრეს წყაროს წარმოადგენენ.

მოსავალი იკრიფება დილით და მერე გადააქვთ ჩრდილში. ნაყოფი უნდა მოიკრიფოს ფრთხილად, დაზიანების გარეშე, კალათებსა და ყუთებში არ უნდა იყოს მიწა ან სხვა ნარჩენები, ნაყოფს უნდა მოშორდეს ღეროები. დამწიფებული ნაყოფი ინახება 7-10 ჩ0-ზე 90-95 % ფარდობითი ტენიანობის პირობებში.

### პომიდვრის გამორჩეული ჯიშები

ჯინა (მწარმოებელია ჰოლანდიურ-ამერიკული კომპანია შემინის) – ღია გრუნტის დეტერმინატული (დაბალმზარდი) ტიპის, სასალათე პომიდორია. ჯინა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ყველაზე ადაპტირებული და პოპულარული ჯიშია, მოსავალს დათესვიდან 110-120 დღეში იძლევა, ნაყოფი არის საკმაოდ ტრანსპორტაბელური, კარგი გემოსი, საშუალო ზომის, წონით 180-200 გრამი.

ფლორიდა 47 (მწარმოებელია ჰოლანდიურ-ამერიკული კომპანია შემინის) – ღია გრუნტის, დეტერმინატული (დაბალმზარდი) ტიპის სასალათე პომიდვრის ჰიბრიდია. მწიფობაში შედის გადარგვიდან 70-75 დღეში. ნაყოფი ოდნავ შებრტყელებული მრგვალი ფორმის, საშუალოზე დიდი ზომის 200-250 გრამი, მკვრივი და საკმაოდ ტრანსპორტაბელურია.

დებიუტი და ელეგრო, (მწარმოებელია ჰოლანდიურ-ამერიკული კომპანია შემინის) – ღია გრუნტის, დეტერმინატული (დაბალმზარდი) ტიპის სასალათე პომიდვრის ჰიბრიდია. მწიფობაში შედის გადარგვიდან 65-70 დღეში. ნაყოფი ოდნავ შებრტყელებული მრგვალი ფორმის, საშუალოზე დიდი ზომის 200-250 გრამი, მკვრივი და საკმაოდ ტრანსპორტაბელურია.

შედი-ლედი (მწარმოებელია გერმანული კომპანია უნჰემსი) – ღია გრუნტის, დეტერმინატული (დაბალმზარდი) ტიპის სასალათე პომიდვრის ჰიბრიდია. მწიფობაში შედის გადარგვიდან 65-75 დღეში. ნაყოფი ოდნავ შებრტყელებული მრგვალი ფორმის, საშუალოზე დიდი ზომის 160-220 გრამი, მკვრივი.

ჭოპორტულა – დარაიონებული ჯიშია დუშეთის, მცხეთის, გორის, ქარელის, კასპის და ხაშურის რაიონებში. სავეგეტაციო პერიოდი 125-130 დღე, მაღალმოსავლიანია, როგორც სარზე აკვრით, ასევე ბაზოზე გადაწვენით, ნაყოფი მსხვილია, კაშკაშა წითელი, სასალათე, გამოირჩევა საუკეთესო გემოთი და არომატით.

სულთანი – ჰოლანდიური სელექციის მაღალმოსავლიანი ჰიბრიდია, ნაყოფი მსხვილია, ხასიათდება კარგი გემოთი, ტრანსპორტაბელურობითა და შენახვის უნარით. ვეგეტაციის პერიოდი 110 დღე.

### პომიდვრის მავნებლები

**მახრა** – გავრცელებულია თითქმის ყველგან. იგი აზიანებს მცენარეთა ფესვებს, რაც მას ნიადაგში მოძრაობის დროს ხვდება, ანადგურებს თესლს.

**კოლორადოს ხოჭო** – იგი აზიანებს როგორც პომიდორს ასევე კარტოფილს და ძაღლყირძენისებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენლებს. საქართველოს ბარის პირობებში ვითარდება ხოჭოს სამი გენერაცია, მავნებლები ძალზე სწრაფად მრავლდებიან და ანადგურებენ მცენარის ფოთლებს.

**ხვატარები** – დიდი ზიანი მოაქვს ხვატარს და მდელოს ხვატარს. გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ ასევე დასავლეთ საქართველოში, აზიანებს ბოსტნეულ კულტურებს, ზამთრობს მცენარეულ ნარჩენებში. იძლევა 3 სრულ და ნაწილობრივ მეოთხე თაობას.

### პომიდვრის დაავადებები

პომიდვრის ფიტოფტოროზი – დაავადება აზიანებს ძირითადად ფოთლებს ზოგჯერ ნაყოფსაც. ფოთლებზე წარმოიქმნება მუქი რუხი უფორმო ლაქები. ტენიან ამინდში დაზიანებული ფოთლების ქვედა მხარეს წარმოიქმნება თეთრი ნაფიფქი. ფოთლის და ნაყოფის დაავადებული ადგილები მუქდება და ლპება. ჰაერის მაღალი ტენიანობა დაავადების გაჩენისა და გავრცელების ძირითადი პირობაა.

ბრძოლის მეთოდები – თესლბრუნვის დაცვა. დაავადების პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე ქიმიური პრეპარატებით შესხურება: ბორდოულის ხსნარი 1%, სპილენძის ქლორჟანგი 0,5 %, რიდომილი მც ან რიდომილ გოლდი 0,25%, იტერალი 0.4%, კოსაიდი 0.4%, ანტრაკოლი 0.4%, ტატუ 0.5% შავიტი 0.5%. ბრძოლის ღონისძიებას ვიწყებთ სისტემური ფუნგიციდებით (რიდომილ გოლდი) და შემდეგ ვაგრძელებთ კონტაქტურით (ანტრაკოლი, სპილენძის ქლორჟანგი, ბორდოულის სითხე).

პომიდვრის ალტერნარიოზი – დაავადების დაწყებისას პომიდვრის ფოთლების ქვედა მხარეს ჩნდება მუქი რუხი ფერის კონცენტრირებული ლაქები. პატარა, მუქი, წაგრძელებული ლაქები ჩნდება აგრეთვე ახალგაზრდა მცენარის ღეროს ქვედა ნაწილშიც. მუქი ლაქები, შავი ნაფიფქით წარმოიქმნება ნაყოფზეც. სოკო ვრცელდება კონიდიუმებით, ვრცელდება როგორც ნიადაგიდან ასევე მცენარეული ნარჩენებიდან.

ბრძოლის მეთოდები – თესლბრუნვის დაცვა. დაავადების პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე ქიმიური პრეპარატების შესხურება: ბორდოულის ხსნარი 1%, სპილენძის ქლორჟანგი 0,5 %, რიდომილი მც ან რიდომილ გოლდი 0,25%, იტერალი 0.4%, კოსაიდი 0.4%, ანტრაკოლი 0.4%, ტატუ 0.5% და სხვა.

პომიდვრის ფოთლების მურა ლაქიანობა (კლადოსპოროზი) – აღნიშნული სოკო იწვევს პომიდვრის ფოთლების დაავადებას, იშვიათად ყლორტებზეც გადადის. სოკო პომიდვრის ქვედა ფოთლებზე ჯერ მოყვითალო ლაქებს აჩენს, როლმებიც შემდეგში ყავისფერი ხავერდოვანი ფიფქით იფარება. სილაქავე ძალზე სწრაფად გადადის მცენარის ახალ ორგანოებზე და ხშირად მცენარის ნაწილის გახმობას იწვევს.

სოკოს განვითარება ხდება მაღალი ტენიანობის შემთხვევაში. ოპტიმალურ ტენიანობად ითვლება 95 %, 80% სინოტივის ქვევით სოკო განვითარებას ანელებს, ხოლო 50-60% დროს სრულიად არ ვითარდება. დაავადებისთვის ოპტიმალურ ტემპერატურად ითვლება 22-25⁰C, თუმცა მას შეუძლია გამოიწვიოს დაავადება 6-34⁰C ფარგლებში.

ბრძოლის მეთოდები – თესლბრუნვის დაცვა. ტარდება შესხურება ფუნგიციდებით: ბაილეტონი 0,01%, ტოპაზი 0,02%, კოლოიდური გოგირდი 0,5-1%.

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**





# ქართული ღვინის ცნობადობა და მასზე მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება

ახალშენი ვენახებისა და შესაბამისად ღვინის რაოდენობა მთელ მსოფლიოში წლიდან-წლამდე იმატებს. არამხოლოდ კახეთში, ჩვენი ქვეყნის სხვა, მევენახეობით ცნობილ კუთხეებშიც დაბალი ტემპით, თუმცა მაინც მიმდინარეობს ახალი ვენახების გაშენება და ეს ცხადია, ქართული ღვინის საერთო რაოდენობისა და ექსპორტის ზრდის პარალელურად ხდება.

უკანასკნელ წლებში მეღვინეებითა და მეღვინეობით ცნობილი ქვეყნების გარდა, ვენახების მასობრივი გაშენება დაიწყო ისეთ ქვეყნებშიც, სადაც ამის ტრადიცია არასოდეს ყოფილა. მაგალითად, ჩინეთში



ვენახების გაშენება ისეთი ტემპებით მიმდინარეობს, რომ სხვადასხვა გათვლებით, 2030 წლისთვის ჩინეთის შიდა მოთხოვნის დაახლოებით ნახევარი ადგილობრივმა ღვინომ უნდა დააკმაყოფილოს, რაც , მაგალითად, ათი წლის წინ წარმოუდგენელი იქნებოდა.

ეს ტენდენციები წესით მსოფლიოში ღვინის ძალიან გაიაფებას უნდა იწვევდეს, თუმცა რეალობა აჩვენებს, რომ მეღვინეობის სფეროში ყველაფერი პირიქით ხდება და ღვინო თითქმის ყველგან უფრო მეტად ძვირდება, ვიდრე იაფდება. ამის ერთ-ერთ მიზეზად ეკონომისტები და მეღვინეობის სპეციალისტები ღვინის, როგორც სასმელის პოპულარობის ზრდას მიიჩნევენ.

ღვინო უკვე პოპულარული ყველა ასაკის, სოციალური ფენისა და ეთნიკური წარმოშობის ადამიანებშია. თუკი მაგალითად გასული საუკუნის 70-იან წლებში ფრანგული ღვინის სმა მსოფლიოში მხოლოდ შეძლებულ ადამიანებს შეეძლოთ, დღეს (თუმცა ცხადია ყველა ფრანგული ღვინო ერთნაირად მაღალხარისხოვანი ვერ იქნება) ფრანგული ღვინის დაგემოვნება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების გარდა, აფრიკის ულარიბეს ქვეყნებშიც კი შესაძლებელია.

უკანასკნელი მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოს ღვინის ბაზრის 85% იაფფასიან, 5 დოლარის ღირებულების და უფრო იაფ ღვინოს უჭირავს, თუმცა ეს იაფფასიანი ღვინოც თანდათან ძვირდება. ამერიკელი ღვინის მიყვარულებისთვის სრული შოკი იყო, როდესაც ყველაზე იაფფასიანი კალიფორნიული ღვინოები, (თუმცა არსებობს საუკეთესო და შესაბამისად უძვირესი კალიფორნიული ღვინოც) რომლებიც მარკეტებში 2 და 3 დოლარი ღირდა, დღეს 6 და 7 დოლარად იყიდება. ეკონომისტები ამბობენ, რომ ეს ტენდენცია მხოლოდ ინფლაციას არ უკავშირდება, რაც ყველა ქვეყნის ეკონომიკის ისედაც მუდმივად თანმდევი მანკიერებაა.

ბოლოდროინდელი ღვინის საერთო გაძვირების ტენდენციის პარალელურად, იმატებს მოთხოვნა და მომხმარებელთა დაინტერესება ბუნებრივ, ნატურალურ ღვინოზე, რომელთაც როგორც წესი მცირე მარნები და საოჯახო მეურნეობები აწამროებენ. ასეთი ღვინო ძალან მოდურიც გახდა და მისი ფასი ხშირად ბევრად აღემატება მასობრივ, ორდინალური ხარიხის ღვინოებს. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ეს ტენდენცია მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება და შეიძლება დადგეს დრო, როდესაც მასობრივი ღვინის მწარმოებლებსაც მოუწიოთ დაფიქრება იმაზე, რომ პროდუქციის რაოდენობაზე მეტად აქცენტი ვენახების სწორად მოვლაზე და ხარისხიანი ღვინის დაყენებაზე გააკეთონ.

ღვინოს, როგორც ყოველდღიური მოხმარების პროდუქტს საქართველოში უხსოვარი დროიდან გამოიყენებდნენ. თუმცა, მხოლოდ დაახლოებით 200 წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში ღვინის წამროებას ეკონომიკური დატვირთვა მიეცა და მეღვინეობა მცირე თუ დიდი ბიზნესის შემადგენელი ნაწილი გახდა. თანამედროვე მეღვინეთა ნაწილი ცდილობს, საკუთარი ბიზნესი ინოვაციური გზებით განავითაროს – მათ შორის, მუზეუმებად ქცეული ვენახებით. მეღვინეობის მუზეუმი – შატოები კი უკვე ტურისტულ სივრცეებად გადაიქცა.

ღვინო და მეღვინეობა დღეს შესაძლებლობების წარმოჩენის ადგილია და მიუხედავად ამ შესაძლებლობისა – მეურნეობა, კულტურული შინაარსით, უფრო მომგებიანი გახდეს, მის ეფექტიანად გამოყენებას ბევრი მევენახე ვერ ახერხებს. ქართველ მევენახეს საკუთარი ღვინის ბოთლში ჩამოსხმის სურვილიც აქვს და მოტივაციაც, მაგრამ წარმოების განვითარებისთვის ან თანხა არ ჰყოფნის, ან – გამოცდილება.

როგორც მარტივი დათვლებით ჩანს, ჩვენს ქვეყანაში, დაახლოებით, 100 ათასი მევენახეა, ვინც ყურძნის მოსავალს ღვინოდ აქცევს, მაგრამ მათ უმრავლესობას ის მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის ჰყოფნის. რიგითი მევენახისთვის კრედიტი შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს, მაგრამ საჭირო ინფორმაცია – არა. ბევრი მეღვინე ფიქრობს, რომ საჭიროა სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება იმ მიზნით, რომ გლეხისთვის წარმატებული ანალოგიები ხელმისაწვდომი გახდეს. ამ მიზნის შემადგენლად მიიჩნევს იგი იაფ კრედიტსაც და გასაღების ბაზრის შეთავაზებასაც.

გლეხს, ვისაც ხელი არ მიუწვდება წარმატებულ გამოცდილებაზე, ეშინია, გარისკოს და ბანკს კრედიტისთვის მიაკითხოს: თუ იგი საკუთარ, თუნდაც ხარისხიან პროდუქციას ვერ გაყიდის, ბანკის ვალის პირისპირ მხოლოდ ყურძნის მოსავლით დარჩება. ღვინის ექსპერტების აზრით, ნდობას გლეხს საკუთარი თვალით ნანახი წარმატებული წამოწყება გაუჩენს – მეზობელი ან თანასოფლელი, რომელმაც გარისკა, ან სხვისი დახმარებით საკუთარი ღვინო წარმოებაში ჩაუშვა.

უცხოეთის ქვეყნებში ექსპორტზე ფიქრს სანამ დაიწყებს, მევენახე ჯერ ადგილობრივ ბაზარზე ფიქრობს. ტურისტებში გლეხის ღვინოზე უფრო დიდი მოთხოვნაა, ვიდრე დიდი კომპანიის მიერ ჩამოსხმულზე. ბევრი ადამიანი მცირე მეწარმეების გაერთიანებაში, წარმოებების დამსხვილებაში ხედავს გზას ექსპორტისკენ.

ფაქტია, რომ გამოცდილი თუ დამწყები ქართველი მევენახე უხარისხო ღვინოს მიზანმიმართულად არ დააყენებს და ყურადღებით მომზადებული ღვინო არ ფუჭდება. ისიც ფაქტია, რომ კარგი ყურძნისგან კი გლეხის პატარა ქვევრშიც და კომპანიის დიდ ცისტერნაშიც თანაბრად ხარისხიანი ღვინო დგება. დღეს ჩვენს ქვეყანაში მეღვინეობა განვითარებადი დარგია და ამ დარგს აქვს უნარი გახდეს თვითკმარი და მევენახეს სახელმწიფოს დახმარება აღარ დასჭირდეს. მით უმეტეს, რომ დღეს სახელმწიფოს მხრიდან მეღვინეობის სუფსიდირების პროგრამა შეჩერებულია.

დიდი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ნიკო ნიკოლაძე ღვინოს საქართველოს მომავლისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროდუქტად თვლიდა და მიიჩნევდა, რომ ქართულ ღვინოს წინ დიდი მომავალი ჰქონდა. ნიკო ნიკოლაძისთვის ღვინო და მეღვინეობა ერთგვარად მშობლიური ფენომენი იყო. დიდი ქართველი მოღვაწე ბავშობიდან დაუკავშირდა ღვინოს.

ნიკო ნიკოლაძე ახალი თაობის იდეური მეთაური და გზის გამკვალავი იყო. ახალმა დრომ ახალი ამოცანები დააყენა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. „ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინახა, რომ საზოგადოებრივი წესი და წყობა ადამიდან შეუცვლელი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის, თურმე, კაცის ხელით შექმნილა და კაცის ხელითვე შეიცვლება. ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიღწევნება“.

ნიკოლაძის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ვაჭრობა. ქართველ ახალგაზრდებს მოუწოდებდა ევაჭრათ, ოღონდ, კეთილსინდისიერად. გლეხებს ეხვეწებოდა, ჩამოეტანათ ქალაქში პროდუქტი, თუ ღვინო ღირდა 1 კაპიკი, 10 კაპიკად მიეყიდათ ადგილობრივებისთვის და არა 1 მანეთად, როგორც ამას სირაჯები აკეთებდნენ. მაგრამ მაშინ ვაჭრობას ქართველების უმეტესობა არ კადრულობდა, ეთაკილებოდა. ნიკო ნიკოლაძეს კი სამარცხვინოდ ვაჭრობის მტაცებლური მეთოდები მიაჩნდა. ფიქრობდა, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებით, შესაძლებელი იყო კაპიტალიზმის დანერგვა. ევროპაში ცხოვრებისას მან კარგად დაინახა, რა როლს ასრულებდა ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში საბანკო საქმე და ვაჭრობა. სწორედ ამიტომ სურდა, საქართველოც იმავე გზით განვითარებულიყო.

ნიკო ნიკოლაძე წერდა: „გამოცდილება ამტკიცებს, რომ მოწინავე ქვეყნებშიც შეუძლებელია მეღვინეობის კარგათ დაყენება კერძო მეღვინეთაგან, თუ მათს განკარგულებაში არ არის ფართე სავენახე მამული და, მასთან საკმაოდ დიდი კაპიტალი ან კრედიტი. წვრილი მეღვინისათვის კი შესაძლოა მარტო ყურძნის მოყვანა და მისი ან მისგან დაყენებული ღვინის დაუყოვნებლივი გაყიდვა. ყურძნის წვენისაგან ასეთი ღვინოს მისაღებად, რომელიც ატარებს შენახვას და გადატანას – საჭიროა, რომ ეს წვენი შენახულ-დაძველებული იქნას არა ნაკლებ სამი წელისა, ისეთ სარდაფსა ანუ მარანში, სადაც ზამთარ-ზაფხულ ჰაერის სითბო არ უნდა სცილდებოდეს – არც ზევით და არც ქვევით – ცელსიუსის 10-12 გრადუსს რუსეთის სხვა კუთხეებთან შედარებით, სახარბიელო მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული და ეს იმიტომ, რომ დღემდი მევენახეობა-მეღვინეობას



არ შეჰხებია მსხვილმრეწველთა ხელი, რამაც ფეხზე დააყენა და საუცხოვოთ განავითარა მეურნეობის ეს დარგი არამცთუ მარტო საფრანგეთსა და იტალიაში, არამედ ყირიმსა და კახეთის საუფლისწულო მამულშიც.

მევენახეობისათვის საუცხოო პირობებით ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია ჩვენი მხარე: მზის სხივთა სიუხვე, ზღვასთან სიახლოვე და სხვა გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობებით ჩვენი ქვეყანა არ ჩამორჩება არცერთ რუსეთის მხარეს და თვით საფრანგეთსაც, ჟირონდოს მიდამოთა გამოკლებით ბორდო-ლაფიტიდან ვიდრე გრავის ყურემდე“.

მამულისათვის თავდადებული ღირსეული წინაპრის წინასწარმეტყველებანი ქართული ღვინის ცნობადობის შესახებ რეალურად ასრულდა.

უძველესმა არქეოლოგიურმა კულტურამ რომელიც 8000 წელს ითვლის, მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ვაზისა და ღვინის სამშობლო საქართველოა და აქ წარმოებული, ტრადიციული ტექნოლოგიით დაყენებულ ღვინოს მსოფლიოში ბაადალი არ მოეძებნება.

უკანასკნელი წლების მანძილზე, საკმაოდ დიდი პრობლემების მიუხედავად, რაც შიდა და გარე ფაქტორებით იყო გამოწვეული, გაიზარდა მოთხოვნა მსოფლიოში ქართულ ღვინოზე. ქართულ ღვინოს აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი და წინაპირობა რომ დაიკავოს ერთ-ერთი საპატიო ადგილი მსოფლიო ღვინის ბაზარზე. პირველ რიგში ესაა ადგილობრივი უნიკალური ჯიშები, მეორე – საქართველოს ისტორიული ფაქტების საფუძველზე დაუმკვიდრდა ღვინის სამშობლოს ტიტული, რაც ქართულ ღვინოს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის უცხლოელისათვის და მესამე, რომელსაც აღნიშნავენ თითქმის ყველა ქვეყანაში, ეს არის ტრადიციული მეღვინეობა, რაც ქვევრში ღვინის დადუღებასა და დავარგებას გულისხმობს. ეს ტექნოლოგია უნიკალურია და არ არის სხვაგან არც ერთ ქვეყანაში. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე სამომავლოდ კიდევ უფრო გამოიკვეთება ქართული ღვინის სახე და თანამედროვე ღვინის სამყაროში ქართული ღვინო საპატიო ადგილს დაიკავებს.

**მოამზადა**
**ალექსანდრე გიგილოშვილმა**



# ნიორი – საგაზაფხულო ნივრის დარგვა



### ზოგადი ინფორმაცია

ნივრის კულტურა 4 ათასზე მეტი წლისაა. მისი სამშობლოა ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, კერძოდ – ავღანეთი. კულტურული ნივრის ველური ფორმაა ველურინიორი, რომელიც ახლაც ხარობს შუა აზიის ხეობებსა და მთების ფერდობებზე.

ძველი წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ, რომ ნიორი გავრცელებული ყოფილა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომის იმპერიაში, სადაც იგი არა მარტო საკვები და სამკურნალო საშუალება იყო, არამედ წმინდა მცენარედაც იყო შერაცხული.

ნივრის თავისებურ სუნსა და გემოს განაპირობებს მასში დიდი რაოდენობით არსებული ეთერზეთები. ცხარე და მწარე ნიორი ქიმიური შემადგენლობით თავიან ხახვს აღემატება. იგი უფრო მეტ ნახშირწყლებს, აზოტოვან ნივთიერებებს, მინერალურ მარილებსა და მიკროელემენტებს შეიცავს. ვიტამინებითაც ძალზე მდიდარია: შეიცავს ჯგუფის ვიტამინებს, ბეტაკაროტინს, ვიტამინს. ნივრის ფოჩებში ასკორბინის მჟავას შემცველობა 50%-ს აღწევს, ხახვის თავებში კი 8-10%-ს.

### კულტურის სპეციფიკური მოთხოვნები

საგაზაფხულო ნივრისთვის ნიადაგს შემოდგომიდან ამზადებენ, გადაბარავენ 20-25 სმ-ზე, ასუფთავებენ ყველა მცენარეული ნარჩენისაგან და მრავალწლიანი სარეველების ფესვებისაგან.

### ჩარგვის სქემა

20-25 სმ-ის დაშორებით რგავენ მოზრდილ კბილებს, 12-15 სმ-ის დაშორებით (დასაშვებია 8-10 სმ) – პატარა კბილებს; მწკრივში თესვის დროს მანძილი მწკრივებს შორის 18-20 სმ-ია (რადგანაც საგაზაფხულო ნიორი უფრო სუსტია, ვიდრე საშემოდგომო).

### ღია გრუნტში ჩათესვის ვადები

კბილების ჩარგვა გაზაფხულზე მაშინ უნდა დავიწყოთ, როდესაც ნიადაგი 5-6$^{0}$C-მდე შეთბება, რგავენ სველ მიწაში, არ რწყავენ (თუ მიწა გამომშრალია, უნდა მორწყვა), ჩარგვის შემდეგ ნაკვეთს მულჩით ფარავენ.

ჩარგვის სიღრმე: ჩარგვამდე კბილებს 20-30 წუთით წყალში ასველებენ, შემდეგ სველ ქსოვილში ახვევენ და პოლიეთილენის პაკეტში დებენ. ჩარგვის დაწყებისათვის კბილებს წამოეზრდებათ 2-2,5 სმ-ის სიგრძის ფესვები; რგავენ 5-6 სმ-ის სიღრმეზე, უნდა ვეცადოთ, რომ ფესვები არ დავაზიანოთ.

### მორწყვა

ვეგეტაციის საწყის პერიოდში მცენარეს ბევრი წყალი სჭირდება. ვეგეტაციის მეორე ფაზაში ტენზე მოთხოვნილება იკლებს, ზედმეტი წყალი იწვევს სიდამპლესა და სოკოვანი დაავადებების განვითარებას.

### სითბური რეჟიმი

ნიორი აღმოცენებას იწყებს 3-4$^{0}$C ტემპერატურაზე, აღმონაცენს გაზაფხულის წაყინვების არ ეშინია; ვეგეტაციის საწყის პერიოდში მცენარის ზრდისა და განვითარებისათვის ოპტიმალური ტემპერატურაა 5-10$^{0}$C, კბილების ფორმირებისას 15-20$^{0}$C, შემოსვლის პერიოდში 20-25$^{0}$C.

### გამოყენება

ნიორს როგორც მარინადებისა და მწნილების საკმაზს ტოლი არ ჰყავს. ასევე შეუცვლელია ნიორი ხორცისა და თევზის კერძებისათვის, სხვადასხვა სოუსების, სალათების, საწებლების დასამზადებლად.

ნიორს, როგორც სამკურნალო მცენარეს, რამდენიმე ათასწლეულის წინათაც იყენებდნენ, რასაც ადასტურებს ჰიპოკრატეს ნაშრომები. ნივრის სამკურნალო თვისებებს განაპირობებენ მასში არსებული ეთერზეთები და ფიტონციდები, რომლებიც სპობენ ავადმყოფობის წარმომქმნელ მიკროფლორას.

ნიორი სპობს კუჭის პარაზიტებს, მას იყენებენ ანგინისა და გრიპის პროფილაქტიკისათვის, სურავანდის წინააღმდეგ, ორგანიზმს წმენდს ცხიმებისაგან, მოქნილობას ანიჭებს ძარღვებს, აუმჯობესებს მხედველობას და სხვ.

**ნუკრი მემარნიშვილი, თამაზ დუნდუა**

agrokavkaz.ge

# ქინძი – კულტურა, გარემო, აგროწესები



ქინძი (ლათ. Coriandrum sativum) ქინძი ფართოდ გავრცელებული ეთერზეთოვანი კულტურაა. მისი თესლიდან გამოხდით მიღებული ზეთი გამოიყენება საპარფიუმერიო მრეწველობაში.

ქინძი გამოიყენება როგორც სამკურნალო მცენარე და სურნელოვანი ბოსტნეული სხვადასხვა საჭმლის საკმაზ-სანელებლად. საკვებად გამოიყენება ახალგაზრდა მცენარის ფოთლები – მცენარის აღერებამდე.

მის თესლს იყენებენ კულინარიული ნაწარმის პურის, ყველის, ძეხვის ვიტამინიზებისა და არომატიზაციისათვის; ფოთლები შეიცავენ ვიტამინებს (C, B1, B2), რუტინს, კაროტინს, ეთერზეთებს.

ქინძის სამშობლოდ მცირე აზია ითვლება, ეს კულტურა უძველესი დროიდან გამოიყენება და საქართველოში იგი თითქმის ყველა რეგიონშია გავრცელებული.

### ბოტანიკური და ბიოლოგიური დახასიათება

ქინძი ერთწლიანი მცენარეა, ეკუთვნის ქოლგოსანთა ოჯახს. ფესვი თხელი აქვს თითისტარისმაგვარი. ღერო ცილინდრულია, წახნაგიანი, პირდაპირი ან მუხლთშორისებში გახრილი, მწვანე ფერის.

თესლის მომწიფების წინ ზოგიერთ ჯიშს ღერო თითქმის უშავდება (ანტოციანით). ღეროს სიმაღლე 10-დან 50 სმ-მდეა. ფოთლები მორიგეობით არის განლაგებული, ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ფრთართული, მომრგვალო ფრთადდაჭრილი ფოთოლაკებით, ზემოთა ფოთლები მრგვალად არის დაყოფილი – ნაწილობრივ ვიწროხაზიანია, შუა ფოთლები კი ორმაგფრთისებრია.

ქინძის ფოთლებს უმწიფარ მდგომარეობაში აქვს სპეციფიკური სუნი. ქინძი სწრაფად ჭკნება და ამიტომ იგი გადარგვას ვერ იტანს. ყვავილედი ქოლგაა, დიდი რაოდენობით თეთრ, მკრთალ-მწვანე ან ყვითელი ყვავილებით. ნაყოფი მრგვალია, ბურთისებრი, მუქი ყვითელი ფერის, შემდგომში ღია ყავისფერი. შედგება ორიწილნაყოფისგან, თითო თესლით. მომწიფებისას, ნაყოფი ადვილად ცვივა.

### ჯიშები

ქინძი, როგორც ფართოდ გავრცელებული ეთერზეთოვანი კულტურა, გამოირჩევა ჯიშების დიდი რაოდენობით.

ყველა მათგანი მიეკუთვნება შემდეგ ჯგუფებს: ჩრდილო ეთიოპიის, მონღოლეთის, თურქმენეთის, ინდოეთის, დასავლეთ ევროპის, ვორონეჟის, კავკასიის.

საქართველოში ძირითადად გავრცელებულია ადგილობრივი პოპულაციების სამწვანილე ფართოფოთლიანი ჯიშები.

### დამოკიდებულება გარემო პირობებთან

ქინძი სიცივის ამტანი მცენარეა. მისი თესლი გაღივებას იწყებს 5-7$^{0}$C სითბოს პიროებებში, ხოლო, აღმონაცენს შეუძლია დაუზიანებლად გადაიტანოს მცირე ხნიანი წაყინვები – 4-5$^{0}$C ტემპერატურის ფარგლებში. უფრო მკაცრი ყინვები აზიანებენ ფოთლის ფირფიტებს, თვითონ მცენარე კი ცოცხალი რჩება.

ამის გამო ქინძი აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში და დასავლეთ საქრთველოს ღია გრუნტის პიროებებშიც კარგად ზამთრობს. სითბოს დიდი რაოდენობა სჭირდება ყვავილობისა და თესლის მომწიფების ფაზაში.

მცენარის სრული სავეგეტაციო პერიოდი 90-110 დღეა.

ქინძს შეუძლია გაიზარდოს თითქმის ყოველგვარ ნიადაგზე, ვერ იტანს მძიმე თიხნარ, ზედმეტად მშრალ და ჭაობიან ნიადაგებს. განსაკუთრებით კარგად ხარობს კირით მდიდარ კარბონატულ ნიადაგებზე.

ქინძი განვითარების პირველ პერიოდში წყლის ნაკლები რაოდენობით კმაყოფილ – დება, მაგრამ მწვანე მასის განვითარებასთან ერთად, დატოტვისა და ყვავილობის ფაზაში, წყლის მიმართ მოთხოვნილება მკვეთრად იზრდება. ნიადაგის ტენის ნაკლებობამ შეიძლება ყვავილობის ფაზის ნაადრევი დადგომა გამოიწვიოს. მცენარე საკმაო რაოდენობით ითვისებს ნიადაგიდან საკვებ ელემეტებს. კარგ მოსავალს იძლევა ნოყიერ, შავმიწა ნიადაგებზე, აზოტოვანი და ფოსფოროვანი მინერალური სასუქების შეტანით.

### ძირითადი აგროწესები

ქინძის განოყიერება მოიცავს ჰექტარზე 20ტ ნაკელისა და 50-100 კგ აზოტ-ფოსფორიანი მინერალური სასუქების შეტანას. სასუქები შეაქვთ შემოდგომაზე, მზრალად ხვნის წინ.

4-5 ფოთლის ფაზაში აწარმოებენ ნათესის გამოკვებას აზოტოვან-ფოსფოროვანი სასუქებით – 20-30 კგ/ჰა.

ქინძის დასათესად ნიადაგის მომზადება მოიცავს მზრალად ხვნის მთელ სისტემას, მოხვნას 22-25 სმ-ის სიღრმეზე, საგაზაფხულო ფარცხვას, თესვისწინა კულტივაციას, დაფარცხვას.

თესვას ჩვეულებრივ აწარმოებენ მშრალი თესლით. გაღივება რომ დაჩქარდეს, თესლს ასველებენ დათესვამდე 3-4 დღის განმავლობაში და ჰაერზე ოდნავი შეშრობის შემდეგ თესავენ.

დიდ ფართობებზე თესვა უმჯობესია ჩატარდეს მწკრივად – ზოლებრივად. ინტერვალი მწკრივთაშორის 15 სმ, ხოლო, ფართო მწკრივებად თესვისას 45 სმ უნდა იყოს, თესლის ჩათესვის სიღრმე კი 1-2 სმ. 1000 თესლის მასა 7-10 გრ-ს უდრის. თესლი აღმოცენებას იწყებს დათესვიდან მე-12-მე-14 დღეს. დასათესად უკეთესია 1-2 წლიანი თესლი, რადგან ის ადრე კარგავს აღმოცენების უნარს.

ჰექტარზე სათესი ნორმა შეადგენს 18-24 კილოგრამს.

ქინძის მოვლა მოიცავს სარეველების მოცილებას, გაფხვიერებასა და საჭიროების მიხედვით მორწყვას. ვეგეტაციის პერიოდში საჭიროა 1-2-ჯერ გამარგვლა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენება.

agrokavkaz.ge

**განცხადებები**

კაკო ჯოხაძე ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობს ფრეწუაშვილების ოჯახს **ნოდარ ფრეწუაშვილის** გარდაცვალების გამო.

ვალერი ზურაშვილი ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობს ფრეწუაშვილების ოჯახს **ნოდარ ფრეწუაშვილის** გარდაცვალების გამო

ლერი ტურაშვილი და კუკური კუპრაშვილი ოჯახებით მწუხარებაში თანაუგრძნობენ ჯემალ შავერდაშვილს დედის **ქეთევან უტურაშვილი-შავერდაშვილის** გარდაცვალების გამო.

# ფიზალისი (Physalis peruviana) მოვლა, მოყვანა, გამოყენება

საქართველოში ფიზალისის ველური სახეობები გავრცელებულია იმერეთში ონტკოფას, ხოლო ქართლ-კახეთში – დუდღუბოს სახელწოდებით.

**კულტურული სახეობებია:** პერუული ფიზალისი, მარწყვისებრი ფიზალისი, მექსიკური ფიზალისი.

გათავაზობთ ინფორმაციას პერუული ფიზალისის შესახებ.

### ზოგადი ინფორმაცია

ფიზალისის სამშობლო სამხრეთ ამერიკაა. ევროპასა და აზიაში ფიზალისი XVII საუკუნეში შემოიტანეს. რადგანაც ეს მცენარე სითბოს მოყვარულია და გვიან შემოდის, უმეტესწილად სამხრეთის ქვეყნებში მოჰყავთ.

ფიზალისის ნაყოფი მშრალი ნივთიერების, შაქრებისა და ლიმონმჟავას შემცველობით ბადრიჯანსა და წიწაკას აღემატება.

ეს კულტურა განსაკუთრებით ფასეულია პექტინის მაღალი შემცველობის გამო (10%-მდე მშრალი მასის რაოდენობიდან), რაც ორჯერ აღემატება ვაშლში ამ ნივთიერების რაოდენობას.

ამ თვისების გამო ფიზალისი გამოიყენება მარმელადისა და სხვა ჟელესებრი საკონდიტრო ნაწარმის დასამზადებლად.

პერუული ფიზალისის ნაყოფს იყენებენ ლიმონმჟავას მისაღებადაც, აგრეთვე სამურაბედ, ცუკატების, პიურეს, ხილფაფის დასამზადებლად, მისგან ამზადებენ ჩირს, ამწნილებენ.

საქართველოში ეს მცენარე ჯერჯერობით (ისევე, როგორც ახლო წარსულში ბროკოლი, წითელი კომბოსტო და სხვ.) ფართოდ გავრცელებული არაა.

### სპეციფიკური მოთხოვნები

ურჩევნია მაღალნაყოფიერი მსუბუქი თიხნარი და ქვიშიანი ნიადაგები.

ღია გრუნტში მოყვანისას კულტურას უნდა შევურჩიოთ მზვარე, ქარისაგან დაცული ნაკვეთები;

მწირ ნიადაგებზე მოყვანისას, შემოდგომაზე, ბარვის წინ 1მ2-ზე უნდა შევიტანოთ 4–6 კგ ნეშომპალა ან კომპოსტი.

**წინამორბედები:** კარგი წინამორბედებია: გოგრისებრნი და პარკოსანი კულტურები, ძირხვენები, კომბოსტოსებრნი, ხახვი.

ძაღლყურძენასებრთა ოჯახის წარმომადგენლების შემდეგ ნაკვეთზე ფიზალისის წარმოება 3 წელიწადზე ადრე არ შეიძლება.

**ნიადაგი:** ph 5,5–6,5

**დარგვის ხერხი:** ჩითილებით.

**ჩითილების ასაკი:** 55–65 დღე (გადასარგავად გამზადებულ ჩითილებს უნდა ჰქონდეთ 3–4 ფოთოლი).

**გადარგვის სქემა:** ჩითილებს რგავენ მაისის ბოლოს, სქემით – 50X50 სმ.

**სითბური რეჟიმი:** სითბოს მოყვარული კულტურაა, თესლი აღმოცენდება 20$^{0}$C ტემპერატურაზე. მცენარის ზრდისა და განვითარებისათვის ოპტიმალური ტემპერატურაა 20–25$^{0}$C. მცენარე ვერ გადაურჩება წაყინვებს.

**მორწყვა:** ფიზალისი შედარებით გვალვაგამძლე მცენარეა. არ უყვარს ნიადაგისა და ჰაერის ჭარბტენიანობა, თუმცა მსხმოიარობის პერიოდში დიდი რაოდენობით წყალს მოიხმარს. რწყავენ 5–7 დღეში ერთხელ.

ყვავილობამდე მორწყვის ნორმაა 4–5 ლ 1მ2-ზე. ხოლო ყვავილობისა და მსხმოიარობის პერიოდში 8–10 ლ 1მ2-ზე

**გამოკვება:** პირველი ორგანული სასუქი შეაქვთ მასობრივი ყვავილობის პერიოდში;

მეორე – მსხმოიარობის პერიოდში;

მესამე – მეორე შეტანიდან 2–3 კვირის შემდეგ;

გამოსაკვებად იყენებენ წუნწუხს (1:10) ან ფრინველის სკორეს (1:20), ერთ მცენარეზე 0,5 ლ-ს.

**ვეგეტაციის პერიოდი:** 135–165 დღე.

ფიზალისს აქვს სწორი ღერო, მისი სიმაღლე 70–200 სმ-ია.

საკვებად გამოყენების წინ ნაყოფს უნდა მოშორდეს ჩენჩო და ცხელი წყლით გაირეცხოს, რათა მის ზედაპირს მოსცილდეს წებოვანი და ცვილისებრი ნივთიერებები, რომელთაც ხშირად მწარე გემო და უსიამოვნო სუნი დაჰყვება.

**ნუკრი მემარნიშვილი, თამაზ დუნდუა**

agrokavkaz.ge

# ონტკოფა (დუდღობო) – სამკურნალო მცენარე

ონტკოფა (ლათ. Physalis Alkekengi) ძაღლყურძენასებრთა ოჯახის წარმომადგენელია. აჭარაში მას სატკაჩუნას ეძახიან, რაჭა-ლეჩხუმში ბაბუშტელას, გურიაში კატაყვერას, ქართლ-კახეთში დუდღუბოს.



მრავალწლიანი ფესვურიანი მცენარეა, 20-100 სმ სიმაღლის სწორმდგომი მარტივი (ზოგჯერ კენწრულ ნაწილში სუსტად დატოტვილი) ღეროთი.

ღეროზე მორიგეობით, მაგრამ წყვილწყვილად განლაგებული, საკმაოდ გრძელყუნწიანი, წაგრძელებულ-კვერცხისებრი, იშვიათად რომბულ-კვერცხისებრი, ბოლოში გრძლადწაწვეტილი ფოთლების კიდეები ოდნავ ამოკვეთილია, რაც ნაკლებად შეიმჩნევა, ამიტომ ფოთლები კიდემთლიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ყვავილები სათითაოდაა გაბნეული მთელს ღეროზე ფოთლების იღლიებში. ყვავილის ჯამი ზარის მაგვარია, რომელიც დაყვავილების შემდეგ თვალსაჩინოდ იზრდება და ბუშტივით იბერება. ყვავილის გვირგვინი თეთრი და ბორბლისებრი მოყვანილობისაა, ხუთკუთხა კონტურით.

ბურთივით მრგვალი, 1,2-2,0 სმ სიგრძის ნარინჯისფერ-წითელი კაშკაშა წითელი ბუშტივით გაბერილ ჯამში ჩამალული ნაყოფი წვნიანი კენკრაა, რომელიც თირკმლისებრ მრავალრიცხოვან მოთეთრო თესლებს შეიცავს. ყვავის მაისიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე.

იზრდება გამეჩხრილ ტყეებში, ტყისპირებში, ბუჩქნარებში, ხევებში, ბაღებსა და ღობისძირებში.

ონტკოფას ნაყოფი უვნებელი და საკვებად ვარგისია, შეიცავს შაქარს, ლიმონის მჟავას, C ვიტამინს, ცხიმს, კაროტინს, სულ მცირე რაოდენობით ალკალოიდებს. აბრეშუმის ქსოვილს ღებავს ყვითლად და ნარინჯისფრად, სათანადო კომპონენტის დამატებისას წითლადაც.

ონტკოფას ნედლი ფოთლის წვენს ქართული ხალხური მედიცინა ოდითგანვე ჭიის დამდენ და წყურვილის მოსაკლავ საშუალებად იყენებდა.

ბულგარეთის მედიცინაში ონტკოფას ნაყოფები რეკომენდებულია როგორც შარდდამდენი საშუალება თირკმლების და საშრდე ბუშტის კენჭოვანი დაავადებისას, სასქესო ორგანოების ჩირქოვანი ანთების, წყალმანკის, ნიკრისის ქარისა და სახსრების რევმატიზმის სამკურნალოდ.

ნაყოფებს ნახარშის სახით იყენებენ: 15-30 გ ხმელი ნაყოფი 0,5 ლ წყალზე (2 დღის დოზა, რომელსაც ყლუპ-ყლუპობით სვამენ), ან ჭამენ 10-15 ნედლ მწიფე ნაყოფს ერთი დღის განმავლობაში, ან კიდევ ყოველდღე ოც-ოც გრამ ნედლი მწიფე ნაყოფისაგან გამოწურულ წვენს სვამენ.

ონტკოფას წითელი ბუშტივით გაბერილი ყვავილის ჯამი შხამიანია, ამიტომ არ უნდა შეგვცდეს და ყვავილის ჯამი არ უნდა გამოვიყენოთ. (დ. იორდანოვი, პ. ნიკოლოვი, ა. ბოიჩანოვი)

**შალვა ხიდაშელი, ვანო პაპუნიძე**

# ქართველ ქალებს ვუსურვებ მეტ დაფასებას, პატივისცემას, სიყვარულს, ერთგულებას, ოჯახურ სითბოს და ქალურ ბედნიერებას!

*ჩვენ ლამაზ სამშობლოში, კარგა ხანია ისე აეწყო ცხოვრება, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარი საზღვარგარეთ წავიდა.*

*წავიდა, მაგრამ არა სამოგზაუროდ, დასასვენებლად და სხვადასხვა ღირშესანიშნაობების სანახავად, არამედ სამუშაოდ, მატერიალური სიდუხჭირის გამო.*

*ასე, გაჩნდა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ქართველი ემიგრანტების არმია, რომელთაც საკუთარი ცხოვრება არ გააჩნიათ.*

*სრულიად უცხო გარემო და ხალხი, ენობრივი ბარიერი, არაერთი მძიმე სამუშაოს შესრულება და სხვა მრავალი წინააღმდეგობა არაფერია იმასთან შედარებით, რა ტკივილსაც ემიგრანტები გრძნობენ ოჯახთან დაშორებით. მათ გარეშე იზრდებიან შვილები, აკლიათ ახლობლების სითბო, ენატრებათ სამშობლო...*

*მათთვის დრო გაჩერდა. გაჩერდა მაშინ, როცა ოჯახი და შვილები დატოვეს მხოლოდ იმაზე ფიქრით, რომ სიდუხჭირისგან ეხსნათ.*

*ვისაც ემიგრანტობა არ განუცდია, ის ვერასდროს გაიგებს ეს რა განცდაა, მეუბნება ჩემი რესპოდენტი ქალბატონი, რომელსაც ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, მისი მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობიდან გამომდინარე. ქალბატონი ციური გულიაშვილი 13 წელია ამერიკაში ცხოვრობს. მანამდე კი საკმაოდ ნაყოფიერი და საინტერესო ცხოვრება გაიარა. დაიბადა შილდაში. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის, ისტორიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მისი ცხოვრების სამ ათეულ წელზე მეტი პედაგოგიურ მოღვაწეობას მოიცავს. მათ შორის, იგი ექვსი წელი შილდის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი იყო.მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება და არის ღირსების მედლის მფლობელი. ამის მიუხედავად....*

**– ქალბატონო ციური, დღეს ,როგორ წარუდგენთ თავს თქვენს თანამემამულეებს?**

– ციური გულიაშვილი არის იმ მრავალათასობით, ოჯახის სარჩენად გადახვეწილ ქართველ დედა-კაცთა ( მძულს ეს სიტყვა) „ლაშქრის" წევრი, რომელიც დღისით უცხო ადამიანს უვლის, ღამით, სიზმარში საკუთარ ოჯახს.

**– იყო ემიგრანტი, რა განცდაა?**

– ემიგრანტის გარდა ამას ვერავინ გაიგებს...ეს არის უმძიმესი ყოფა, სულიერად და ფიზიკურად. შორიდან შეიძლება ასე არ ჩანს. ძალიან ბევრი პრობლემის გადალახვა და სირთულეებთან ბრძოლა გვიწევს. განსაკუთრებით, როცა ახალი ჩამოსული ხარ, შენთვის სრულიად უცხო სამყაროში.

თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით ამას თავისი დადებითი ფაქტორები ახლავს, რაც გაძლებინებს. თუნდაც ის, რომ შეგიძლია ოჯახს, შვილებს და შვილიშვილებს უკეთესი მომავლის შექმნაში დაეხმარო, გაჭირვებულ ახლობლებს დახმარების ხელი გაუწოდო და ამ სიკეთით შენც გაიხარო. თუმცა, ძალიან რთულია, როცა ყველაფერს მოწყვეტილი ხარ, გარდაცვლილ ახლობელს ცრემლს ვერ დაადევნებ, შვილიშვილის ქორწილს ვიდეოთი ნახავ და ფრანგულად მოსაუბრე შვილიშვილებს ქართულ ენას სკაიპით ასწავლი, ამერიკიდან ბრიუსელში.

**– მოგვიყევით თქვენს ოჯახზე, შვილებზე და შვილიშვილებზე.**

– მყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი. უფროსი რუსუდან იახტნიშვილი შვილებთან ერთად ამერიკაში ცხოვრობს. ქალიშვილმა ნატო ფეიქრიშვილმა ბოისის უნივერსიტეტი, შემდეგ კი მინესოტას უნივერსიტეტის მაგისტრატურა დაამთავრა. ჰყავს მეუღლე ილია ფირანიშვილი, რომელმაც ასევე მინესოტას უნივერსიტეტის მაგისტრატურა გაიარა. ორივე ფინანსისტია და მუშაობენ სერიოზულ კომპანიებში. მათ საკუთარი შემოსავლებით შეძლეს მინეაპოლისში კერძო სახლის შეძენა. მათთან ცხოვრობს ნატოს ძმა ლევან ფეიქრიშვილიც, რომელიც ასევე მინესოტას უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია, კრიმინალისტიკის განხრით. ბედნიერი ვარ, ამისრულდა ოცნება, რომ მათ კარგი განათლება მიეღოთ, სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი ჩემი ემიგრანტობის. ახლა, ზუსტად ვიცი – ასეთი განათლების წყალობით ნატოს და ლევანს არასოდეს გაუჭირდებათ ცხოვრება.

მეორე ქალიშვილი – ია იახტნიშვილი ბრიუსელში ცხოვრობს ქმართან და მცირეწლოვან შვილებთან ერთად. სამწუხაროდ, მათთან ურთიერთობა მხოლოდ სკაიპით შემიძლია. ამის მიუხედავად, მე და პატარებს ისეთი ურთიერთობა გვაქვს, როგორიც შეიძლებოდა რეალურ ცხოვრებაში გვქონოდა. გარდა იმისა , რომ ვცდილობ აქედან ქართული წერა-კითხვა ვასწავლო, ხშირად ვთამაშობთ. წარმოიდგინე დამალდახუჭობანაც კი გვითამაშია, ვასწავლე გათვლები ამ თამაშისთვის, თუკი რამ ვიცოდი. ვუკითხავდი ზღაპრებს. რას ვიზამთ, ცხოვრებამ თუკი ასე მოიტანა. ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება შვილებზე და შვილიშვილებზე ზრუნვა და ფიქრია.

**– თქვენთვის, სკოლის გარეშე ცხოვრება ალბათ არ არის ადვილი ...**

– ნამდვილად არ იყო ადვილი გადასატანი სკოლასთან განშორება. ამ ამბავს, დიდ ხანს განვიცდიდი, მაგრამ ყველაფერთან ერთად, დროთა განმავლობაში, ამასაც შევეგუე. მიუხედავად ამისა, სკოლა ჩემი ცხოვრების მთავარი ნაწილია. ძალიან მიყვარს ბავშვები და მათთან ურთიერთობა. ყოველთვის ვგრძნობდი მათ სიყვარულს ჩემს მიმართ. ჩემს ყოფილ მოსწავლეებთან დღემდე ვაგრძელებ ურთიერთობას ინტერნეტის საშუალებით, რაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. იმდენად მენატრება, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, პირველყოვლისა რასაც გავაკეთებ, ჩემი სკოლის და მასწავლებლების ნახვა იქნება.

**– ქალბატონო ციური, თქვენი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეთ, რით განსხვავდება ამერიკელების ცხოვრება ჩვენი ცხოვრებისგან?**

– განსხვავება ძალიან დიდია.ყველაფერში იგრძნობა საკუთარი ქვეყნის სიყვარული, კანონის უზენაესობა, წესრიგი, სისუფთავე, სიმშვიდე, კულტურა, თავაზიანობა და ღიმილი – სადაც არ უნდა შეხვიდე.

მხიბლავს მათი ოჯახური ურთიერთობები.ცოლ-ქმრის დამოკიდებულება, მოხუცების მიმართ პატივისცემა, ბუნების და ცხოველების მიმართ დამოკიდებულება, მოვლა და გაფრთხილება.

ეს ურთიერთობები არის ძალიან გულწრფელი, უანგარო და სიყვარულზე აგებული. უნაკლოები არც ამერიკელები არიან, მაგრამ ბევრი დადებითი თვისება გააჩნიათ.

**– სამშობლოში დაბრუნებაზე რას ფიქრობთ?**

– ყველა ემიგრანტის ოცნება ესაა. მთავარი კითხვაა, რომელსაც საკუთარ თავს ყოველდღიურად ვუსვავ ეს არის – როდის დავბრუნდები?

პასუხი – მალე. მაგრამ ეს მალე როდის მოვა არავინ იცის.

მეგონა, რომ სამი წლით მოვდიოდი და ამასობაში 13 წელი გავიდა. მინდა მალე დავბრუნდე. დავბრუნდე ბედნიერ და დამშვიდებულ სამშობლოში. ყველაზე დიდი სურვილია, ჯერჯერობით აუხდენელი, რომ ჩემ ქვეყანაში შესაძლებელი იყოს ბედნიერი და მშვიდი ცხოვრება. მე შეიძლება, ყველაფრით უზრუნველყოფილი დავბრუნდე , მაგრამ შეუძლებელია კმაყოფილი და ბედნიერი ვიყო, როცა ჩემს გარშემო ამდენი დაჩაგრული და გაჭირვებული ადამიანია.

მინდა, ჩემს ქვეყანაში თითოეული ადამიანის შრომა სათანადოდ იყოს დაფასებული და შესაძლებლობა ჰქონდეთ ღირსეული ცხოვრების. ჩვენ შრომისმოყვარე ხალხი ვართ. ამას ამერიკელებიც აღნიშნავენ და აფასებენ. თუმცა იგივე შრომა საკუთარ სამშობლოში, დაუფასებელი გვაქვს, რაც ყველაზე გულსატკენია.

**– და ბოლოს, ქალბატონო ციური, გაზაფხული მოსვლასთან ერთად, მინდა მოგილოცოთ ქალთა ულამაზესი დღესასწაულები 3 მარტი – დედის დღე და 8 მარტი. ასევე, თქვენთან ერთად მივულოცო ყველა ქართველ ქალს, ვინც სამშობლოდან გადახვეწილია. გისურვოთ გამძლეობა და ძალიან მალე აყვავებულ სამშობლოში დაბრუნება.**

– გმადლობ ია. ასევე, გილოცავთ სულით და გულით ამ უმშვენიერეს დღესასწაულებს. გისურვებთ, მუდამ საზეიმო განწყობით შეხვედროდეთ გაზაფხულის შემობრძანებას.

ქართველ ქალებს, ვუსურვებ მეტ დაფასებას, პატივისცემას, სიყვარულს, ერთგულებას, ოჯახურ სითბოს და ქალურ ბედნიერებას!

**ესაუბრა ია გიგიაშვილი**












# დიდი მარხვის შესახებ



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინ დაწესებულ მარხვას „დიდი“ თავისი მნიშვნელობის გამო ეწოდება. იგი მოიცავს ერთ „წმ. ორმეოცს“, ე.ი. ორმოც დღეს და ვნების შვიდეულს (მაცხოვრის ვნების კვირას), რაც ჯამში 49 დღეს გრძელდება.

თავდაპირველად, დიდი მარხვის ძირითადი დანიშნულება იყო კათაკმეველთა, ანუ ქრისტიანობაზე ახლად მოქცეულთა, მომზადება ნათლისღებისათვის, რაც აღდგომის წინა დღეს, დიდ შაბათს, სრულდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე პირველი ათასწლეულის შემდეგ ეკლესიაში კათაკმეველთა ინსტიტუტი ფაქტობრივად აღარ არსებობს, დიდი მარხვის მთავარი მნიშვნელობა იგივე რჩება, რადგანაც გაქრისტიანების მიუხედევად ჩვენ მუდმივად ვკარგავთ და ვღალატობთ იმ მადლს, რაც ნათლისღებისას მივიღეთ. დიდი მარხვა გვამზადებს ამ დაბრუნებისთვის და ქრისტეს მიერ მარადიულ ცხოვრებაში გადასვლისთვის. დიდი მარხვა და აღდგომის დღესასწაული ყოველ წელს ხელახლა განგვაცდევინებს იმ საიდუმლოს, რომელიც მაშინ მოგვეცა, როცა ჩვენ ნათლისღებისას მოვკვდით და მკვდრეთით აღვსდექით, ამიტომაც იგი ყოველდღიური დაბრუნებაა ჩვენს „მეორედ შობასთან“.

მარხვა არის ჟამი ფიქრისაც. დღევანდელი ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, თითქმის აღარ გვრჩება ჩვენი ქმედებების და აზრების გაცნობიერებისა და საკუთარ თავში ჩაღრმავების დრო. ინერცია წარმართავს ჩვენს ყოფას. ჩვენში დალექილი ინფორმაცია გაუცნობიერებლად გვმართავს და გვიპროგრამებს როგორც ყოველდღიურ ყოფას, ისე ადამიანებთან და ხშირ შემთხვევაში ღმერთთან ურთიერთობასაც. ხოლო თუ ადამიანი საკუთარ გულსა და გონებას, საკუთარ სხეულს არ ფლობს, მაშინ ის ხდება რომელიმე ვნებისა (ან ვნებების) მონა. ესა თუ ის ნივთი, ან ქვენა გრძობა იწყებს ადამიანზე გაბატონებას, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანი მართავდეს და განაგებდეს მას.

ჩვენ აუცილებლად უნდა გავიაზროთ, რომ მარხვის არსი არ არის მხოლოდ საკვებისაგან თავის შეკავება, თუმცა ესეც აუცილებელი პირობაა ამ პერიოდის მოღვაწეობისა. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ საკვებისაგან თავის შეკავებით ხორცის მოკვდინება კი არ გვრგებს, არამედ ამ გზითაც შეწევნის მიღებაა ჩვენში არსებულ ვნებათა დასათრგუნად. ეს არ არის წელიწადის ის პერიოდი როცა გარკვეული ფორმალური რელიგიური მოვალეობების შესრულება გვეკისრება. არამედ იგია საშუალება ღმერთთან ერთობისა, სიყვარულის კავშირის განმტკიცებისა. ამ მიზნის მისაღწევად კი გვჭირდება: სინანულის საშუალებით ცოდვების და-მარხვა, გემოთმოყვარეობისაგან თავის და-მარხვა, ჭეშმარიტი თავისუფლებისთვის ჩვენი ვნებების და-მარხვა, ლოცვით ყველა იმ წინაღობების და-მარხვა, რომელიც ჩვენსა და ღმერთს შორის დგება. წმ. ბასილი დიდი წერს: „ასე რომ, შესაქები მარხვისათვის არ კმარა მხოლოდ საჭმელისაგან თავის შეზღუდვა; არამედ ვიმარხულოთ ღვთისათვის მისაღები და სათნო მარხვით. ჭეშმარიტი მარხვაა ბოროტებისაგან ჩამოშორება, ენის მოთოკვა, მრისხანების მოცილება, ვნებების მოკვეთა, ბოროტის ტყვეობისაგან, ცრუ აღთქმა-ფიცობისაგან განთავისუფლება, – მშვენიერია ამგვარი მარხვა“.

ჭეშმარიტი მარხვა თანაშერწყმულია მოუკლებელ ლოცვასთან და გულწრფელ სინანულთან. „სინანული მარხვის გარეშე უქმია“, – ამბობს წმ. ბასილი დიდი. ასევე, მარხვაც კეთილი საქმეების გარეშე მკვდარია.

დიდი მარხვა ეკლესიაში განსაკუთრებულ და ყველაზე კურთხეულ პერიოდად ითვლება სულიერი ცხოვრებისათვის. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტიანი დიდი მარხვისას სხვანაირად უნდა ცხოვრობდეს ვიდრე, სხვა დროს. ჩვენთვის ყოველი დღე უნდა იყოს დიდი მარხვაც, დიდი პარასკევიც, დიდი შაბათიც და აღდგომაც. მაგრამ, რადგანაც სულიერ ცხოვრებაში მერყეობები გვახასიათებს, ეკლესიამ, როგორც მზრუნველმა დედამ, დაგვიწესა დიდი მარხვა, რათა ამ დროს განსაკუთრებული მობილიზებით აღვიჭურვოთ, რომ ძალისამებრ ჩვენისა ღირსეულად შევეგებოთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და ამ პერიოდში მაინც დავიწყოთ ისეთი ცხოვრება, როგორც ყოველთვის უნდა ვცხოვრობდეთ.

**საქართველოს საპატრიარქო**

# ადამიანში ყველაზე მეტად სიყვარულსა და სიკეთეს ვაფასებ



*გაზაფხულზე ბუნება იღვიძებს, ჰაერში გაზაფხულის სურნელი ტრიალებს. ქალიც ხომ სიცოცხლის საწყისია, გაზაფხულივით მშვენიერი და თბილი, მომხიბვლელი და ნაზი. ქალთა და დედის დღეს კი ქალებს განსაკუთრებულ სითბოსა და ყურადღებას უნდა უძღვნიდნენ.*

*ქალთა დღესასწაულებს მარტში აღნიშნავენ. ამ თვეს, ხშირად ადარებენ ქალის ხასიათს, ზოგჯერ ცვალებადსა და შეუცნობელს, ჭირვეულსა და მტკიცეს, ნაზსა და მომხიბვლელს.*

*მრავანაირ ქალთა შორის არიან , როგორც ერთი თანამედროვე პოეტი ამბობს: „ტუჩებზე ლექსებწაყრილი ქალები, ძალიან დიდხანს ნამალავი და უნებურად მაინც აშკარად გაცხადებული პირღია ჭრილობებით, ქალები-პოეტები ლურჯი ზმანებებით“...*

*ასეთად ვხედავ მე პოეტ ქალბატონს,* ***ნუნუ ლაღიძეს****, რომლის პოეზიაც განსაკუთრებულად გამორჩეულია ლირიზმით.*

**– ქალბატონო ნუნუ, გაზაფხულის მოსვლასთან ერთად, გილოცავთ ქალთა ულამაზეს დღესასწაულებს – დედის დღეს და 8 მარტს. თავად რას უსურვებდით ქალბატონებს?**

– ჩემო ძვირფასო ქალბატონებო, გილოცავთ გაზაფხულის მოსვლას, ბუნების გამოღვიძებას, ულამაზესი მზის ამონათებას და ქალთა ულამაზეს დღესასწაულებს: დედის დღეს, 8 მარტს. დაე, ჩვენი სამშობლო გაზაფხულივით მორთულიყოს, ხვავით და ბარაქით ავსებულიყოს.

გესალმებით ამ პატარა ლექსით:

„თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო“.
– ალბათ, მართლა ჩადგაო
ჩიტმაც ბუდე დადგაო.
ჟრიამულით აივსო,
ირგვლივ მიმო-არეო,
გამოცოცხლდა მიდამო
მოგვესალმა მთვარეო.
მზემაც მზერა მოგვაპყრო,
ველარ დაგვემალეო.
ლურჯი იის ამოსვლით
დიდად გავიხარეო.

**– რას გვეტყვით საკუთარ თავზე?**

– საკუთარ თავზე ლაპარაკი ძნელია. ვცდილობ, ფეხი ავუწყო ცხოვრების მაჯისცემას და არ ჩამოვრჩე. ამავე დროს, უფლის გზით ვიარო, რადგან უფალი ჩვენთან არის, ჩვენშია და ჩვენ მასთან ვართ. უფლის გარეშე არაფერია ქვეყნად. ჩემს გასაცნობად შემოგთავაზებთ ქ. ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ტაძრის დეკანოზ მამა ბენიამინის ლექსს, რომელიც მე მომიძღვნა.

„მარტომ ვით ზიდე ეს ჯვარი თანა,
შენს ნაზი მხრებით, ყვარლის ასულო?...
ეს ღმერთმა უწყის რის გადატანა
მოგიხდა ქვეყნად, ნატანჯო სულო.
შენ ჩააბარე გამოცდა რთული,
ვით გაუძელი?... მითხარი ერთი!...
ლექსები გქონდა საგზლად შენ სულის
და მიამატე ლამპარსაც ზეთი.
აღზარდე ვაჟნიც მზისა სადარნი
და დააყენე ცხოვრების გზაზე.
დღეს შენი მსგავსი დედა სად არის?...
უფალს მიენდე, მიჰყევ მას ხმაზე.
შვილი ხარ ჩვენი წმიდა ტაძარის
და ყვარლის ერთი რჩეული ქალი.
შენი ლექსებით ღვთისკენ დაგვძარი,
გფარავდეს უფლის მოწყალე თვალი.

**– თქვენი, როგორც პოეტის თვალით დანახული ცხოვრება?**

– დამეთანხმებით, რომ ცხოვრება ზოგადად ძალიან რთულია. იგი, თხილამურებით სრიალს მოგაგონებს. ცხოვრებაშიც, მიზანი გორაკის ძირში ჩასვლა კი არა, არამედ მზის ჩასვლამდე ბევრი კარგი გარბენის ანუ ბევრი კარგი საქმის, ბევრი სიკეთის გაკეთების მოსწრებაა.

ჩემი აზრით, ხანდახან უნდა გადავხედოთ ჩვენს ცხოვრებას, ცხრილში გავატაროთ. შეცდომები მოვინანიოთ და ვეცადოთ აღარ გავიმეოროთ. ახალი იდეებით, ახალი ენერგიით და შემართებით, სუფთა ფურცლიდან გავაგრძელოთ გზა მომავალი წარმატებების და ბედნიერების მოსაპოვებლად. წინსვლა აუცილებელია, ერთ ადგილზე გაჩერება სულსაც ვნებს და სხეულსაც. ცხოვრებაში ჭეშმარიტი ღირებულება კი ის სიკეთეა, რომელსაც სხვებისთვის გავაკეთებთ, ან გაგვიკეთებია. – ეს არის ცხოვრების აზრი და აგრეთვე სიყვარული მოყვასისა. პოეტმაც, ჩემი აზრით, იგივე უნდა დაინახოს და პრიორიტეტები მიანიჭოს რათქმაუნდა სიყვარულს და სიკეთის კეთებას, რადგანაც ღმერთი სიყვარულია, მის გარეშე კი ცხოვრება ამაოა.

მთების მაღალ კალთებს,
თოვლი ნამქერს აყრის.
მიძინებულ ფიფქებს,
ჩათვლემას არ აცლის.
ფანტელების ფარფატს,
ფიქრი გაურანდავს.
მთვარე სხივთა თამაშს,
ოქროსფერებს ართავს.
მარტოობის სევდა,
თვალებს ჩაეღვარა;
საპატარძლო კაბას,
მთვარე ღილებს აბამს.
ფიფქებს მოუქარგავს,
ქათიბი და ფარჩა.
მოლოდინში თოვლი
ცრემლად დაიღვარა.
ალბათ ზღაპარია,
ფიფქთა სამყაროში.
ფანტელების ფარფატს
ფიქრი გაურანდავს.

**– თქვენი ლექსები გამორჩეულია ლირიზმით, ძალიან გულწრფელი, ემოციური და პოზიტიურია. რას გვეტყვით თქვენ შემოქმედებაზე?**

– გეთანხმებით, ჩემი ლექსები სავსეა გულწრფელობით, ემოციებით, ლირიზმით, მაგრამ სხვაგვარად შეუძლებელია, რადგან მე მიყვარს... თვით სიყვარული მიყვარს, რომელსაც ზოგნი ამჩნევენ და ზოგნიც ვერა. მწამს და მჯერა, რომ მკითხველმა აუცილებლად უნდა გაითავისოს ავტორის ემოცია, გრძნობა და თავისად იგულვოს. არ ვიცი მე, რამდენად გამომდის, მაგრამ ჩემი ლექსები გულიდან ამონახეთქია, გულის სიმებითაა აჟღერებული.

ლექსებს, ჩანახატებს, მოთხრობებს ბავშვობიდან ვწერდი. ჩემი ლექსები იბეჭდებოდა საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში. დღესაც სათუთად ვინახავ პოეტ ბატონ ჯანსულ ჩარკვიანის მიერ გამოგზავნილ წერილს მაშინ, როცა იგი „ნორჩი ლენინელის“ (საბავშვო გაზეთი) რედაქტორი იყო. წლების მანძილზე ჩემი ლექსები იბეჭდებოდა გაზეთ „ყვარელში“, საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთ „მწერლის გაზეთში“, „რეო“-ში, საეკლესიო ჟურნალ „ქართზი“-ში, საეკლესიო გაზეთ „მეტეხი“-ში, ალმანახებში – „ლექსო ზიანო სულის“ (25 ტომეული) და „ლაზარე“. ჩემს ლექსებზე მუსიკა დაწერეს კომპოზიტორებმა მანანა იმედაძემ და ჯეინ მაჭარაშვილმა. ვარ ორი კრებულის ავტორი, ვარ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ამჟამად ვმუშაობ რელიგიური ლექსების კრებულზე, თითქმის მზადაა. ალბათ მალე იხილავს მზის სინათლეს.

ვერ გითხარი... ვერ შეგბედე...
გაზაფხულის ლამაზ დილას.
ენძელების და იების კრეფით
დაღლილს მიგეძინა.
სათუთ ხელებს ვეამბორე,
შენს მუხლებთან დაჩოქილმა.
ფიქრით ისე შორს იყავი,
ვერ გითხარი, მომერიდა.
გამამხნევა ტყემლის ხემაც,
თეთრი ფარჩით შემოსილმა.
ფარჩას ღილი აეწყვიტა
და შენს გულში ჩამახედა.
დაკვირტულან ალუბლები,
ვარდისფერად ალეწილან.
ჩემი გული სიყვარულით,
ერთიანად დალეწილა.

* * *

მე დავბრუნდები, როცა არ მელი,
იის პატარა ლურჯი ყვავილი.
ვერ შემაშინებს ქარიშხლის კვნესა,
ვერ შემაშინებს თოვლის ფანტელი.
მე დავბრუნდები, როცა არ მელი,
მოვალ ცის ნამად, მზის სხივთა ფერში.
გამორჩეული და მოკამკამე და
შენს სხეულზე ცრემლად დავდნები.
მოვალ ვარსკვლავად სინათლის მფენი,
ბნელს გაგინათებ, როცა არ მელი.
მთვარე შუქს, როცა ამოანათებს
სხივად ვიქცევი და მოგეხვევი.
მე დავბრუნდები, როცა არ მელი...
ცისარტყელების ფერებად გშვენი.
ია-იაებსაც დაგიფენ ფერხთით
ციცინათელად გულს დაგებნევი.

**– ქალი დღეს...**

– ქალი – სიცოცხლის საწყისი, ქალი – დედა, ქალი – ოცნება, ქალი – ლეგენდა, ქალი ზღაპარი, ალბათ ფურცელი არ მეყოფა მის შესამკობად. დაე, ღიმილი უნათებდეს მათ ლამაზ სახეებს.

დღეს ქალი დაღლილია შრომით, აჩქარებული ცხოვრების რიტმით. მან თავის თავზე ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აიღო, თითქმის მარტო ეწევა ცხოვრების ჭაპანს, აქ თუ საზღვარგარეთ... ვისურვებდი, ქალი ყოველთვის და ყველა დროს ულამაზესი იყოს, ირგვლის სიკეთის, სიყვარულის, სილამაზის სხივებს აბრწყინებდეს. თვალები ეშმაკურად უციმციმებდეს და გული... გული გაზაფხულის ატმისფერ ყვავილთა დარად უთრთოდეს. – ამ ლექსს მივუძღვნი მათ.

გაზაფხულის სიო,
ფერმკრთალ ტუჩებს ევლება.
თვალებს ანცად გიკოცნის,
ყვრიმალს ცეცხლი ედება.
ჩუმად გეჩურჩულება,
გულზედ გესალბუნება,
საკინძეზე ღილები,
თავისთავად იხსნება.
გაზაფხულის სურნელი,
თავბრუს გახვევს... გაბრუებს.
სიოს ანცი ალერსი,
გულის კარებს გაგიღებს.
ჩემი ურჩი ჩურჩული
გულის ნადებს გაგიმხელს.
„მიყვარხარო“ მოგძახის,
ფერხთით იებს დაგიფენს.
გაზაფხულის სურნელი,
სურვილით გწვავს... გაბრუებს,
სიყვარულით აგავსებს...
სასმისს ნექტრით აგივსებს.

**– ბედნიერება ...**

– ბედნიერება აბსტრაქტული თემაა, მას არც ფერი აქვს და არც გემო. იგი ამოუცნობია ზოგჯერ. ვერ ვხედავთ, ვერ ვეხებით, ხოლო როცა ბედნიერები ვართ, ის წუთი თუ წამი გამოგვეპარება ხოლმე და მერე ისევ ველოდებით და ველოდებით. მთელი ცხოვრება ველოდებით. ის კი დაგვიწყებია, რომ სიცოცხლე და სიყვარული თვით ბედნიერებაა.

დაე, ერთმანეთს მუდამ მომღიმარნი შევხვედროდეთ სიყვარულით და სიკეთით აღვსილები, სიცოცხლის წყურვილით გულ-ანთებულნი – ალბათ ესაა ბედნიერება.

**– რას აფასებთ ადამიანში?**

– ადამიანში ყველაზე მეტად სიყვარულს და სიკეთეს ვაფასებ. რა თქმა უნდა ულალატობასაც.

როდესაც ადამიანს სიყვარულის და სიკეთის კეთება შეუძლია, ის უბოროტოა. უბოროტო ადამიანი კი უფლის რჩეულია.

თეთრ გვირილას ვეკითხები
ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ?...
ის კი ჩუმად თავდახრილი,
ფურცელ-ფურცელ გაიფანტა.
გული მიცემს გამალებით,
პასუხს ველი... აღარ ვტირი.
თეთრ გვირილას ანაბარა,
დამდგომია მე გზა წვრილი.
ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ,
ვეკითხები უკვე ასგზის.
მას კი თავი ჩაუღუნავს,
მიმანიშნებს: „არას“ ხან „კის“.
ფურცელ-ფურცელ, ღერა-ღერა,
დავაცალე თეთრი ფრთები.
მაგრამ ისევ უპასუხოდ...
მაგრამ ისევ არაფერი...

**– აუსრულებელი ნატვრა...**

– რაც შეეხება ჩემს აუსრულებელ ნატვრას, ეს უპირველესად ჩემი სამშობლოს კეთილდღეობა და სიმშვიდეა.

**ესაუბრა**
**ია გიგიაშვილი**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86